საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №28 (3069) სამშაბათი. 2 თებერვალი. 1999 წელი. ფასი 50 თეთრი.

„ჩვენ ევროპელები ვართ, მაგრამ ეს იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების დონე ევროპულ სტანდარტებს უნდა მიუახლოვდეს“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პირველი თებერვლის რადიოინტერვიუ

— გასულ კვირას, 27 იანვარს, საქართველომ ევროპის დიდ ოჯახში შეაბიჯა. 1999 წელი საქართველოსათვის, შეიძლება ითქვას, ასეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენით დაიწყო. სხვათა შორის, სოციალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ეს მოვლენა ასე შეაფასა: ისინი ამ ფაქტს ხვდებიან აღტაცებით, სწორედ ეს სიტყვაა ნათქვამი. ევროსაბჭოში ესპანეთის წარმომადგენელმა ჩვენი გაწევრიანების შემდეგ ასეთი რამ თქვა: ევროპის საბჭომ საქართველო თავის წევრად მიიღო იმ საზღვრებში, რა საზღვრებიც მას აქვს, ანუ აფხაზეთის ჩათვლით. ევროსაბჭოში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების მნიშვნელობას აბსოლუტურად ყველა პოლიტიკური ძალა აღიარებს საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, — ჟურნალისტის **ნატო ონიანის** თხოვნით, ამ თემაზე საუბრით დაიწყო თავისი ტრადიციული ორშაბათის რადიოინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა **ედუარდ შევარდნაძემ**.

იხ. მე-2 გვ.

გვწერენ

მალხაზ გაბისონია — გულისხმიერი ექიმი და პიროვნება

ვინც საქართველოს კარდიოლოგიურ ცენტრში, ახალგაზრდა ექიმ მალხაზ გაბისონიასთან მოხვდება, საოცრად გულისხმიერი დამოკიდებულება, მაღალი პროფესიული მკურნალობა და გამოჯანმრთელება გარანტირებული აქვს. მე გამაოცა მისმა ნიჭმა, დაკვირვების უნარმა, შრომისმოყვარეობამ. ეს დაუზარელი კაცი, რეანიმაციაში იქნება თუ სტაციონარის რიგით პალატაში, სასწრაფო დახმარების მანქანაში, თუ უბრალოდ, საკუთარ ოჯახში ექიმ მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად (ღმერთმა დაულოცოს!), მუდამ ავადმყოფზე ფიქრობს.

ახლახან მე ბოლომდე დავრწმუნდი, რომ ჩვენს მედიცინას მართლაც ჰყავს პროფესიონალები, ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულები, სათნო და მოუსყიდავი ადამიანები. მალხაზ გაბისონიასთვის მთავარია გადარჩენილი ავადმყოფის გულწრფელი ღიმილი და უბრალო, კაცური მადლობა.

კარლო შერაზადიშვილი.
თბილისი.

თამბაქოს მომხმარებელი ორსული და მეძუძური ქალი საშიშროებას უქმნის როგორც საკუთარ ჯანმრთელობას, ასევე შვილის სიცოცხლეს!

ნუ გაცვლით შვილს
თამბაქოზე
თამბაქო
თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი

უფასო კონსულტაცია და პრაქტიკული დახმარება
ტელ: 94 13 49, ივ. ჯავახიშვილის 51 (ანონიმურობის დაცვით)

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

საქართველოს 1999 წლის ბიუჯეტის პროექტი შეუსაბამეს ქვეყნის რეალურ შესაძლებლობებს

საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომლის ძირითადმა პარამეტრებმა ფინანსებისა და მთლიანად ეკონომიკის სფეროში კრიზისთან დაკავშირებით ბოლო ხანს არსებითი ცვლილებები განიცადა, მიიღო მთავრობამ. ეს მოხდა 31 იანვარს ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გამართულ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს რიგგარეშე სხდომაზე.

ამ აქტს წინ უძღოდა დაძაბულობით უაღრესად დიდი და მეტად სერიოზული მუშაობა, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ გასწია სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან, აგრეთვე ხელისუფლების ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად, რათა ბიუჯეტის პროექტი ზუსტად შეესაბამებინათ ქვეყნის რეალური შესაძლებლობებისათვის. ამ არცთუ ადვილი მუშაობის პროცესში გრძელდებოდა აქტიური კონსულტაციები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რომელიც საქართველოში ახორციელებს სტრუქტურულ გარდაქმნათა გაფართოებული დაფინანსების საშუალოვადიან პროგრამას. პროექტის საბოლოო ვარიანტი, რომლის ძირითადი პროგნოზირებული მაჩვენებლები შეთანხმებული იყო თბილისში სპეციალურად ჩამოსული საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ექსპერტებთან, ბოლოს და ბოლოს, გაიტანეს მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

წარმოადგინა რა ეს დოკუმენტი, ფინანსთა მინისტრმა დავით ონოფრიშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტთან ერთად პარლამენტის განსახილველად შეაქვთ სახელმწიფო ანტიკრიზისული პროგრამაც, რომელიც ითვალისწინებს გარღვევიდან ქვეყნის გამოყვანისა და ეკონომიკური და

იხ. მე-3 გვ.

კანონმდებლები

იწყება საგაზაფხულო სესია

გაიმართა ბიუროს სხდომა

საქართველოს პარლამენტის 1999 წლის საგაზაფხულო სესია დღეს, 2 თებერვალს დაიწყებს მუშაობას. ამასთან დაკავშირებით გუშინ, პარლამენტარებმა ბიუროს სხდომაზე, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია უძღვებოდა, საგაზაფხულო სესიის პირველი პლენარული კვირის, 2-5 თებერვლის სხდომების დღის წესრიგი განიხილეს.

საგაზაფხულო სესიას პარლამენტის თავმჯდომარე გახსნის. საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა 16 თებერვალს, მომავალ სასესიო კვირას არის დაგეგმილი.

პარლამენტარები, მიმდინარე კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, სესიის პირველივე დღეს, საგაზაფხულო სესიის სამუშაო გეგმის განხილვას ვარაუდობენ, რომელსაც მოგვიანებით, 17 თებერვალს დაამტკიცებენ. მომავალ სასესიო კვირაში ასევე განიხილავენ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხს, რომელიც სამოქალაქო აქტებში ეროვნების რეკვიზიტის აღდგენას ითვალისწინებს. მანამ კი, ამ საკითხზე საკომიტეტო მოსმენები გაიმართება, გაგრძელდება კონსულტაციები და დისკუსიები.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

სამიათასწლოვანი თარიღის აღსანიშნავად

ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია. ქართული ხასიათი და წეს-ჩვეულებანი, კულტურა, რელიგიური წარმოდგენები, საუკუნოვანი ოცნებები და იმედები სწორედ მას უკავშირდება.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ქართული სახელმწიფოებრიობის ამ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს ეყრდნობა და აგრძელებს.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი თარიღი აღინიშნება 2000 წელს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს ზაზა შენგელიას და სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განყოფილების უფროსს კობა იმედაშვილს დაევალათ წარმოადგინონ საქართველოს პარლამენტთან, ავტონომიური რესპუბლიკებისა და რეგიონების ხელმძღვანელებთან, მეცნიერებათა აკადემიასთან, სამინისტროებთან, უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მეთანხმებული წინადადებები ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი თარიღის აღსანიშნავი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობის, შესაბამისი ღონისძიებებისა და მათი გამართვისათვის საჭირო დაფინანსების თაობაზე.

თბილსრესში ხუთი ენერგობლოკი მუშაობს

ინფორმაციის თანახმად, რომელიც საქინფორმის კორესპონდენტმა თბილსრესის მორიგე ინჟინრის თამაზ გურამიშვილისაგან მიიღო, შვიდი საათის მოცდენის შემდეგ (ეს გამოწვეული იყო ტექნიკური მიზეზებით), პირველი თებერვლის ოთხი საათისათვის კვლავ ამუშავდა მეცხრე ბლოკი. 18 საათისათვის თბილსრესში მუშაობდა მესამე, მეოთხე, მერვე, მეცხრე და მეათე ენერგობლოკები. თბილსრესში ამ მომენტისათვის მომუშავე ენერგობლოკების ჯამური სიმძლავრე 640 მეგავატს შეადგენდა.

ევროსაბჭომ მესხეთელი თურქების საკითხის მოგვარება დაგვავალა

საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებისას ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ ჩვენს ქვეყანას დეპორტირებული მესხეთელი თურქების საკითხის მოგვარება მოსთხოვა 12 წლის განმავლობაში.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კახა ჩიტაიას განმარტებით, 12 წლის განმავლობაში უნდა შემუშავდეს შესაბამისი კანონი, რომელიც ამ საკითხს მოაგვარებს. ეს კანონი გაითვალისწინებს ეროვნულ ინტერესებს. „საქართველო აღიარებს ამ პრობლემას, მაგრამ გარკვეული პასუხისმგებლობა პოსტსაბჭოური სივრცის სხვა ქვეყნებმაც უნდა იკისრონ, მხედველობაში მაქვს რუსეთის ფედერაცია. არანაირი სამართლებრივი დოკუმენტი არ არსებობს, რომლის მიხედვითაც რუსეთი არ იყოს ვალდებული მისცეს მოქალაქეობა „მესხეთელ თურქთა“ იმ ნაწილს, რომელთაც იქ სურთ ცხოვრება“, — აღნიშნა კახა ჩიტაიამ ბეას კორესპონდენტთან საუბრისას.

ბათუმში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების სამეთაურო შეკრება დაიწყო

საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო დაჯგუფების სამეთაურო შეკრება ბათუმში განლაგებულ 12-ე რუსეთის სამხედრო ბაზაზე გუშინ დაიწყო და 5 თებერვლამდე გასტანს, — უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გრიგოლ ქათამაძემ.

მისი თქმით, რუსეთის დაჯგუფების სარდლობამ შეკრებაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა, მინისტრი დავით თევზაძე და შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილი მიიპატიჟა.

ქუთაისში გაიხსნება საავიაციო ინსტიტუტი

ქუთაისის ავიასარემონტო ქარხანაში დაიწყეს შვეულმფრენების რედუქტორების დამზადება-შეკეთება. მოთხოვნილება ამ პროდუქციაზე დიდია. მომავალი წლიდან საჭირო იქნება წარმოებული ძრავების სერტიფიცირება, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ქარხანაში მზად არიან დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

სექტემბერში ქარხნის ბაზაზე გაიხსნება საავიაციო ინსტიტუტი, რომელიც მოამზადებს ამ დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს.

განცხადება

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური აცხადებს 1999 წელს ქართული და უცხოური ტელე და რადიოკომპანიების, საინფორმაციო სააგენტოების, ყოველდღიური გაზეთებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემების ჟურნალისტების აკრედიტაციას.

განაცხადები მიიღება 1999 წლის 10 თებერვლამდე.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ინგოროყვას 7;
ტელეფონები: 987262, 999950, 996607, 990879 (ფაქსი).

ელექტრონული ფოსტა: ofice@presidpress.gov.ge.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ბეამ და პრაიმ-ნიუსმა.

პრემიერა ოპერის თეატრში

კვირას თბილისის ოპერის თეატრმა მაყურებელს შესთავაზა პრემიერა, — დონიცეტის ოპერა „სიყვარულის ნექტარი“. მისი წარმოდგენა სცილდებოდა ჩვეულებრივ პრემიერათა რიცხვს, რადგან ეს ოპერა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში პირველად განხორციელდა.

მსმენელს ხიბლავს ამ ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი ადვილად აღსაქმელი მელოდიურობა, სიმსუბუქე, ლირიზმი და თეატრალურობა. სადადგმო ჯგუფმა იგი ქართულად აამღერა. ეს უკვე იტალიური ოპერის ქართულად ამღერების მეორე ცდაა. ამჯერად ქართული თარგმანი შეასრულა სპექტაკლის რეჟისორმა და სცენოგრაფმა გურამ მელივამ, დამდგმელი დირიჟორია ჯანსუღ კახიძე, დირიჟორი და გუნდის

იხ. მე-2 გვ.

უკანასკნელ საათს

მოსკოვის ხელისუფლება რუსეთის დედაქალაქში ექსტრემისტების მოქმედებების აღკვეთას აპირებს. იური ლუჟკოვმა გუშინ განაცხადა, რომ მერი უყურადღებოდ არ დატოვებს ბარკაშოვცების უხეშ გამოხტომას, რომელსაც პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა.

გუშინ ამშ და დიდი ბრიტანეთის ავიაციამ კვლავ დაბომბა ერაყის საჰაერო თავდაცვის ობიექტები, რის შემდეგაც ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი 14 ათასი დოლარის ჯილდოს დაჰპირდა მას, ვინც ამერიკულ ან ბრიტანულ თვითმფრინავს ჩამოაგდებს. 5 ათას დოლარს ჰუსეინი რაკეტის ჩამოგდებისთვის იძლევა და 2 ათასს — პილოტის დაჭერისთვის. ჯილდო პირადად სადამ ჰუსეინის ხაზინიდან გაიცემა. ერაყის მოქალაქეთა საშუალო თვიური შემოსავალი 5 დოლარია.

გუშინ თეთრი სახლის ყოფილმა პრაქტიკანტმა მონიკა ლევინსკიმ პრეზიდენტ ბილ კლინტონთან ურთიერთობების შესახებ ჩვენებები მისცა წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელთა ჯგუფს. სენატი დღეს მიიღებს გადაწყვეტილებას, გამოქვეყნდეს თუ არა ეს ჩვენებები და გაგრძელდეს თუ არა ლევინსკის დაკითხვა.

გუშინ ბრიტანეთის ლორდთა პალატაში განახლდა პინოჩეტის სასამართლო პროცესი. ვარაუდობენ, რომ პროცესი სამ დღეს გასტანს.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 1 თებერვალი ქ. თბილისი

ი. ნაგორნის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართულ კინოხელოვნებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციის ტელეოპერატორთა პირველი შემოქმედებითი გაერთიანების უფროსის მოადგილე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინოოპერატორი **იგორ ნაგორნი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

ინტეგრაცია

ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, ელჩის დენის ქორბოის განცხადება პრესისათვის

ჭეშმარიტად მოსალოცი მოვლენაა საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანება, თანაც, ასეთი ერთსულოვნებით. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა საშუალებას აძლევს საქართველოს მყარად დაიმკვიდროს ადგილი ევროპულ ოჯახში და დაიწყოს სვლა იმ გზით, რომელიც მომავალი წლების განმავლობაში განსაზღვრავს საქართველოს ურთიერთობას დანარჩენ ევროპასთან.

სამწუხაროა, რომ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ვერ შეძლეს საზოგადოებისთვის აეხსნათ მიმდინარე მოვლენათა არსი, განსაკუთრებით კი ისეთი ფუნდამენტური განსხვავება, რომელიც ევროპის საბჭოსა და ევროკავშირს შორის არსებობს.

პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცდილობენ განმარტონ და გააშუქონ ისეთი რთული მოვლენები, როგორიცაა საქართველოს განსხვავებული ურთიერთობა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირთან. მათ შესწევთ უნარი სწორი ინფორმაციის საფუძველზე შეაფასონ მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები. ძალიან ვწუხვარ, რომ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დღემდე ვერ დააფასეს ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ თავისუფალ საზოგადოებაში აკისრიათ.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

ეუთო მხარს არ უჭერს ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ აფხაზ ხელისუფალთა ცალმხრივ ინიციატივას

28 იანვარს ვენაში გაიმართა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივი საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოში ეუთოს მისიის მეთაურის ანგარიში ბოლო ექვსი თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

მისიის მეთაურმა ჟან მიშელ ლაკომბმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო პროგრესს ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში და მოუწოდა დონორ ორგანიზაციებსა და ქვეყნებს გაააქტიურონ თავიანთი პოზიცია პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის საკითხებში. მისი აზრით, ამავე დროს, აუცილებელია ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის ინტენსიფიკაცია. საერთოდ კი, მისიის მეთაურს მიაჩნია, რომ კარგი ფონია შექმნილი საქართველოში ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის ვიზიტისათვის, რომელიც სავარაუდოდ 14-15 აპრილს გაიმართება.

იხ. მე-3 გვ.

პარტიებსა და მოძრაობებში

კომუნისტური იდეოლოგია საქართველოსთვის დამღუპველია!

საქართველოში ამ ბოლო ხანს საკმაოდ გააქტიურდნენ კომუნისტური იდეოლოგიის ორგანიზაციები. ამიტომაც საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის შესახებ ის პარტიები, რომლებიც სულ ახლო წარსულში თავიანთ ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად კომუნისტებთან ბრძოლას თვლიდნენ. შეპირებისამებრ გთავაზობთ საუბარს საქართველოს სახალხო პარტიის თავმჯდომარესთან მამუკა გიორგაძესთან.

— ამას წინათ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ლანა ღოღობერიძემ განაცხადა, ჯერ ევროსაბჭოში გავწევრიანდებით, შემდეგ ევროკავშირის ასოცირებული წევრი გავხდებით, მერე თვით ევროკავშირში და ნატოში შევალთო. ესე იგი, რა გამოდის? ეროვნული მოძრაობიდან პოლიტიკაში მოსული პარტიები სულ დასავლეთისკენ მიისწრაფოდით და მმართველ პარტიას პრორუსულ ორიენტაციაში ადანაშაულებდით, ახლა კი ირკვევა, რომ მათ დასავლეთის მიმართულებით შორსმიმავალი გეგმები აქვთ...

იხ. მე-3 გვ.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 2 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.4851 ლარი
გერმანული მარკა	1	1.2302 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1199 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3668 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0636 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0918 ლარი.

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში

ღრუბლიანი ამინდი, ღამით ზოგან წვიმა, მთაში თოვლი. დასავლეთის ქარი 7-12 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +2+7;
დღისით +8+13.
მთაში: ღამით -1+4; დღისით +4+9.
მაღალ მთაში: ღამით -3+2; დღისით 0+5.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით ზოგან წვიმა, მთაში თოვლი.

ბარში: ღამით 0+5; დღისით +9+14.
მთაში: ღამით: -2+3;
დღისით +4+9.
მაღალ მთაში: ღამით -1-6;
დღისით -6+4.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. ჩრდილო-დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში. ღამით +2+4; დღისით +11+13.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ენერგეტიკა

ხუთი დამტაცებელი და 27 დამრღვევი

იანვრის თვეში, მხოლოდ ერთი კვირის მანძილზე, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მუშაკების მიერ ჩატარებული რეიდების შედეგად 32 ობიექტზე — 27-ში [illegible] (უნებართვოდ განხორციელებული ორმაგი კვების, ელექტროენერგიის გადაჭარბებული სიმძლავრით მოხმარებისა და ექსპლოატაციის წესების უგულებელყოფის და სხვ.) ფა[illegible] აღმოაჩნდა, ხუთი კი უშუალოდ დენის დატაცებაში იქნა მხილებული.

მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, 12 ობიექტს შეუწყდა ელექტროენერგიის [illegible]

გაზეთის გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

„ჩვენ ევროპელები ვართ, მაგრამ ეს იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების დონე ევროპულ სტანდარტებს უნდა მიუახლოვდეს"

(პირველი გვერდიდან)

– ევროსაბჭოში საქართველოს გაერთიანებაზე უკვე ბევრი ითქვა, მათ შორის, მეც დავწერე, ჩემი სულისკვეთება მეც გამოვხატე ამასთან დაკავშირებით. ბევრი რამ დაიწერა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, ალბათ, კვლავაც ბევრი დაიწერება, ვინაიდან ეს მართლაც ისტორიული მოვლენაა.

ეს არა მარტო შეჯამებაა იმისა, რასაც ახალგაზრდა დემოკრატიულმა სახელმწიფომ მიაღწია თვისებრივად და შინაარსობრივად, ახალი სახელმწიფოებრივი სისტემების მშენებლობის თვალსაზრისით, არამედ სტიმულიც არის განვითარების ახალი დონისაკენ სწრაფვისათვის.

იმავდროულად, ევროპულმა თანამეგობრობამ, რა თქმა უნდა, აღიარა და პატივი მიაგო საქართველოს მრავალსაუკუნოვან, სამიათასწლოვან სახელმწიფოებრივ ტრადიციასა და თვითმყოფად, უნიკალურ ქართულ კულტურას და, რა თქმა უნდა, ევროსაბჭო გულისხმობს საქართველოს როგორც ტერიტორიულად ერთიანს, განუყოფელ და მთლიან სახელმწიფოს.

ევროპის საბჭოს წევრობა ერთდროულად საკმაოდ ფართო უფლებამოსილებაც არის და, ამ აზრს მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, უდიდესი პასუხისმგებლობაც, რათა არავითარ შემთხვევაში არ შევწყვიტოთ ყოველმხრივი განახლების, სიღრმისეული რეფორმის პროცესი, არამედ კიდევ უფრო სრულვყოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა და სრულვქმნათ იგი უმაღლესი ევროპული დონის შესაბამისად არა მარტო პოლიტიკურ, სამართლებრივ, ჰუმანიტარულ სფეროებში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, მოქალაქის სოციალური დაცულობის თვალსაზრისით.

საქართველოს ამის ნიჭი და უნარი ნამდვილად შესწევს. ხელისუფლების ამოცანა კი ამ პოტენციალის ამოქმედებაა.

ევროპის საბჭოში გაწევრიანება მხოლოდ სულიერი აღმაფრენის, აღტაცების გამოვლენა და საკუთარი სანუკვარი ოცნების ასრულება როდია. ეს თავისთავად, მაგრამ ამ ორგანიზაციის წევრობა, აგრეთვე, უნდა წარმოვიდგინოთ როგორც გარკვეული ეტაპი ჩვეულებრივ ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების გზაზე. ვგულისხმობ მატერიალურ ყოფას, სოციალურ სფეროს, ყველა იმ სიკეთით მოქალაქეთა უზრუნველყოფას, რაც სავსებით ხელმისაწვდომია ჩვეულებრივი ევროპელისათვის.

დიახ, ჩვენ ევროპელები ვართ, მაგრამ ეს იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების დონე ევროპულ სტანდარტებს უნდა მიუახლოვდეს.

თუ უახლოეს ორ-სამ წელიწადში ამ თვალსაზრისით ხელშესახებ, თვალსაჩინო წარმატებას ვერ მივაღწევთ, შეიძლება დაიკარგოს ის უზარმაზარი მონაპოვარი და ის რწმენა, რომელმაც ასე ერთიანად აიტაცა საქართველო ამ დღეებში.

ევროპის საბჭოში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანება უეჭველად გახდება კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და გეოპოლიტიკური მდგრადობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ გულწრფელი მადლობა მოვახსენო იმ მოღვაწეებს, მათ შორის უცხოელ მეგობრებს, თანამემამულეებს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, განსაკუთრებით პარლამენტის დელეგაციას, ამ ბოლო დროს ბატონი ზურაბ ჟვანია რომ ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა ამ დამამთავრებელ ფაზაში, რომელმაც ძალზე ბევრი რამ გააკეთა ამ გამარჯვების მისაღწევად.

ამავე დროს უნდა განვაცხადო, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანებით პროცესი არ მთავრდება. ეს მართლაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიჯნაა მხოლოდ.

საქართველოს საბოლოო მიზანია ევროკავშირში გაერთიანება. მოგეხსენებათ, რომ ევროკავშირთან პარტნიორული ურთიერთობის ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი, რომლის რატიფიცირება წევრ ქვეყნებში ახლა დასასრულს უახლოვდება. რა თქმა უნდა, ამას წლები დასჭირდება, მაგრამ ამ ახალი, ბრწყინვალე მიზნის მისაღწევად რუდუნებით შრომას აქედანვე უნდა შევუდგეთ. თუმცა, ევროსაბჭოს წევრობაც ხომ გარკვეული ეტაპია ამ გზაზე.

დრომ დაამტკიცა, რომ ინტეგრაცია ევროპისა და მსოფლიოს მომავალია, ოღონდ თანასწორუფლებიანი ინტეგრაცია თითოეული ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების უპირობო პატივისცემით.

– გასულ კვირას გაეროს უშიშროების საბჭომ კვლავ განიხილა აფხაზეთის კონფლიქტის საკითხი. პრინციპში, განსაკუთრებული პროგრესი, ალბათ, ნაკლებად იყო მოსალოდნელი, და უკმაყოფილება გამოხატეს როგორც დევნილი ხელისუფლების ხელმძღვანელებმა, ისე სოხუმის ხელისუფლებამაც, რომელმაც ეს რეზოლუცია საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა...

– უპირველესად უნდა აღვნიშნო და მივესალმო იმ ფაქტს, რომ გაეროს შესაბამისი რეზოლუციის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და მთავრობის დელეგაცია. მათ საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავეს და თავადაც საინტერესო და დიდი გამოცდილება შეიძინეს.

რაც შეეხება თვით რეზოლუციას, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანი მეტს მოითხოვს იმ ორგანოსაგან, რომელიც, უპირველესად, პასუხისმგებელია დაიცვას წევრ სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, ისევე როგორც უშიშროების, კანონიერებისა და სამართლიანობის პრიმატი ჩვენს პლანეტაზე.

მეორე მხრივ, უშიშროების საბჭომ კიდევ ერთხელ განსაკუთრებული სიმტკიცით დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და კვლავ აღნიშნა, რომ კონფლიქტის მოწესრიგება, პრობლემის გადაწყვეტა უეჭველად უნდა გულისხმობდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ლტოლვილთა უპირობო, ხაზს ვუსვამ, უპირობო, უსაფრთხო, ღირსეულ დაბრუნებას მშობლიურ სახლებსა და მშობლიურ კუთხეში.

ეს გახლავთ სწორედ ის კონცეფცია, რომელსაც იზიარებენ მთლიანად გაეროს უშიშროების საბჭო, მუდმივ წევრთა ხუთეული – ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, მეგობარი ქვეყნები და, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო.

უშიშროების საბჭოს რეზოლუცია უეჭველად შეიტანს ახალ ელემენტებს მოლაპარაკებათა პროცესში.

მესმის, რომ ეს ყოველივე არ არის საკმარისი უწინარესად იმ ადამიანებისათვის, რომელთაც სახლ-კარი დაკარგეს, მაგრამ ჩვენ რეალისტები უნდა ვიყოთ – რისი მიღება შეიძლება, რისი გაკეთება შეიძლება დღევანდელ დონეზე, იმის მაქსიმუმის მიღებას უნდა ვცდილობდეთ.

აუცილებელია მაქსიმალურად შესაძლებელი შედეგი, როგორც იტყვიან, „გამოვწუროთ" შექმნილი ვითარებიდან – მსოფლიო ძალთა არსებული შეფარდების გათვალისწინებით. თქვენ იცით, რამდენი ასეთი ცხელი წერტილია, მათ შორის, ევროპის სივრცეში და, ვფიქრობ, რომ ჩვენი დროც მოვა, როცა მსოფლიოს პროგრესულ ძალთა გაერთიანება უფრო კონცენტრირებულად მიუდგება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას.

არ არის ამოწურული (და ესეც ძალიან საგულისხმო აზრია) რუსეთისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პოზიტიური პოტენციალი აფხაზეთისა და სხვა კონფლიქტების მოგვარებაში. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა უგულებელვყოთ ეს ფაქტორი. თანამეგობრობის ქვეყნების მიერ მიღებული რეზოლუციები ძალიან მნიშვნელოვანია და ძალიან სერიოზულადაც გვეხმარება. ასევე ამოწურული არ არის, პირიქით, საწყის ეტაპზეა ქართულ-აფხაზური პირდაპირი დიალოგი და პირადად მე მომხრე ვარ, რომ ეს დიალოგი რაც შეიძლება უფრო სისტემატური იყოს და ჩვენი საზოგადოების უფრო ფართო მონაწილეობით წარიმართოს.

– გასულ კვირაში საქართველოს პრეზიდენტის უფლებით, შეწყალების უფლებით ოჯახს დაუბრუნდა 1200 კაცი. რა თქმა უნდა, ამ ადამიანების ემოცია, მათი განწყობილება, მათი ახლობლებისა და ოჯახების განწყობილება აბსოლუტურად გასაგებია, თუმცა, იყო ასეთი თემაც, რომ, აი, საქართველოს ციხეებში ადგილი არ არის და ეს ხალხი თურმე იმიტომ გაუშვეს შინ. საკმაოდ პოპულარული იყო გასულ კვირაში ეს თემაც...

– ეს გადაწყვეტილება, უპირველეს ყოვლისა, იმ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით მივიღე, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი.

ევროპის საბჭოში გაწევრიანება ეპოქალური მოვლენაა. საუკუნობრივად დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად ასეთ მოვლენებს ცივილიზებული ერები პატიმართა შეწყალებითა და ამნისტიითაც კი აღნიშნავენ ხოლმე.

თუმცა, ეს არ არის ერთადერთი მიზეზი. ვაგრძელებთ პროცესს, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს დავიწყეთ. თქვენ გახსოვთ, რესპუბლიკის მოედანზე გამოცხადებული შერიგების აქტი.

ჩვენი მიზანია, დავამკვიდროთ საზოგადოებაში შემწყნარებლობის ატმოსფერო იმათ მიმართაც კი, ვინც სხვადასხვა მიზეზთა გამო დაარღვია დემოკრატიულ სახელმწიფოში თანაცხოვრების წესები, კანონები და ახლა გამოსწორების გზას დაადგა.

მწამს, ამგვარი კეთილშობილური ტრადიციის დამკვიდრებით კანონისა და კანონიერების პატივისცემა არათუ შესუსტდება, არამედ კიდევ უფრო განმტკიცდება.

რამდენიმე ციფრს დავასახელებ: ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ჩვენ შევიწყალეთ პატიმართა საერთო კონტინგენტის დაახლოებით 35 პროცენტი. ეს თითქმის უპრეცედენტო შემთხვევაა.

ამჟამად საქართველო, მოსახლეობის რაოდენობასთან პატიმართა პროცენტული შეფარდებით (და მე ვუპასუხებ იმ კითხვას, რომელსაც თქვენც ხშირად გამლევენ) სავსებით შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს – ამ თვალსაზრისით ჩვენ დაახლოებით ნიდერლანდის დონეზე ვიმყოფებით. ყოველ 100 ათას მოსახლეზე კიდევ უფრო ნაკლები პატიმარი გვყავს, ვიდრე ამ ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანას, რომელიც დაახლოებით თავისი მოსახლეობის რაოდენობითა და თუნდაც ტერიტორიის მოცულობით ჩვენი მასშტაბისაა.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ათასობით შეწყალებული პატიმრიდან მხოლოდ ოცდაათიოდემ ჩაიდინა ხელმეორედ დანაშაული. ეს ციფრი უკვე გარკვეულ გამოცდილებაზე მეტყველებს – შეირჩევა ის კონტინგენტი, რომელიც ჭეშმარიტად ღირსია შეწყალების. ამ შეწყალების უპირატესობა ამნისტიასთან შედარებით სწორედ ის არის, რომ გვეძლევა საშუალება ყოველმხრივ შევისწავლოთ თითოეული პიროვნება და მივიღოთ თითქმის შეუცდომელი გადაწყვეტილება.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, თუ რა უდიდესი მოცულობის სამუშაო შეასრულა ბოლო წლებში უხმაუროდ, უჩინრად და ყოველგვარი რეკლამირების გარეშე ქალბატონმა რუსუდან ბერიძემ, აგრეთვე, პრეზიდენტთან არსებულმა შეწყალების კომისიამ, ამ ბოლო დროს სახალხო დამცველმა დავით სალარიძემ, რომელიც ახლა აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში, და, რა თქმა უნდა, სამართალდამცავმა უწყებებმა, უწინარესად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

ეს კეთილშობილური სამუშაო კვლავაც გაგრძელდება, ვინაიდან იმ საზარელი წლების შემდეგ, საქართველომ რომ განვლო, გულმოწყალება და შემწყნარებლობა თვით საზოგადოებასაც სალბუნად დაედება, მაგრამ ამ პოლიტიკის გაგრძელება მაშინ შეიძლება, როცა ქვეყანაში გარანტირებულია მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგი, და არც ერთი დანაშაული და არც ერთი დამნაშავე სათანადო რეაგირების გარეშე არ უნდა რჩებოდეს. აი, ეს არის ჩვენი გულმოწყალების საფუძველი. თუ ქვეყანაში არ არის წესრიგი, მაშინ ასეთ პოლიტიკას ვერც სახელმწიფო განახორციელებს.

– სხვათა შორის, დიდი ხმაური იყო სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით არცთუ ისე დიდი ხნის წინათ. გუშინ კიდევ გაიმართა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები – მესამე ტური იყო, და საკმაოდ კარგი შედეგებითაც...

– საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობილი გადაწყვეტილების შემდეგ გარკვეულმა ძალებმა ის აზრი დაამკვიდრეს, რომ სასამართლო რეფორმა ჩაიშალა და ამ რეფორმას მომავალი არა აქვს. უნდა გითხრათ, რომ პარლამენტმა დროულად შეიტანა სათანადო შესწორებანი საკონსტიტუციო სასამართლოს შენიშვნების გათვალისწინებით, და რეფორმირების პროცესი ახლა ახალი ძალით გრძელდება.

ახლახან, სულ 15-20 წუთის წინ, ბატონმა ლადო ჭანტურიამ დამირეკა და შემატყობინა, რომ გუშინ მესამე საკვალიფიკაციო გამოცდა გაიმართა. მოსამართლეთა გამოცდაზე გავიდა 200 კანდიდატი და უმკაცრესი და ურთულესი გამოცდა უცხოელებისა და სხვათა და სხვათა მონაწილეობით ჩააბარა 143 პიროვნებამ. მეორე ტური გაიმართება 6 თებერვალს. ასე რომ, სასამართლო რეფორმის არავითარ ჩაშლაზე ლაპარაკი არ შეიძლება. სასამართლო რეფორმა ისე წარიმართება, როგორც ეს ჩვენ მიერ იყო ჩაფიქრებული.

– და, ბოლოს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა და არა მხოლოდ განვლილი კვირისა. გუშინ საქართველოს მთავრობამ 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი განიხილა. ალბათ, როგორც ყოველთვის, საკმაოდ ცხარე დებატები გაიმართება ბიუჯეტთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში. როგორ შეფასებას მისცემთ ამ ბიუჯეტს, რა არის 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთავარი თვისება?

– ალბათ, ძალიან მოკლე უნდა იყოს პასუხი, რადგან უფრო ვრცელი საუბარი გაიმართება პარლამენტში, როცა მე შევძლებ გამოსვლას. მანამდე კიდევ იქნება საკომიტეტო მოსმენა, კამათი და ასე შემდეგ. მაგრამ წინასწარ შეიძლება გავაკეთო შემდეგი კომენტარი:

პირდაპირ უნდა ვუთხრათ მოსახლეობას და ჩვენს ხალხს, რომ იმ კრიზისის ფონზე, საქართველომ რომ გადაიტანა 1998 წელს, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში, მსოფლიო ეკონომიკური დეპრესიისა და ჩვენივე სახელმწიფოებრივი არასრულყოფილების შედეგად, მიმდინარე წლის ბიუჯეტი შეუძლებელია არ იყოს მკაცრად დაბალანსებული, გაწონასწორებული, და ამდენად მძიმე ყველა ჩვენგანისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრიზისულ მოვლენებს საბოლოოდ ვერ დავძლევთ. მე გუშინ მთავრობის სხდომაზე მოვახსენე მონაწილეებს, რომ საქართველომ ყველაზე ნაკლები დანაკარგებით გამოიარა ეს უმძიმესი კრიზისი, უმძიმესი გამოცდა, შევინარჩუნეთ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, დასაშვებ ფარგლებშია ლარის კურსი, და შევინარჩუნეთ მთელი საბანკო სისტემა. ახლა უკვე შეგვიძლია სერიოზულად ვილაპარაკოთ ერთგვარი აღმავლობის დაწყების მომენტზე. ამავე დროს, არ მომხდარა წარმოების დონის კატასტროფული დაქვეითება და, თუ მიდაეროვნულ პროდუქტზე ვილაპარაკებთ, გარკვეულ ზრდასთანაც კი გვაქვს საქმე. წინა, 1997 წელთან შედარებით, გასული წელი ოთხი პროცენტის მატებით აღინიშნა.

მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის, ნიდერლანდის, რა თქმა უნდა, შეერთებული შტატების, გერმანიის მთავრობის მხრივ საგრძნობი მხარდაჭერის მიუხედავად, 1999 წლის ბიუჯეტის ფორმირება ურთულეს და უძნელეს პირობებში მიმდინარეობს.

ამთავითვე უნდა შევთანხმდეთ ორ ძირითად დებულებაზე და ვთხოვ ყველა მოქალაქეს მიაქციოს ამას ყურადღება: ქვეყანამ შეიძლება დახარჯოს მხოლოდ იმდენი, რამდენიც აქვს – არც მეტი, არც ნაკლები, მაგრამ (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) ემისიის გზით შემოსავლის მოჩვენებითი ზრდა, რაც ჩვენ ძალიან იოლად შეგვეძლია გავაკეთოთ: დავბეჭდოთ ერთი-ორი მილიარდი ლარი და ყველა პრობლემა მოიხსნება, მაგრამ ეს იქნება ერთი-ორი თვის განმავლობაში და იქნება ზუსტად მოჩვენებითი ზრდა და სწორედ კატასტროფის მომასწავებელი. ემისია ქვეყანას კუპონის კოშმარამდე მიიყვანდა და სამომავლო პერსპექტივასაც დააკარგვინებდა. ამიტომ, როგორც მოგახსენეთ, ბიუჯეტი მაქსიმალურად არის გაწონასწორებული, მკაცრია, და შეიძლება ითქვას, ბევრის უკმაყოფილებასაც გამოიწვევს. გუშინ ამასთან დაკავშირებით ჩვენი მინისტრები და მთავრობის წევრები დაუფარავად გამოხატავდნენ უკმარისობის გრძნობას იმ მოცულობის ასიგნებათა გამო, ამა თუ იმ სამინისტროსა თუ ამა თუ იმ უწყებაზე რომ არის გაანგარიშებული.

ვითვალისწინებთ, აგრეთვე, დაცული მუხლების (ეს ერთ-ერთი დადებითი დამახასიათებელი მოვლენაა ამ ბიუჯეტისათვის): ხელფასების, პენსიების დავალიანებათა დაფარვის აუცილებლობას და ეს ბიუჯეტით არის გათვალისწინებული. ის, რაც შარშან ვერ გავეცით, ის დავალიანება, საკმაოდ დიდი თანხა – 80 მილიონზე მეტი ლარი, გათვალისწინებულია ბიუჯეტით და მისი დაფარვა მოხდება თუნდაც კაპიტალურ დაბანდებათა შემცირების ხარჯზე. მაგრამ ხელფასების, პენსიების მომატების ამოცანაც, ურთულესი ვითარების მიუხედავად, დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ალბათ, ეს პირველ კვარტალში ან შეიძლება მეორე კვარტალის პირველ ნახევარში ვერ მოხერხდეს. მაგრამ გარკვეული მატება აუცილებლად მოხდება და ეს იმის ერთგვარი კომპენსაცია იქნება, რაც მოსახლეობამ დაკარგა.

მართლაც განსაკუთრებული ძალისხმევა მართებთ საგადასახადო და საბაჟო სამსახურებს, მთელ სახელმწიფოს, რომლებმაც მიმდინარე წელს გასული წლის რეალურ დონესთან შედარებით თითქმის 40 პროცენტით მეტი გადასახადი უნდა აკრიფონ. ისინი ამას მარტო ვერ შეძლებენ, – მთელი საზოგადოება თუ არ ამოუდგა მხარში ამ სამსახურებს. ვგულისხმობ შესაბამის საზოგადოებრივ ატმოსფეროს, რომელიც აუცილებელია გადასახადების დამალვის საბოლოოდ აღმოფხვრისათვის და ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. მინდა ვაცნობო საქართველოს მოქალაქეებს, რომ საგადასახადო და საბაჟო სამსახურებმა წარმატებით გაართვეს თავი იანვრის დავალებას, რაც წუხელ გვიან ღამით მომახსენეს ბატონებმა ჩიკვილაძემ და მაღლაკელიძემ.

მოგეხსენებათ, იანვარი, განსაკუთრებით მაქსიმალურად დაძაბული დეკემბრის შემდეგ, ყველაზე რთული თვეა, წლის დამდეგია, პირველი თვეა და ყველაზე რთულია, და მით უფრო იმედის მომცემია მათ მიერ მიღწეული შედეგები. მადლობის სიტყვებთან ერთად ორივე სამსახურის საყურადღებოდ კიდევ და კიდევ უნდა განვაცხადო: მათ ექნებათ ხელისუფლების სრული თანადგომა და, რა თქმა უნდა, არ შესუსტდება მომთხოვნელობა. ეს შედეგი არ იქნებოდა მიღწეული, რომ არა სამართალდამცავთა, ადგილობრივ ადმინისტრაციათა აქტიური საქმიანობა, საგანგებო სამთავრობო სამუშაო ჯგუფის თუ კომისიის მიზანმიმართული საქმიანობა, რომელსაც ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს.

ნათქვამს ისიც მინდა დავუმატო, რომ საქართველოს ეკონომიკა ჯანსაღ საფუძველზე დგას (მე მხედველობაში მაქვს ტენდენციები) და რომ შესაბამისი სახელმწიფოებრივი სისტემის სრულყოფის შემთხვევაში, კვლავაც მოვიზიდავთ და მეტადაც ასობით მილიონი დოლარის ინვესტიციებს.

პრივატიზების პროცესი, რომელიც მიმდინარე წელს ახალ იმპულსს შეიძენს, – არა იმდენად, მით უმეტეს არა მხოლოდ ბიუჯეტის შევსებას ისახავს მიზნად, რამდენადაც ახალ ტექნოლოგიათა მოზიდვას, სტრუქტურულ გარდაქმნათა სტიმულირებას პერსპექტიულ დარგებში.

კვლავინდებურად აქტუალურია ნავთობის თემა, საერთოდ, ენერგოშემცველების თემა და ჩვენ ეს ზამთარიც საკმაოდ რთული გვქონდა ყველასათვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო.

საკომუნიკაციო მაგისტრალების მშენებლობასთან ერთად (თქვენ ყველამ კარგად იცით, რაზეა ლაპარაკი – ტრასეკას პროექტი, აბრეშუმის გზა და სხვა) სულ უფრო დიდი ინტერესით განიხილება თვით საქართველოს, ახლა მე უკვე ასე ვიტყოდი, „დიდი ნავთობის" პროგრამის განხორციელების საკითხი.

გასულ კვირას შევხვდი ბრიტანეთის კომპანიის „რემკო ენერჯის" მესვეურებს. ისინი გვარწმუნებენ, რომ მაღალხარისხოვანი ნავთობის საკმაოდ დიდი მარაგია კახეთის რეგიონში. შეუძლებელია არ დავუჯეროთ, ვინაიდან ისინი უკვე ათობით მილიონი დოლარის ინვესტიციებს აბანდებენ.

ამავე დროს კახეთის, დედოფლისწყაროს რაიონში უკვე მუშაობს ამერიკული „ფრონტერა", რომლის ხელმძღვანელები დაუფარავად ლაპარაკობენ მილიარდობით ბარელზე, ანუ ასობით მილიონ ტონა ნავთობზე დედოფლისწყაროში. ეს უკვე მეორე ბლოკია.

ამრიგად, ქვეყანას ეკონომიკური პერსპექტივა, რა თქმა უნდა, აქვს, თანაც ძალიან კარგი და დიდი პერსპექტივაც, მაგრამ წლევანდელი ბიუჯეტი ამჟამინდელი სიტუაციის, დღევანდელი მდგომარეობის სარკეა.

ვიმედოვნებ, პარლამენტარები ჩვეული პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ ურთულეს საკითხს და ჩვენი საზოგადოებაც, საქართველოს მოქალაქენიც გაგებით შეხვდებიან ამ ეტაპზე გადასალახავ სიძნელეებს.

საქინფორმი.

აქციზური მარკები ამოქმედდება

ფინანსთა სამინისტროში აქციზური მარკების სამსახური შეიქმნა, რომელიც თამბაქოს ნაწარმსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზური მარკების აღრიცხვიანობასა და განაწილებას უზრუნველყოფს.

აქციზური მარკები მიეცემათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც წინასწარ გადაიხდიან აქციზის ღირებულებას, რაც ბაზრის დარეგულირებას და საბიუჯეტო შემოსავლის გაზრდას შეუწყობს ხელს. ასეთი მარკები ექნება როგორც იმპორტული, ისე ადგილობრივი წარმოების საქონელს.

სახელმწიფომ დივიდენდების სახით 218 ათასი ლარი მიიღო

სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდების ოდენობა, 1998 წელს, 218 ათასი ლარით განისაზღვრა, – უთხრა პრაიმნიუსს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ მერაბ გაბუნიამ. მისი თქმით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღრიცხვის მოსაწესრიგებლად გარკვეული სამუშაოები განხორციელდა. მუნიციპალურ საკუთრებაში 1998 წელს 267 ობიექტი გადაეცა.

ფუნქციადაკარგული ორგანიზაციები უნდა გაუქმდნენ, ერთი და იგივე პროფილის დაწესებულებების განთავსება კი, ერთ შენობაში უნდა მოხდეს, – აღნიშნა მან.

„ნოსტალგია" როტერდამის კინოფესტივალზე

31 იანვარს როტერდამის კინოფესტივალზე უჩვენეს ქართველი კინორეჟისორის [illegible] კოტეტიშვილის ფილმი „ნოსტალგია", რომელიც საქართველოში ბოლო წლებში მომხდარ მოვლენებს ასახავს.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა კინორეჟისორის უდროოდ გარდაცვალების გამო, ფილმი დაუმთავრებელი დარჩა და მისი დასრულება ტ. კოტეტიშვილის მეუღლემ, ეროვნებით პოლონელმა ინეკე სმიტმა ითავა.

კინოფესტივალზე ასევე უჩვენებენ კახა კიკაბიძის ფილმს „ტბა".

4 თებერვალს „ნოსტალგია" გადაიცემა ნიდერლანდების ტელევიზიის პირველი არხით.

გაიხსნა ტარიელ და ამირან სისაურების გამოფენა

ძმების, ტარიელ და ამირან სისაურების ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა სურათების ეროვნულ გალერეაში.

გამოფენა 8 თებერვლამდე გასტანს.

სურათების ეროვნულ გალერეაში წარმოდგენილია ძველი კოლხური, მითოლოგიური შინაარსის შემცველი 120 ნამუშევარი, რომელიც ბუნებრივი მეფერილობის თექისგან არის დამზადებული.

სისაურების შემოქმედების მიზანია სრულიად ახალი, ამაღლებული, იდუმალი მიდგომის დანერგვა თანამედროვე ხელოვნებაში.

პრემიერა ოპერის თეატრში

(პირველი გვერდიდან)

სამხატვრო ხელმძღვანელია გელა ფარჩუკიძე, ქორმაისტერი – შალვა მაორშაძე.

მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა სპექტაკლის მონაწილენი. მთავარი პარტიები თეატრის წამყვანმა სოლისტებმა, იმ პროფესიონალებმა შეასრულეს, ვის ზურგზეც დღეს ჩვენი საოპერო თეატრის ძირითადი დატვირთვა მოდის.

ლირიკული, მეოცნებე და უიღბლო მიჯნურის ნემორინოს პარტია შეასრულა თემურ გუგუშვილმა. გაქნილი და თაღლითი ექიმის, დულკამარას სახეს კარგად მოერგო გია ასათიანი, ბელკორეს კი – ელდარ გეწაძე. კეკლუცი ადინას პარტია შეასრულა ახალგაზრდა ვოკალისტმა ინგა ლეჟავამ.

„სიყვარულის ნექტარის" დადგმით ქართული საოპერო თეატრის რეპერტუარი ერთგვარად გახალისდა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტებმა.

კანონმდებლები

იწყება საგაზაფხულო სესია

(პირველი გვერდიდან)

დეპუტატები ამ კვირაში სატელეფონო საუბრების წუთობრივ ანაზღაურებაზე გადასვლის საკითხზეც იმსჯელებენ და ამასთან დაკავშირებით, სამთავრობო საათზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრს სერგო ესაკიას მოუსმენენ.

სამთავრობო საათზე დაგეგმილია ასევე ეკონომიკის მინისტრის ლადო პაპავას საანგარიშო გამოსვლა.

დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი მსჯელობს...

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში შედგა ერთობლივი მოსმენა-სემინარი საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო პროგრამების შესახებ. სემინარზე ქვემო ქართლისა და სომხეთის რესპუბლიკის ლორის მხარის საწარმოთა ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონული პროგრამა განიხილეს. სომხეთის მხრიდან, დელეგაციის შემადგენლობაში რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ბიზნესმენები შედიოდნენ.

სომხეთის მხრიდან, სააქციო საზოგადოება „ვალექს" ჯგუფის პრეზიდენტმა ისაუბრა ალავერდის სპილენძის ქიმიური კომბინატის ათწლიანი განვითარების გეგმის ეტაპებსა და თანამშრომლობაზე საქართველოს საწარმოებთან, კერძოდ, ს/ს „მადნეულსა" და „ქიმკომბინატთან". ბიზნესმენმა აღნიშნა, რომ ერთობლივი ეკონომიკური პროგრამა, სულ მცირე, 60 მლნ. აშშ დოლარის სპილენძისა და სპილენძის შემცველ პროდუქციას გამოიმუშავებს.

ს/ს „მანეს ეე ვალექს"-ის წარმომადგენელმა დამსწრეთ ერთობლივი საწარმოო ექსპერიმენტის განხორციელების შედეგად მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დამატებითი რესურსების გამოვლენის შესაძლებლობები გააცნო.

დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ცქიტიშვილმა აღნიშნა, რომ დღეს ორ მეზობელ ქვეყანას შორის, სამწუხაროდ, მივიწყებული ტრადიციული ეკონომიკური თანამშრომლობის აღსადგენად მნიშვნელოვანი მომენტი დადგა. სომხეთის დელეგაციამ საქართველოს მხარეს ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური წინადადებები წარუდგინა. ითქვა, რომ საკითხთა პრაქტიკული ხორცშესხმა ორივე სახელმწიფოსათვის მომგებიანი იქნება.

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო პროგრამების დაზუსტება ეტაპობრივად გაგრძელდება, როგორც ჩვენში, ასევე სომხეთში.

საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა

საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე 2-5 თებერვლის საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგის შესახებ იმსჯელეს.

განსაკუთრებული ყურადღება სატელეფონო საუბრისას წუთობრივ ანაზღაურებაზე გადასვლის საკითხზე გამახვილდა. გადაწყდა, რომ საკითხს პლენარულ სხდომაზე განხილვამდე, პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტი საკომიტეტო მოსმენაზე დაამუშავებს.

ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა, საპარლამენტო უმრავლესობას საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების მნიშვნელობა და ვალდებულებები გააცნო, საქართველოს საპარლამენტო მუდმივმოქმედი დელეგაციის სტრასბურგში ვიზიტის შედეგები გაუზიარა.

ფრაქცია „სახალხო პარტიის" აზრით...

საქართველოს პარლამენტში ფრაქცია „სახალხო პარტიის" სხდომა გაიმართა. ფრაქციის თავმჯდომარის მამუკა გიორგაძის აზრით, სამუშაო გეგმაში ადგილობრივი არჩევნების ანალიზი და მისი პოლიტიკური შეფასება შეტანილი არ არის, რადგანაც მისივე თქმით, საპარლამენტო უმრავლესობას ამ საკითხის განხილვა არ სურს. მამუკა გიორგაძე დარწმუნებულია, რომ ჩატარებულმა არჩევნებმა, როგორც კანონმდებლობის, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მრავალი დარღვევა გამოავლინა და პარლამენტარებმა შექმნილ მდგომარეობაზე აუცილებლად უნდა იმსჯელონ.

ფრაქციის წევრებმა პლენარული სხდომების დღის წესრიგი მუხლობრივად განიხილეს. პარლამენტის სამთავრობო საათზე ეროვნული ბანკისა და კონტროლის პალატის წარმომადგენლები, აგრეთვე, ფინანსთა მინისტრი ფრაქციის წევრთა სადეპუტატო შეკითხვებს გასცემენ პასუხს.

პარლამენტის პრესსამსახური.

რეფორმა

მოსამართლეთა გამოცდები გრძელდება

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო რეფორმამ საქართველოში შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

ამის დასტურია ის ფაქტი, რომ იუსტიციის საბჭოს ძალისხმევით უკვე მესამედ იმართება მოსამართლეობის მსურველთა საკვალიფიკაციო გამოცდები. მომავალ მოსამართლეებს უკვე მესამედ მასპინძლობს პარლამენტის დარბაზი. აქ, 31 იანვარს გაიმართა მოსამართლეობის მსურველთა საკვალიფიკაციო გამოცდის პირველი ტური – ტესტური გამოცდა.

გამოცდის ჩაბარების სურვილი ამჯერად 234-მა იურისტმა გამოთქვა. მათგან 69 მოქმედი მოსამართლეა, 24 – პროკურორი, 40-მდე ადვოკატი და სხვა. მათ შორის 72 ქალია. საბოლოოდ, თერთმეტმა არ გაიტანა საგამოცდო ფურცელი, საერთოდ კი, ოცამდე კანდიდატი არ გამოცხადდა გამოცდაზე. ორი მათგანი დაგვიანებისთვის მოიხსნა.

პირველი გამოცდა, როგორც ცნობილია, ტესტური ხასიათისაა. მონაწილეებს მოუწევთ ექვსი ასტრონომიული საათის განმავლობაში უპასუხონ 100 ტესტურ კითხვას. პასუხი იმავე დღეს გახდება ცნობილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში შესული ცვლილებების მიხედვით იმ მოქმედ მოსამართლეს, რომელიც აღნიშნულ გამოცდებს წარმატებით ჩააბარებს, უფლებამოსილების ვადა 2 წლით უგრძელდება. თუკი ისინი გამოცდების შემდეგ სურვილის მიხედვით საერთო კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას, ჩვეულებრივი წესით, ამჯერად უკვე 10 წლის ვადით, დაინიშნებიან მოსამართლის თანამდებობაზე.

როგორც ცნობილია, 15 მაისიდან ძალაში შედის საპროცესო კოდექსი. ამრიგად, მოქმედ მოსამართლეებს კიდევ ორჯერ – მარტსა და აპრილში მიეცემათ საშუალება, დაამტკიცონ თავიანთი კომპეტენტურობა.

...ამჟამინდელი გამოცდის მეორე ტური – წერითი გამოცდა კი 6 თებერვალს გაიმართება.

მიხეილ სააკაშვილი: გამოცდებს საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს

იმ დიდი დაბრკოლების მიუხედავად, რომელიც სასამართლო სფეროს რეფორმატორებს შეექმნათ, ისინი უკვე მესამედ ატარებენ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდებს.

– ეს გამოცდები ჩვენთვის განსაკუთრებულია, რადგან ეს ეწყობა პირველი საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობილი გადაწყვეტილების შემდეგ, – განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს რეფორმის ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა და ინიციატორმა მიხეილ სააკაშვილმა, – გადაწყვეტილებისა, რომელიც თავისი სულისკვეთებით მიმართული იყო მოსამართლეთა შერჩევის არსებული წესის წინააღმდეგ. როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, შერჩევის ძირითადი პრინციპი შენარჩუნებულია, თუმცა თავისთავად სისტემა გარკვეულწილად შეიცვალა. ის მოქმედი მოსამართლეები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ გამოცდებს, კვლავაც დაინიშნებიან მათი უფლებამოსილების ამოწურვამდე მხოლოდ 2 წლის ვადით.

როგორც სააკაშვილმა თქვა, ყველა საშუალება იხმარეს, რათა ინფორმაციის გაჟონვა არ მომხდარიყო. გაიზარდა უცხოელ მეთვალყურეთა რაოდენობაც. სააკაშვილი კმაყოფილია იმით, რომ მრავალი არამოსამართლე გამოთქვამს გამოცდების ჩაბარების სურვილს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მიმდინარე გამოცდებმა საერთაშორისო მხარდაჭერა მოიპოვა. ეს სტრასბურგშიც აღინიშნა, საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების საკითხის განხილვის დროს.

– 8 ძირითადი პუნქტიდან, რის გამოც საქართველო მიიღეს ევროსაბჭოში, ოთხი სასამართლო რეფორმებს შეეხებოდა და ერთიც საგანგებოდ გამოცდებს. მოსამართლეთა გამოცდების ამ მოდელს ბევრმა დაუჭირა მხარი – იქნებოდა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სენატის, კონგრესის წევრები, თუ ევროსაბჭოს მომხსენებელი, – თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

ამერიკაშიც და ევროპაშიც მოსამართლეთა შერჩევის ეს საკმაოდ გამოცდილი და პოპულარული მოდელი გახლავთ.

მიხეილ სააკაშვილი და იუსტიციის მინისტრი ლადო ჭანტურია გამოცდილების გაზიარების მიზნით რამდენიმე ქვეყანაში არიან მიწვეული. ეს უკვე იმის დასტურია, რომ საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმამ, მათ შორის მოსამართლეთა შერჩევის აღნიშნულმა გამოცდებმაც, მნიშვნელოვანი მხარდაჭერა დაიმსახურა.

საქინფორმი.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

საქართველოს 1999 წლის ბიუჯეტის პროექტი შეუსაბამეს ქვეყნის რეალურ შესაძლებლობებს

(პირველი გვერდიდან)

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის კონკრეტულ ღონისძიებებს. ამასთან, იგი დაწვრილებით შეეხო შარშანდელი მეურნეობრიობის შედეგებს, რომლებიც როგორც მან თქვა, მძიმე ტვირთად დააწვა 1999 წლის ბიუჯეტს. კერძოდ, მინისტრმა განაცხადა, რომ თუ 1998 წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შესრულდა 118,1 პროცენტით, უკვე ნახევარი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი შემცირდა 85,6 პროცენტამდე, ხოლო 11 თვეში – 77 პროცენტამდე. უფრო მეტიც, ოქტომბერში გეგმა შემოსავლის ნაწილში შესრულდა მხოლოდ 67 პროცენტით, ხოლო ნოემბერში – 50,3 პროცენტით. მართალია, დეკემბერში დავალება 236 პროცენტით შესრულდა, მაგრამ საერთო მაჩვენებელი წლის შედეგების მიხედვით სულ 68 პროცენტს შეადგენდა. და როგორც შედეგი – სახელმწიფოს დავალიანებამ მარტო ხელფასებისა და პენსიების გადაუხდელობის ხაზით 90 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო საერთო საბიუჯეტო დავალიანებამ – 140 მილიონ ლარს.

როცა გააანალიზა მწვავე საბიუჯეტო დეფიციტის ხასიათი და მიზეზები, მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აქ კვლავინდებურად მთავარი პრობლემაა საგადასახადო შემოსულობათა დაბალი დონე. ამავე დროს, ბოლო 100 წლის მანძილზე უპრეცედენტო გვალვამ, რომელიც, სხვათა შორის, ახლაც გრძელდება, უაღრესად სერიოზული სიძნელეები წარმოქმნა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, ჰიდროელექტროსადგურებზე ელექტროენერგიის გამომუშავებაში, რამაც მოითხოვა დამატებითი საბიუჯეტო ასიგნებანი მათ შესავსებად. როგორც დავით ონოფრიშვილმა თქვა, ბიუჯეტს პირდაპირი დარტყმა მიაყენა გალის რაიონში მომხდარმა ტრაგიკულმა მოვლენებმა, რის შედეგად იძულებული გახდნენ გამოეძებნათ დაფინანსების სხვადასხვა წყაროებიდან სახსრები, რათა თუნდაც ელემენტარულად დაებინავებინათ მშობლიური სახლებიდან იძულებით გამოდევნილი 50 ათასზე მეტი ლტოლვილი. ვითარება კიდევ უფრო გაართულა მსოფლიოსა და ძირითადად რუსეთში გაჩაღებულმა ფინანსურმა კრიზისმა, როცა რუბლის დაცემამ უშუალო გავლენა მოახდინა ეკონომიკურ ურთიერთობაზე ამ ქვეყანასთან, რომელიც საქართველოს უდიდესი სავაჭრო პარტნიორია. როგორც მინისტრმა თქვა, რუსეთიდან იმპორტირებულმა იაფმა პროდუქციამ გამოიწვია ქვეყნიდან დოლარის მასის გადინება, რასაც მოჰყვა ეროვნული ვალუტის დევალვაცია, და როგორც შედეგი, ინფლაციის ტემპის ზრდა. შექმნილ პირობებში ერთადერთი გამოსავალი ის იყო, რომ შეგვეჩერებინა სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის ინტერვენციები, რათა შემოგვენახა ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები. და ეს გაკეთდა კიდეც, რის მეოხებითაც მოხერხდა შედარებით „რბილად“ იმავე რუსეთთან, მოლდოვასთან, უკრაინასთან, თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან შედარებით გადაგვეტანა ფინანსური კრიზისი, გადაგვერჩინა საბანკო სისტემა.

არადა, ყოველივე ამას, ბუნებრივია, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომელთა საფუძველზე ყალიბდებოდა 1999 წლის ბიუჯეტის პროექტი. მისი შემოსავლის ნაწილი განისაზღვრა 905.600 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო გასავლის ნაწილი – 1.305.000 ათასი ლარის ოდენობით. ბიუჯეტის 35-პროცენტიანი დეფიციტი დაგეგმილია დაიფაროს როგორც შინაგანი, ისე დაფინანსების საგარეო წყაროების ხარჯზე, მათ შორის მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი კრედიტების ხარჯზე. ამასთან საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს უნდა გამოეყოს 186,8 მილიონი ლარი, რომელთაგან 183,8 მილიონი მოხმარდება ქვეყნის საგარეო ვალების მომსახურებას, დანარჩენი კი იქნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მონაწილეობის ხარჯების დაფარვისათვის. როგორც ბიუჯეტის პროექტი მოწმობს, მთავრობის სახელმწიფო ვალის ზღვრული ოდენობა 1999 წლის დამლევისათვის განისაზღვრა 4.945 მილიონი ლარის ოდენობით. აქედან საგარეო ვალის მოცულობა პროგნოზირდება 3.810 მილიონის, ხოლო საშინაო ვალისა – 1.135 მილიონი ლარის ოდენობით.

საგულისხმოა, რომ ესოდენ მწვავე დეფიციტური ბიუჯეტის მიუხედავად, მასში გათვალისწინებულია გამოიყოს სახსრები საშინაო ვალის ნაწილობრივი დაფარვისთვისაც. კერძოდ, გაგრძელდება ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრების ინდექსაციის, საქართველოში თურქმენეთიდან მოწოდებული ბუნებრივი გაზის ღირებულების დაფარვისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გაგზავნილი პროდუქციის მთავრობის დავალიანების გადახდის პროცესი. ამასთან, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული პროგნოზირებული მაჩვენებლების შესრულების კვალობაზე, საბიუჯეტო სფეროს მუშაკთა შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით, 1999 წლის მეორე ნახევრიდან დაგეგმილია ხელფასი გაეზარდოთ საბიუჯეტო ორგანიზაციათა მუშაკებს, აგრეთვე, პენსიები და დახმარებები საშუალოდ 10 პროცენტით. პროექტში გათვალისწინებულია, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ომის ინვალიდთა პენსია შეადგენს 45 ლარს, ომის მონაწილეთა – 40 ლარს, ხოლო მათთან გათანაბრებულ პირთა პენსიები – 35 ლარს.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ეს ის მაქსიმუმია, რომელიც, ქვეყნის მძიმე ფინანსური და ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, შეუძლია რეალურად დაძლიოს ბიუჯეტმა წლეულს. და ესეც შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულდება პროექტში გათვალისწინებული ყველა მაჩვენებელი, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია შარშანდელთან შედარებით 39 პროცენტით ბიუჯეტის საგადასახადო შემოსულობათა გადიდება. ითქვა, რომ ასეთი ზრდა სავსებით მისაღწევია, თუ მხედველობაში იქნება მიღებული ის ფაქტიც, რომ 1999 წლის 1 იანვრიდან ქვეყანაში გაუქმდა პრაქტიკულად ყველა საგადასახადო შეღავათი. დასახული პროგრამის განხორციელებას ხელი უნდა შეუწყოს 1 თებერვლიდან დაწესებულმა საქართველოში თამბაქოს ნაწარმისა და ალკოჰოლიანი სასმელების იმპორტის აკრძალვამ, რომლებიც მარკირებული არ იქნება აქციზური მარკებით, ხოლო 1 მარტიდან – მათი რეალიზაცია ამ მარკების გარეშე, რაც, ექსპერტთა გამოანგარიშებით, მნიშვნელოვან მატებას შეუწყობს ხელს ბიუჯეტში და ამავე დროს იქნება საიმედო დაბრკოლება კონტრაბანდული, ფალსიფიცირებული პროდუქციის შემოტანის გზაზე. ამავე დროს უკვე გამოცხადდა ტენდერი უცხოური კომპანიის გამოსავლენად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მკაცრი კონტროლი საიმპორტო, საექსპორტო და სატრანზიტო საქონელბრუნვისადმი ქვეყნის ტერიტორიაზე და უკვე 1 ივნისიდან წლის განმავლობაში უზრუნველყოს ხაზინაში შესატანი საბაჟო სამსახურის ხაზით სახსრების მოცულობის 50-პროცენტიანი გადიდება.

და მაინც, გასაგებია, რომ ბიუჯეტის პროექტის გასავლის ნაწილის უაღრესად შეზღუდული პარამეტრები ვერ დააკმაყოფილებს ეკონომიკის ვერც ერთი სფეროს, დარგის, სექტორის მოთხოვნილებებს. და ეს აღნიშნეს სხდომაზე, როგორც სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, ადგილობრივ ადმინისტრაციათა მეთაურებმა, ისე სხდომაზე მოწვეულმა პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეებმა. მაგრამ საბოლოო ანგარიშით თითოეული მათგანი რწმუნდებოდა, რომ ამ ეტაპზე ბიუჯეტიდან ასიგნებათა მოცულობის გადიდების რეალური შესაძლებლობანი არ არსებობს. როგორც სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, ერთადერთი გამოსავალია პერსპექტივა, რომელიც შეიძლება და კიდევაც უნდა გამოელინდეს გაისად, ოღონდ იმ პირობით, თუ უთუოდ შესრულდება მიმდინარე წლისათვის დაგეგმილი პროგრამა, გაიზრდება ბიუჯეტში წარმოებისა და საგადასახადო შემოსულობათა მოცულობა.

შეაჯამა რა განხილვის შედეგები, ქვეყნის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტი გარკვეულწილად უჩვეულოა. რამდენიმე წლის განმავლობაში, 1995 წლიდან მოყოლებული, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს ეკონომიკა ასე თუ ისე აღმავლობის გზაზე იმყოფებოდა, რაც ბიუჯეტშიც ისახებოდა. როგორც მან თქვა, მართალია, არ ყოფილა ძალიან საგრძნობი ზრდა, განსაკუთრებით მოსახლეობისათვის, მაგრამ მთლიანად ეს გამოიხატებოდა ფინანსური და ეკონომიკური გაჯანსაღების ტენდენციით. სამწუხაროდ, აღნიშნა მან, გასული წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, ვითარდებოდა მოვლენები, რომლებმაც უმძიმესი კვალი დატოვეს, და ამას, ბუნებრივია, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა 1999 წლის ბიუჯეტზე. ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა ყველას სთხოვა მომავალი საპარლამენტო დებატების დროს ობიექტურად მიუდგნენ ამ ბიუჯეტის განხილვას. მას მიაჩნია, რომ, როცა ლაპარაკი იქნება ამ დოკუმენტისათვის კანონის ძალის მინიჭების შესახებ, უნდა იხელმძღვანელონ იმ რეალური სიტუაციით, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა, ამასთან რის გაკეთება შეუძლია და რის არა მას. სახელმწიფოს მეთაურს არ გამოურიცხავს, რომ შესაძლებელია მცირე კორექტივები ბიუჯეტის პროექტში. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, თქვა მან, შევცვალოთ ის ძირითადი პარამეტრები, რომლებიც უკვე შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რადგან ეს შეიძლება ძვირად დაუჯდეს ქვეყანას, მოაკლდეს არა მარტო საერთაშორისო სავალუტო ფონდის, არამედ ისეთი ორგანიზაციების მხარდაჭერა, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, ასე კარგად რომ არის განწყობილი საქართველოსადმი და ყოველნაირად ცდილობს დაეხმაროს მას, აგრეთვე, ევროკავშირის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების, ჰოლანდიის, იაპონიის, სხვა ქვეყნების მხარდაჭერაც, რომლებიც დაბეჯითებით გვირჩევენ ვიმოქმედოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციათა ფარგლებში.

ამიტომაც, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მაქსიმალური გაგებით უნდა მოვეკიდოთ იმ პარამეტრებს, რომლებიც დასახულია ბიუჯეტის პროექტში, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, კარგად ესმის რამდენად არ შეესაბამება ისინი ქვეყნის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში არსებულ მოთხოვნებს. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ ელემენტარული ჭეშმარიტებით, რომ სხვა გზა არა გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ ემისიის გზაღა გვრჩება. ამაზე კი, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან ეს გამოიწვევს არა მარტო ინფლაციურ აფეთქებას, არამედ ქვეყანას სრულ კრახამდე მიიყვანს, გაანადგურებს ყველა იმ საფუძველს, რომლებიც კრიზისის მიუხედავად, ასე თუ ისე შენარჩუნებულია საქართველოში, რაც ვერ მოახერხეს ბევრ სხვა ქვეყანაში. ედუარდ შევარდნაძის თქმით, საქართველო ჩამოყალიბდა სახელმწიფოდ და ამიტომ საქმე კატასტროფამდე არ მისულა, და ახლა ისახება კრიზისიდან გამოსვლის რეალური გზები. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ შენარჩუნებულია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, ლარის დევალვაციას კატასტროფული ხასიათი არ მიუღია სამომხმარებლო ფასების გარკვეული ზრდის მიუხედავად, მოხერხდა ინფლაციური აფეთქების თავიდან აცილება, გადარჩა საბანკო სისტემა. უფრო მეტიც, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, პერსპექტიულმა საწარმოებმა დაიწყეს მოკიდან გამოსვლა და ეს ტენდენცია უნდა განვითარდეს. უაღრესად საჭიროა, – მიაჩნია ედუარდ შევარდნაძეს, რომ კრიზისმა არ შეანელოს ინვესტორთა ინტერესი საქართველოსადმი, რასაც მჭევრმეტყველურად მოწმობს „თელასის“ პრივატიზაციის მაგალითი. ამასთან, პრეზიდენტმა ყურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ საკუთარი რეზერვები და პოტენციური შესაძლებლობანი თითოეულ სფეროში, დარგში, თითოეულ უბანზე. მან კატეგორიულად მოითხოვა ბოლო მოეღოს კონტრაბანდას, კორუფციას, რაზეც, როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ცალკე სჯაბაასი გაიმართება.

ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებას არ უნდა მოჰყვეს პოლიტიკური და სახელმწიფო კატაკლიზმები, ანტირეფორმისტული კურსის ჩამოყალიბება. და ამაში, თქვა პრეზიდენტმა, უნდა გამოვიჩინოთ პოლიტიკური სიბრძნე, შორსმჭვრეტელობა, ავამოქმედოთ მთელი ქვეყნის ნება, რათა შევინარჩუნოთ სტაბილურობა, განვაგრძოთ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა.

ედუარდ ედიბერიძე,
საქინფორმის კორ.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

ეუთო მხარს არ უჭერს ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ აფხაზ ხელისუფალთა ცალმხრივ ინიციატივას

(პირველი გვერდიდან)

ლაკომბის შეფასებით, კვლავ უაღრესად დაძაბულია სიტუაცია აფხაზეთში. ეუთოს მისიის მთავარი ამოცანა ამ ეტაპზე კვლავ გალში ეუთოს ოფისის გახსნაა, რისთვისაც აუცილებელია შეთანხმება გაეროსთან და ლტოლვილთა დაბრუნებისთვის გარკვეული გარანტიების შექმნა.

მისიის მეთაური შეეხო ლტოლვილთა დაბრუნებასთან დაკავშირებით ვლადისლავ არძინბას ცალმხრივ ინიციატივას და განაცხადა, რომ მისი განხორციელება შეუძლებელი იქნება საქართველოსთან შეთანხმების გარეშე.

მოხსენებაში ყურადღება დაეთმო საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის თემას. მისიის მეთაურმა სინანულით აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით სერიოზულად აფერხებს ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო რეფორმის მიმდინარეობას.

საქართველოში ეუთოს მისიის მეთაურის ანგარიშს გამოეხმაურნენ გერმანიისა და ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, კანადის, თურქეთის, შვეიცარიის, სომხეთის დელეგაციები.

ევროპაში მიესალმა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს, კონსტრუქციულ ატმოსფეროს, რომელიც სუფევდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრსა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას შორის შეხვედრაზე. ევროკავშირმა გამოთქვა რწმენა, რომ პრეზიდენტ შევარდნაძისა და ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიის პრეზიდენტის ძასოხოვის მომავალი შეხვედრა შემდგომ ბიძგს მისცემს საქართველოში პოლიტიკური პროცესის წარმატებულ განვითარებას. ამ პროცესს ხელს შეუწყობს, აგრეთვე, ევროკავშირის პროგრამა სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური რეაბილიტაციის შესახებ, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების სწრაფი დაბრუნება და მათი საკუთრების უფლების დაკანონება. ამ მიზნებით ევროკავშირმა მნიშვნელოვანი დახმარება გამოუყო საქართველოს.

ევროკავშირმა შეშფოთება გამოთქვა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში არსებული დაძაბულობის გამო და მოუწოდა მხარეებს, განაგრძონ მოლაპარაკება და გამოიჩინონ კეთილი ნება. იგი, ასევე, მოუწოდებს მხარეებს, შეასრულონ ჟენევის პროცესის ფორმატში კეთილი ნებით მიღებული გადაწყვეტილებები.

ყველა გამოხმაურებაში ხაზგასმით აღინიშნა საქართველოში კონფლიქტების დროული მოწესრიგებისა და ამ პროცესში ეუთოს მონაწილეობის გააქტიურების აუცილებლობა.

სხდომაზე განცხადება გააკეთა ეუთოში საქართველოს დელეგაციის მეთაურმა ლევან მიქელაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ეუთოს მისიის მეთაურსა და მის გუნდს გაწეული სამუშაოსა და საქართველოში მიმდინარე პროცესების ობიექტური ასახვისათვის. მან განსაკუთრებით აღნიშნა ეუთოს წვლილი ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებში და განაცხადა, რომ მხარეები აპირებენ განაგრძონ მუშაობა „გარდამავალ დოკუმენტზე“, აღადგინონ და გამოაცოცხლონ ერთობლივი საკონტროლო კომისია და გააძლიერონ პოსტკონფლიქტური ეკონომიკური რეაბილიტაციის პროცესი.

რაც შეეხება კონფლიქტს აფხაზეთში, საქართველოს დელეგაციის განცხადებით, მისი მოწესრიგების პროცესი, პრაქტიკულად, სტაგნაციაშია. აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის ინიციატივა, ცალმხრივად დაიწყოს ლტოლვილთა დაბრუნება, მისი შეფასებით, ნონსენსი და საერთაშორისო თანამეგობრობის შეცდომაში შეყვანის მცდელობაა. მისი ნებისმიერი მხარდაჭერა კი ხელს შეუშლის არა მხოლოდ ლტოლვილების დაბრუნებას, არამედ მთლიანად სამშვიდობო პროცესს.

დელეგაციის ხელმძღვანელი შეეხო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ძალების სამშვიდობო ოპერაციას. მისი განცხადებით ამ ოპერაციისა და უსაფრთხოების ღონისძიებათა ხარისხი არადამაკმაყოფილებელია, რაც დღის წესრიგში აყენებს ოპერაციის ფორმატის შეცვლას.

ის ფაქტი, რომ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში არავითარ ხელშესახებ წინსვლას არ აქვს ადგილი, საქართველოს წარმომადგენელმა შეაფასა, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის პირდაპირი შედეგი და იმედი გამოთქვა, რომ ეუთო და მისი მისია გააქტიურებს ამ მიმართულებით თავის ძალისხმევას. იგი მიესალმა ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის მზადყოფნას, დაიწყოს კონსულტაციები გაეროს გენერალურ მდივანთან იმ პრობლემებზე, რომლებიც საქართველოში კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში ეუთოსა და გაეროს თანამშრომლობას უკავშირდება.

საქინფორმი.

პარტიებსა და მოძრაობებში

(პირველი გვერდიდან)

– ეს შეუსაბამობები კვლავ რჩება, რადგანაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ის ნაბიჯები არ იდგმება, რომლებიც საქართველოს გამოიყვანს ამ კრიზისული ვითარებიდან. დღეს რომ საქართველოში ერთპარტიული მმართველობა არ არის, ეს უაღრესად დადებითი მოვლენაა. და არ შეიძლება, ეს დადებითი მომენტი არ აღვნიშნოთ. მაგრამ ის, რომ დღეს კვლავ შეიმჩნევა ავტორიტარული რეჟიმის ნიშნები – ეს რეალობაა. ისინი რომ დღეს აცხადებენ, ევროსაბჭოში თუ ევროპის კავშირში გვინდა ყოფნაო, – იმ ხალხის დამსახურებაა, რომელთაც მაშინ არ ეშინოდათ ამის თქმა, როცა მათ სწორედ ის ადამიანები ებრძოდნენ, დღეს რომ დასავლეთის თავგადაკლული მომხრეები არიან. მაშინ ჩვენნაირთ ებრძოდნენ, რას ჰქვია, რუსეთის წინააღმდეგ გამოდიხართო.

დღეს, როცა რუსეთთან ურთიერთობაზეა საუბარი, ჩვენ იმ აუცილებლობიდან გამოვდივართ, რომ ისტორიულად ასეთი იმპერიული სახელმწიფოს არსებობა უახლოეს მომავალში მთელი მსოფლიოსთვის ანომალია იქნება. და, ბუნებრივია, რუსეთი საქართველოს ტერიტორიიდან, დღეს თუ არა, ხვალ გაიყვანს ჯარს. მაგრამ იმ დროისათვის ექნება თუ არა საქართველოს ის სტრუქტურები, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებელი ქვეყნისათვის საჭირო ფუნქციების შესრულებას, ამ ხუთმა წელიწადმა, რაც ჩვენ დსთ-ში ვცხოვრობთ, შეგვიშალა თუ არ შეგვიშალა ხელი, რომ ასეთი სტრუქტურები ვერ შევქმენით? ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ აფხაზეთიდან ასი-ათასობით კაცია გამოდევნილი, ან ვინ არის დამნაშავე, რომ კონფლიქტის ზონაში ათასობით ადამიანი დაიხოცა?

– ყველას აკვირვებს ის ფაქტი, რომ თქვენ და ტრადიციონალისტები, რომლებიც ეროვნულ მოძრაობიდან მოდიხართ, ახლა კომუნისტებისა და სხვა მემარცხენე პარტიების მხარდამხარ დგახართ? ამბობენ, სახალხო პარტია „კომუნისტებს შეეკრაო“.

– ჩემთვის გაუგებარია თვითონ ეს თემა, კომუნისტებთან რა „შეეკრაზეა“ საუბარი! სახალხო პარტიას არანაირი კავშირი არ ჰქონია კომპარტიასთან. უფრო მეტიც, ჩვენ ვიყავით და კვლავ ვრჩებით ერთ-ერთ ყველაზე შეურიგებელ ანტიკომუნისტურ ძალად, ამასთან, ჩვენ არასოდეს გამოვსულვართ პიროვნებების წინააღმდეგ და არც ახლა გამოვდივართ. მაგრამ კომუნისტური იდეოლოგია ჩვენთვის მიუღებელია და დამღუპველია, რასაც ცალსახად ყველგან ვაცხადებთ. მათთვის თავზე ხელის გადასმა და მოფერება არსებული ხელისუფლებისათვის უფრო არის დამახასიათებელი. მაგალითად ეს შემიძლია მოვიყვანო: სახალხო პარტიას პრაქტიკულად ოფისი არა აქვს, არადა, კანონი ხელისუფლებას ავალდებულებს, როგორც საპარლამენტო პარტია, უზრუნველყოს ყველანაირი ტექნიკური საშუალებებით. კომპარტიას კი საქართველოს ყველა რაიონში ოფისებიც აქვს (ბევრი მათგანი გამგეობის შენობებშია განთავსებული) და მუშაობისათვის საჭირო სხვა პირობებიც.

კომუნისტური იდეოლოგია საქართველოსთვის დამღუპველია!

– ესე იგი, „სახალხოს“ პანტელეიმონ გიორგაძესთან ყოველგვარ კავშირს გამორიცხავთ?

– სახალხო პარტიას არც ჰქონდა, ვერც ექნება კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელ ორგანიზაციებთან ურთიერთობა. რაც შეეხება პანტელეიმონ გიორგაძეს, გვარს თუ არ ჩავთვლით, მასთან საერთო არაფერი მაქვს. არავითარი კონტაქტი არ გვქონია ჩვენ ერთმანეთთან და არც შეიძლება გვქონოდა.

– აქ საუბარია იმაზე, რომ თქვენ მასთან კონტაქტი შეიძლება ორმხრივი ურთიერთობის სახით არ გქონდეთ, მაგრამ, მაგალითად, ე. წ. „მეორე პოლიტიკური ცენტრის“ ფარგლებში კი ერთობლივად მოღვაწეობდეთ.

– ეს ძალზე საინტერესო თემაა. დღეს ხელისუფლება საკმაოდ მძიმე ვითარებამია ჩავარდნილი, მან ძალიან კარგად იცის, რომ ეკონომიკური რეფორმების განხორციელება აღარ შეუძლია, სოციალური პრობლემების გადაჭრაშიც უძლურია და ხელისუფლება ხედება, რომ საჭიროა ახალი პოპულისტური თემის წამოწევა. ამიტომაც ხდება სახალხო პარტიის დისკრედიტაცია. სწორედ ამიტომაც არის, რომ ჩვენ რაღაც ალიანსებში შესვლასა და ვიღაც-ვიღაცეებთან კავშირის გაბმას გვაბრალებენ, მაგრამ არავის არაფერი გამოუვა, რადგან ჩვენ ოცი წელიწადია ეროვნულობის სადარაჯოზე ვდგავართ და ვიდგებით. ჩვენთვის ყოველგვარი კომუნისტური თუ მისი მსგავსი რეჟიმი მიუღებელია.

– ოპოზიციის ძირითადი „მოვალეობა“ ხელისუფლებისადმი დაპირისპირებაა, მაგრამ ეროვნული მოძრაობიდან მოსულ ისეთ პარტიას, როგორიც, მაგალითად, თქვენი პარტიაა, ერთი სპეციფიკაც უნდა ახასიათებდეს – კომუნიზმთან ბრძოლა. როგორ გგონიათ, რა სახით უნდა დაუპირისპირდეთ საქართველოში ამ ბოლო ხანს მომძლავრებულ კომუნისტურ იდეოლოგიას?

– უნდა დავუპირისპირდეთ საქმით. უპირველეს ყოვლისა, კი იმით, რომ ყველა ეროვნულ ძალას მივცეთ საშუალება წარმატებით განახორციელოს საქმიანობა, მივცეთ თავისუფალი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, ჰქონდეთ საშუალება ადგილებზე აუხსნან მოსახლეობას თუ რა საფრთხეს წარმოადგენს კომუნისტური რეჟიმის ყოველგვარი გამოვლინება, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს კომუნიზმის პროპაგანდა, რა საფრთხეს წარმოადგენს დღევანდელ ვითარებაში რეფორმების განუხორციელებლობა და ა. შ.

– და თქვენი პარტია ამ საქმიანობას უკვე ახორციელებს?

– ჩვენ ცალკე გვიწევს ამ საქმიანობის განხორციელებაც და ცალკე გვიწევს ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაც, რომელიც პრაქტიკულად არ გვაძლევს საშუალებას კომუნისტებს ვებრძოლოთ. მაგრამ, საქმეც ის არის, რომ დღეს ხელისუფლებისათვის სახალხო პარტია უფრო სამიშია, ვიდრე პრორუსული კომუნისტური ძალები.

– ესე იგი, ხელისუფლება და მმართველი პარტია გიშლიან ხელს კომუნისტებთან ბრძოლაში? რაში გამოიხატება ეს ხელის შეშლა?

– ზემოთ ხომ უკვე აღვნიშნე, რომ ყველა გამგებელი კანონით ვალდებულია ოფისი გამოგვეყოს გამგეობის შენობაში, – ამას არ აკეთებენ. სამაგიეროდ, კომუნისტებს ამის საშუალება აქვთ. გარდა ამისა, ეს ხელის შეშლა ადგილობრივ არჩევნებზეც გამოიკვეთა, როცა მიმდინარეობდა ზეწოლა სახალხო პარტიაზე, დარბევებსა თუ დაპატიმრებებს ვგულისხმობ, ჩვენი წევრები რომ განიცდიდნენ. ამას პოლიცია და ადგილობრივი ხელისუფლება ეწეოდნენ და დღესაც აგრძელებენ. ეს ყოველივე ხელს გვიშლის ჩვენი ფუნქციის წარმატებით განხორციელებაში. ამით კი ის ადამიანები სარგებლობენ, რომლებსაც აქვთ სათანადო ფინანსური მხარდაჭერა რუსეთიდან და ა. შ.

ჩვენ ცალსახად ვამბობთ, რომ საქართველოს ადგილს ვხედავთ მხოლოდ დასავლეთში. რუსეთის ბაზებთან დაკავშირებით ჩვენი უარყოფითი პოზიციაც ასევე საქვეყნოდ არის ცნობილი.

– თქვენ საქართველოს ადგილს დასავლეთში ხედავთ. და თქვენს პარტიას ქართულ პოლიტიკაში რა ადგილს მიუჩენთ? რომ ამბობენ, საქართველოში ორი პოლიტიკური ცენტრი არსებობსო (თბილისსა და ბათუმში), თქვენ რომელ მათგანს აკუთვნებთ საკუთარ თავს?

– ჩვენ არაერთხელ გაგვიცხადებია, რომ ვერ ვხედავთ საქართველოში საკითხის ასეთი დასმის აუცილებლობას. ვიღაცეებს, ალბათ, ხელს აძლევთ, რომ საქართველოში ორი პოლიტიკური ცენტრი იყოს. ჩვენ კი ამ საკითხს უფრო რეალისტურად ვუყურებთ. დღეს ხელისუფლებაში არსებობს პრეზიდენტობის ორი ყველაზე სავარაუდოდ რეალური კანდიდატურა: ედუარდ შევარდნაძე და ასლან აბაშიძე. პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს ბევრი პარამეტრი განაპირობებს. ამ პარამეტრების მიხედვით ედუარდ შევარდნაძეც და ასლან აბაშიძეც ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. ერთი ცენტრალური, ხოლო მეორე რეგიონული ხელისუფალია. სახალხო პარტია კი, შესაბამისად, ოპოზიციის წარმომადგენელია. აქედან გამომდინარე ჩვენი დამოკიდებულება, როგორც ერთის, ისე მეორეს მიმართ, სწორედ ამ ფაქტით განისაზღვრება.

რაც შეეხება მესამე თუ მეათე ცენტრს, დღეს საქართველოს ხელისუფლებაში სხვა ასეთი გამოკვეთილი პიროვნება, ჯერჯერობით, არ ჩანს. რაც შეეხება ოპოზიციურ ბანაკს, სახალხო პარტიას გვეყოლება პრეზიდენტობის კანდიდატი. საპარლამენტო არჩევნები მოგვცემს იმის ნათელ სურათს, რამდენად რეალური იქნება ამ კანდიდატის გამარჯვება.

ასე რომ, რეალურად მხოლოდ და მხოლოდ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერებს, ან მათ წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა კენჭი იყარონ პრეზიდენტობაზე და გაიმარჯვონ.

ესაუბრა
ბექა ჭედია.

კონფლიქტის ზონა

ჰააგის სასამართლოში შესაძლოა აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდის ფაქტები განიხილონ

აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდის ფაქტთან დაკავშირებით ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა უთხრა. მისი თქმით, სარჩელის აღძვრის წინაპირობაა საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება.

ნადარეიშვილის განცხადებით, საჭიროა ტექნიკური დეტალების დაზუსტება, რის შემდეგაც ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა საერთაშორისო სასამართლოში სარჩელს აღძრავს.

საქართველოს გენერალური პროკურატურისა და ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ დასრულდა ქართველ-აფხაზური კონფლიქტისას ქართველთა გენოციდის საქმის გამოძიება. გამოძიებული მასალები 300 ტომს შეადგენს.

სომხები გუდაუთას ტოვებენ

სოხუმში კიდევ უფრო გართულდა დამოკიდებულება აფხაზებსა და სომხებს შორის, განსაკუთრებით ბევრმა სომეხმა დატოვა გუდაუთის რაიონი. სომეხმა მოსახლეობამ და მისმა ლიდერებმა ვეღარ გაუძლეს შევიწროებას და ხმა აიმაღლეს არძინბას რეჟიმის წინააღმდეგ. აფხაზური ხელისუფლება სომეხი მოსახლეობის დასაწყნარებლად იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო – კომპაქტურად დასახლებულ სომხურ სოფლებში მათ დაურიგდათ იარაღი საკუთარი სახლ-კარის დასაცავად.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, ბგამ.

პრესკონფერენცია

ისევ „ახალი ქსელების“ სალიმიტო დროის გამო

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსა და „ახალ ქსელებს“ შორის არსებულ დებატებში თბილისის მოსახლეობაც აქტიურად ჩაება.

საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე შემოსული შპს „ახალი ქსელების“ აბონენტთა კოლექტიური საპრეტენზიო განცხადებები გახდა მიზეზი პრესკონფერენციისა, რომელიც სახალხო დამცველმა დავით სალარიძემ გამართა. როგორც მან აღნიშნა, მოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოქალაქეები თავიდანვე არ იყვნენ გარკვეულნი „ახალი ქსელების“ სისტემაში. მას მუშაობის საკუთარი სტრუქტურა გააჩნია. სახალხო დამცველმა მოვალეობად ჩათვალა და მიაღწია კიდეც მხარეთა შორის „შემამსუბუქებელ“ საქმიან მოლაპარაკებას. თუმცა, თქვა, რომ ქვეყანაში შექმნილი საბაზრო ურთიერთობების მიუხედავად, მოსახლეობის სოციალური დონე მაინც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, შპს „ახალი ქსელების“ გენერალურმა დირექტორმა ავთანდილ იაშვილმა დასძინა, რომ ხუთწლიანმა პრაქტიკამ განსაზღვრა „ქსელების“ აბონენტთა სალაპარაკო სალიმიტო დრო (ფიქსირებული ტარიფით თვეში 1 ლარია გადასახადი).

გიორგი კაკუბერმა, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის პირველმა მოადგილემ, პრესკონფერენციაზე მადლობა გადაუხადა პრესის წარმომადგენლებს, რომელთაც შესძლეს საქართველოს ელექტროკავშირის მუშაკთა დაბნეულობის გაფანტვა, „ახალი ქსელების“ ციფრობრივი ტარიფის შემოღებამ რომ გამოიწვია.

ია კალანდარიშვილი.

არატრადიციული

საქართველოში ენერგიის განახლებადი წყაროების ფართომასშტაბური გამოყენება ქვეყნის მდგრადი განვითარების წინაპირობაა

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება ენერგიის განახლებადი წყაროების მიზანმიმართული გამოყენების აუცილებლობა.

1992 წლის ივნისში რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია) 154 ქვეყნის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციას, საქართველო ხსენებულ დოკუმენტს 1994 წლის ოქტომბერს შეუერთდა, ჩარჩო-კონვენციის მმართველი ორგანოს — მხარეთა კონფერენციის ინიციატივით შეიქმნა და ამჟამად სრულყოფის სტადიაშია „ერთობლივი განხორციელების“ სისტემა, მისი ამოქმედების პრინციპი არის ის, რომ განვითარებული ქვეყნები განვითარებად ქვეყნებს, მათგან „სათბური გაზის კრედიტის მიღების“ სანაცვლოდ, დააფინანსებენ იმ სამეურნეო ხასიათის პროექტებს, რომლებიც მინიმალურად დააზარალებენ გარემოს.

1996 წლის სექტემბერს ჰარარეში (ზიმბაბვე) გაეროს ეგიდით შედგა მსოფლიო შეხვედრა უმაღლეს დონეზე, რომელზეც შეიქმნა მსოფლიო მზის კომისია, რომლის საპატიო წევრია ბატონი ედუარდ შევარდნაძე. სამიტი მიეძღვნა მზის ენერგიის პრობლემებს. კერძოდ, აქ მიიღეს ე. წ. „მზის მსოფლიო პროგრამა“ (მმპ), რომელიც წარმოადგენს გრძელვადიან (1996-2005 წწ.) ინიციატივას, რომლის ფარგლებში ხელი შეეწყობა მთავრობების და ორგანიზაციების ფართო პარტნიორობას და თანამშრომლობას ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისებისთვის.

ჰარარეს მსოფლიო შეხვედრაში საქართველოს მონაწილეობა და მმპ-ის მიზნების გაზიარება გარკვეულწილად განაპირობებს ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების კონცეპტუალურ მხარეს.

აღნიშნულ შეხვედრაზე იუნესკოს ეგიდით წარდგენილია საქართველოს ხუთი ქვემოთ მოყვანილი პროექტი:

— მზის სკოლები საქართველოს მაღალმთიანი რაიონული ცენტრებიდან დაშორებული დასახლებული პუნქტებისათვის;
— მცირე ჰიდროელექტროსადგურები;
— ქარის ელექტროსადგური მთა საბუეთზე;
— ქარის ელექტროსადგური ფოთში;
— მზის მთიანი სოფელი.

ხუთივე პროექტი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლების „იუნესკოს“ საქართველოს მისიის ხელმძღვანელის პაატა შევარდნაძის ძალისხმევით შეტანილია განსახილველ პროექტთა ნუსხაში. „მზიური დასახლების“ პროექტის ანალიზიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის უზრუნველყოფა ეკოლოგიურად სუფთა, საიმედო, ავტონომიური და ამოუწურავი ენერგორესურსებით, საშუალო ფენის ფერმერთა მეურნეობების შექმნის ძირითადი პირობაა.

ისმება კითხვა: სჭირდება თუ არა საქართველოს საშუალო, რენტაბელური ფერმერული მეურნეობების განვითარება და რა ბარიერები არსებობს ამ მხრივ?

აღნიშნული ფერმერული მეურნეობების განვითარება ეყრდნობა ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენებას. თქვენ კარგად იცით, რომ მას სჭირდება სტაბილური იაფი ენერგომომარაგება. ენერგოუზრუნველყოფა ხდება ენერგიის განახლებადი წყაროების (მზე, ბიოაირი, გეოთერმია, ქარი, მცირე ჰესი) — საშუალებით იმ შემთხვევაში თუ არაა გეოთერმიის, მცირე ჰესის ან ქარის ენერგიების საშუალება, მზის და ბიოაირის ენერგიას მთლიანად შეუძლია დააკმაყოფილოს ფერმის ენერგომოთხოვნილება. რამდენადაც საქართველოში ხდება ძირითადი იმპორტი ქათმის ბარკლების, კვერცხის, რძის პროდუქტების, რძის ფხვნილის, კარაქის და სხვა, ფერმერთა ფენის შექმნა საქართველოში მეტად საშური საქმეა. ამათთვის უნდა შემუშავდეს სპეციალური შეღავათიანი საგადასახადო კანონი, რათა მათ მოახერხონ გარკვეული დროის განმავლობაში (მაგალითად, ხუთ წელიწადში) ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების სისტემების აღჭურვა და მეურნეობების ჩამოყალიბება. შემდგომში შექმნილი ფერმები ბიუჯეტის ერთ-ერთი შემავსებელი წყარო გახდება. ამასთან, მოხდება ხალხის მასობრივი დასაქმება.

ასევე უნდა მოხდეს მომავალი ფერმერების განათლება ერთ-ერთ საექსპერიმენტო მეურნეობაში, სწორედ ასეთს წარმოადგენს „მზიური დასახლების პროექტი“ ასპინძის რაიონში, რომელიც შეიქმნა საქართველოში ბიზნეს-ცენტრ „სოფლმენთან“ არსებული შპს „ხუროთმოძღვრის“ ინჟინერთა ჯგუფის მიერ (ხელმძღვანელი კახა ქორიძე). წარმოდგენილი „ვარძიის მზიური დასახლების პროექტის“ იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ენერგეტიკის სფეროში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვამ უნდა გადაჭრას არა მარტო გარემოსდაცვითი, არამედ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა განვითარების საკითხებიც.

პროექტის თანახმად ასპინძის რაიონი დარჩება ტრადიციულად აგრარული პროფილის მხარედ. თავისთავად იგულისხმება, რომ მზიური დასახლების რეგიონში სოფლის მეურნეობა უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა.

პროექტის მიხედვით დასახლება დაყოფილია სამ ძირითად უბნად: საზოგადოებრივი ცენტრი, თხუთმეტკომლიანი ორი დასახლება და ორი ფერმერული მეურნეობა. საცხოვრებელი უბნები ტრადიციული ტერასული განაშენიანების პრინციპითაა დაპროექტებული. საკარმიდამო ნაკვეთები სამ ნაწილადაა გაყოფილი. პირველ ეტაპზე განთავსდება საცხოვრებელი სახლი, რომელიც მესხური ერთერდოიანი-გვირგვინიანი ტიპისა იქნება. მეორე ტერასაზე გათვალისწინებულია ჭირნახულის გადამამუშავებელი სათავსების, ბოსტნის, ზამთრის ბაღისა და სათბურის მოთავსება, მესამე ტერასზე კი საქონლის ღია და დახურული სადგომები განლაგდება, რომლებზეც დამონტაჟდება მზის ფოტოგარდამქმნელი ბატარეები. ბოსლის ქვეშ გათვალისწინებულია ბიოგაზის დანადგარის მოწყობა. სახლების თბომომარაგება მოხდება გეოთერმული წყლის საშუალებით.

ასპინძის რაიონში სადემონსტრაციო პროექტის განხორციელება შექმნის პრეცედენტს საქართველოს ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენებისა და ენერგოდამზოგი საშუალებების გამოცდის მსოფლიო ლაბორატორიად გადაქცევის საქმეში.

საქართველოს ხელისუფლება ზრუნავს აღნიშნული საშუალებების მწარმოებელთა და ინვესტორებისათვის შექმნას ხელსაყრელი პირობები, რაც პროტექციონისტული საგადასახადო კანონების დამკვიდრებაში გამოიხატება.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის კლიმატის კვლევის ეროვნული ცენტრის ერთობლივი მუშაობის შედეგად გაეროს კლიმატის ცვლილების კონვენციის ხაზით მომზადდა და წარდგენილ იქნა პროექტები გლობალურ გარემოსდაცვით ფონდში და ერთობლივი განხორციელების სისტემებში. ამ პროექტებიდან, უპირველეს ყოვლისა, დაავასახელებდი ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის პროექტს — „საქართველოში თბომომარაგების და ცხელწყალმომარაგების სექტორში არსებული ბარიერების მოხსნა, რომლებიც ხელს უშლიან ენერგოეფექტურობის ამაღლებას“, რომელიც განხილული და მიღებულია გლობალურ გარემოსდაცვითი ფონდის მიერ და „საქართველოში არსებული მცირე ჰესების პოტენციალის შესწავლა და მათი რეაბილიტაციის პერსპექტივების“ პროექტს, რომელიც განხილვის პროცესშია. ამ პროექტების შესრულების შედეგად, შემდგომ ეტაპზე განხორციელდება კონკრეტული სადემონსტრაციო პროექტები.

ამჟამად მიმდინარეობს იაპონური კომპანიის „პრაის უოტერჰაუსის“ და „იჩიმეის“ მუშაობა ერთობლივ პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს მთა საბუეთზე 10 მგტ. სიმძლავის ქარის ელექტროსადგურის აშენებას. აფინანსებენ იაპონიის ბანკები.

ასევე ქ. ქუთაისში იაპონურ კომპანიასთან „ტუმენ კორპორეიშენთან“ ერთად წარმოებს მოსამზადებელი საპროექტო სამუშაოები. ამ პროექტით იაპონური კომპანიები და მთავრობა გამოყოფენ კრედიტს — 50 მლნ აშშ დოლარს, 50 მეტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისათვის. კრედიტის გამოყოფას საფუძვლად უდევს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციიდან გამომდინარე პროცესები.

ამ პროცესების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა 1998 წლის იანვარსა და ივლისში უმაღლესი დონის საერთაშორისო კონფერენციების — „სამხრეთ საქართველოში მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ მოწყობამ და ივლისში გამართულმა საერთაშორისო საქმიანმა საინვესტიციო შეხვედრამ — „მზის ფორუმი“. საქართველოში ასეთი სახის შეხვედრები ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენს და ჩვენს ქვეყანაში „მსოფლიო მზის პროგრამის“ განხორციელებასთან არის დაკავშირებული. კონფერენციები „იუნესკოს“ მისიის ხელმძღვანელის პაატა შევარდნაძის ეგიდით გაიმართა, ხოლო მომზადდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გაგა შენგელიას ხელმძღვანელობით.

ამ შეხვედრების ლოგიკური გამოძახილია მდინარე არაგვზე ორი მცირე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყება. აღნიშნული სადგურები აღიჭურვება უახლესი ტექნოლოგიებით და წარმოდგენილი იქნება როგორც საპილოტო პროექტი. პროექტს ახორციელებს გერმანული კომპანია „WREAG“ საქართველოში დაფუძნებული ერთობლივი საწარმოს „GEORGIA INERGI DEVELOPMENT“ მეშვეობით.

1998 წლის მაისში საქართველოში გაიმართა საერთაშორისო სემინარი, რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციით განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობას. ახლა ჯერი კონფერენციის მემორანდუმის აღსრულებაშია, სადაც საქართველოს მხარეს ევალება მიიღოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, რომლის პროექტი სათბობენერგეტიკის სამინისტროს მომზადებული და შეთანხმებული აქვს დაინტერესებულ უწყება-დაწესებულებებთან.

ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა რეალურს გახდის ედუარდ შევარდნაძის მიერ ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების სფეროში საქართველოს მსოფლიო ლაბორატორიად გადაქცევის იდეას.

ნუგზარ მელაძე,
საქართველოს
სათბობ-ენერგეტიკის
სამინისტროს
დეპარტამენტის
უფროსი.

დერეფანი

მილსადენი ჯეიჰანის მიმართულებით

მსოფლიოს ბაზრებისათვის „ჩაკეტილი“ კასპიის ზღვის ნავთობის მიწოდება დაპირისპირების მთავარ წყაროდ იქცა ამ რეგიონში მომუშავე ნავთობკომპანიებსა და კლინტონის ადმინისტრაციას შორის. დაპირისპირება უკავშირდება ბაქო-ჯეიჰანის მილსადენს — გზას, რომელიც შეთავაზებულ იქნა, აზერბაიჯანული ნავთობის ბაქოდან (აზერბაიჯანი) ჯეიჰანის (თურქეთი) მიმართულებით, და იქედან აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ბაზრებისაკენ გასატარებლად. ეს არის მარშრუტი, რომელსაც მხარს უჭერს კლინტონის ადმინისტრაცია სხვა ორი კასპიის მილსადენის საბალანსოდ, ერთი მათგანი ჯერ კიდევ შენდება, ხოლო მეორე უკვე ექსპლუატაციაშია. ისინი, შესაბამისად ყაზახეთიდან და აზერბაიჯანიდან, ნოვოროსისკის (რუსეთი) მიმართულებით გადიან.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ კლინტონის ადმინისტრაციის გეოპოლიტიკურ არგუმენტაციას არ აქვს იმხელა „წონა“ ან არ არის იმდენად დამაჯერებელი, რათა განაპირობოს ნავთობკომპანიების მიერ ზემოთ ხსენებული გზის შერჩევა. ნავთობკომპანიების არგუმენტი, თავი აარიდონ ამ მარშრუტს, იმაში მდგომარეობს, რომ ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი ძალიან გრძელია და ძალიან ძვირი დაჯდება, განსაკუთრებით ნავთობზე ფასების მიმდინარე ვარდნის ფონზე, რომელიც მოსალოდნელია კიდევ უფრო გაგრძელდეს ნავთობის მარაგების გაზრდასთან ერთად, როგორც კი კასპიის ნავთობის მსოფლიო ბაზარზე მიწოდების ჯერი დადგება. გარდა ამისა, ნავთობკომპანიები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლებელია კასპიის ნავთობმარაგი ვერ იქნას ამოღებული იმ ოდენობით, რაც წინასწარ იყო ნავარაუდევი. ეს თავის მხრივ აბათილებს უფრო დიდი მილსადენის არსებობის აუცილებლობას უახლოეს მომავალში. დასავლეთის ნავთობკომპანიებს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ აზერბაიჯანმა ორად გაყოს მიმართულება თავისი ნავთობის ტრანსპორტირებისათვის რუსეთსა და საქართველოს შორის. ბაქოსა და სუფსას (საქართველო) უკვე აკავშირებს მილსადენი, რომელიც აღდგენილ და გაფართოებულ მდგომარეობაშია. როგორც კი ეს უკანასკნელი ექსპლუატაციაში შევა, სუფსაში ჩასული ნავთობი ჩაიტვირთება ტანკერებში და მისი ტრანსპორტირება მოხდება ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით ბოსფორის სრუტის გავლით. ნავთობკომპანიების აზრით, ასეთი გამოსავალი მშვენიერი ალტერნატივა უნდა იყოს რუსეთზე გამავალი მილსადენებისა.

როგორც ჩანს, საკითხი ასე იოლად ვერ გადაწყდება. 1995 წლიდან მოყოლებული, დასავლეთის მოთხოვნის გათვალისწინებით, კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების საკითხთან დაკავშირებით „რამდენიმე მილსადენის“ („multiple pipeline“) გამოყენების პოლიტიკა ხორციელდება. ამ პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ბაზარზე „გასასვლელის დივერსიფიკაცია“ (diversification of access).

კასპიის ზღვის ნავთობმწარმოებელი ქვეყნები (აზერბაიჯანი, თურქმენეთი და ყაზახეთი) ცენტრალურ როლს თამაშობენ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონისათვის დამოუკიდებლობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხში. დღემდე, ეს სახელმწიფოები დამოკიდებულები იყვნენ კომერციულ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც მხოლოდ რუსეთის გავლით იძლეოდა დასავლეთთან კავშირის შესაძლებლობას. ასეთი დამოკიდებულება მათ უკიდურესად დაუცველს ხდიდა რუსეთის ეკონომიკური „ბერკეტის“ მიმართ.

რუსეთს კარგად ესმის, თუ რა დადებითი მხარეები აქვს ასეთი „ბერკეტის“ არსებობას. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა (1998 წლის) 24 ნოემბერს განაცხადა, რომ „რუსეთის სტრატეგიული ინტერესებისათვის ძნელია გადაჭარბებულად შეფასდეს (ყაზახეთის მილსადენის) პროექტის მნიშვნელობა“. („it is hard to overestimate the (Kazakhstan pipeline) project's importanse to Russia's strategic interests“). _ რუსეთს შეუძლია გამოიყენოს თავისი ენერგეტიკული „ბერკეტი“ ზემოთ ხსენებული სახელმწიფოების სუვერენიტეტის შესალახად და მათ მიერ დასავლეთზე დამოუკიდებლად გასვლის შესაძლებლობის შესაზღუდად.

ენერგეტიკული დამოკიდებულება პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოკიდებულების ყველაზე ძლევამოსილი ფორმაა. ესმის რა ყოველივე ეს, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს მაქსიმალურად გაამრავალფეროვნოს თავისი ენერგეტიკული წყაროები. აშშ მისდევს მკაცრ პოლიტიკას, რათა მისთვის უზრუნველყოფილ იქნეს პირობა, რომლითაც ნავთობის მარაგები არასოდეს გახდება მისი სუვერენიტეტის მიმართ შანტაჟის ან/და დაშინების საბაბი. რუსეთის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე დამოკიდებულებამ კასპიისა და შავი ზღვის ახლადაღმოცენებული ქვეყნები შეიძლება რუსეთის მუდმივი გავლენის სფეროში დააბრუნოს. ასეთი მდგომარეობა კი ძირს გამოუთხრის რეგიონის სტაბილურობას და შესაძლებელია საფრთხე თვით მსოფლიო მშვიდობასაც დაემუქროს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ეს ქვეყანა ეროვნული გამოღვიძების პროცესშია და მათი მოსახლეობის უმრავლესობა მტკივნეულად განიცდის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბევრს ურჩევნია იარაღით ხელში იბრძოლოს, ვიდრე რუსეთის მუდმივი ზეწოლის ქვეშ იცხოვროს. კონფლიქტების აღკვეთის მიზნით, კასპიის რეგიონის სახელმწიფოთა ლიდერებს ხშირად უხდებათ საკუთარი ურთიერთობები რუსეთსა და სხვა დანარჩენ ქვეყნებს შორის დააბალანსონ.

დასავლეთის დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ რუსეთისთვის, როგორც თანამედროვე სახელმწიფოსთვის, მრავლის მომტანი იქნება ახლო თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის თავისუფალ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან. სამწუხაროდ, რუსეთის მმართველი ლიდერები თავიანთი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან გრძელვადიან ინტერესად მიიჩნევენ სამხრეთით სუსტი და არასტაბილური სახელმწიფოების ყოლას. ზემოთ ხსენებულთან დაკავშირებით, რუსეთს ორი მთავარი მიზანი ამოძრავებს. პირველი, მას სურს შეზღუდოს დასავლეთის საქმიანი წრეების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მზარდი გავლენა, აგრეთვე, ორმხრივი სამთავრობათშორისო თანამშრომლობა თავის ე. წ. „ეზოში“ („back yard“). მეორე, რუსეთს სურს თავის ბაზარზე, სამხედრო ძალასა და პოლიტიკურ მხარდაჭერაზე დამოკიდებული ჰყავდეს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები.

ფაქტია, რომ უკვე დღეს საქართველო და აზერბაიჯანი უკიდურესად შესუსტებულ მდგომარეობაში არიან. სათუოა, რომ ისინი განამტკიცებენ თავიანთ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, სანამ ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი აშენდება. აგრეთვე სათუოა, რომ ეს ქვეყნები გაატარებენ დემოკრატიულ პოლიტიკურ რეფორმებს, სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება მათი რეგიონული უსაფრთხოება. როგორც ცნობილია, ორივე სახელმწიფო ჩარეული არიან კონფლიქტებში, რომელთა გაღვივება და გახანგრძლივება, ეჭვი გვაქვს, რუსეთის ინტერვენციით მოხდებოდა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა რუსმა ლიდერებმა უკმაყოფილება გამოთქვა აზერბაიჯანისა და სუფსის დამაკავშირებელი მილსადენის მიმართ, რომელიც საქართველოს გახდის მთავარ მაკავშირებლად სანავთობო ჯაჭვში, რომელიც ყაზახეთში და აზერბაიჯანში იღებს სათავეს და დასავლეთისკენ მიემართება. თუკი მხოლოდ ბაქო-სუფსის მარშრუტი გახდება ერთადერთი ალტერნატივა რუსეთზე გამავალი მილსადენებისა, რუსეთი მშვენიერ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რათა საქართველოს მილსადენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკური ფასი აზღვევინოს.

განსხვავებულ „განტოლებას“ მივიღებთ, თუკი ბაქო-სუფსის მილსადენი ჯეიჰანს შეუერთდება. ჯეიჰანის მარშრუტი რუსეთს უტოვებს კასპიის ნავთობის სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელოვან ფუნქციას. ამავე დროს, მილსადენი, რომელიც საქართველოს თურქეთთან დააკავშირებს, საქართველოს მთავრობას ნაკლებად მგრძნობიარეს გახდის რუსეთის ზეწოლისადმი. თურქეთს, რომელიც NATO-ს წევრია, შესწევს ძალა გახდეს გარანტი ბაქო-სუფსის სეგმენტის უსაფრთხოებისა, ისევე როგორც მილსადენის დანარჩენი ნაწილისა ჯეიჰანამდე. როგორც ვხედავთ, მხოლოდ სუფსის ვარიანტი ვერ უნდა პასუხობდეს საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებს. თურქეთი და ჯეიჰანის სეგმენტი უნდა გახდნენ უმთავრესი ელემენტები უსაფრთხო დივერსიფიკაციის პოლიტიკისა კასპიის ზღვის ნავთობმწარმოებელი ქვეყნებისათვის.

პეიჯ ბ. სალივანი.
„ვაშინგტონ პოსტი“,
1999 წლის 6 იანვარი.

თარგმნა
რევაზ ჯაველიძემ.

რეფორმა

წერილი მესამე

ვეძიოთ ეფექტიანი სახელმწიფო

„მსუბუქი“ გაქცევა მძიმე ბეგარისგან

საგადასახადო სისტემაც ჩვენთან უცხოურ ყაიდაზე ჩამოყალიბდა. რაღა თქმა უნდა, ვერ მოერგო ჩვენს სინამდვილეს. გაბერა ჩრდილოვანი ეკონომიკა, მისცა კორუფციას საზრდო. ხელს უწყობს მონოპოლიურ-კლანური ჯგუფების გაბატონებას ეკონომიკასა და სახელმწიფო აპარატში.

საქართველოში მეწარმეთა ინტერესების დამცველი არაერთი ინსტიტუტი გაჩნდა: მრეწველთა კავშირი, მეწარმეთა კავშირი, მცირე მეწარმეთა კავშირი, მსხვილ გადამხდელთა კავშირი... ისინი მთელი გულითა და ძალით იბრძვიან სადაბეგრო ტვირთის შემსუბუქებისათვის — გამოსავალს მხოლოდ ამაში ხედავენ. ამტკიცებენ, რომ თუ მეწარმეს გადასახადს შეუმცირებ, იგი მას აღარ გაექცევა და მთლიანობაში ბიუჯეტის შემოსავალი კი არ შემცირდება, გაიზრდება.

გაიზრდება კი? გასულ წელს მეწარმეთა კავშირის ყრილობაზე ბატონმა გოგი თოფაძემ აღიარა, პირველ ხანებში შეიძლება შემცირდესო. ესღა უნდა ჩვენს გაფხეკილ ბიუჯეტს?

ან, სადამდე გასტანს ეს პირველი ხანი? ერთხანს ეგებ კიდეც ებღუტა იმედს და იმით ეარსება ქვეყანას, მაგრამ ვინაა თავდები, რომ ამის მერე გადასახადი უხვ ნაკადად დაიძვრება ბიუჯეტისკენ და აქედან — ხალხისკენ? ეგებ ჩამოთვლილ ინსტიტუტთაგან რომელიმემ ითავდებოს? ვერც ერთი ვერ გარისკავს.

გადასახადის შემცირებამ ჩვენ კი არა, ამერიკას არ გაუმართლა იმედი. ეს რეიგანის 1981 წლის საგადასახადო რეფორმიდან უკვე ერთი-ორი წლის შემდეგ გამოჩნდა. იმედის სულისჩამდგმელნი, ე. წ. მიწოდების ეკონომიკის წარმომადგენლები — ა. ლაფერი და სხვანი სწორედ იმას ამტკიცებდნენ, დაბეგვრის შემსუბუქება ისეთ სტიმულს მისცემს წარმოებასა და მიწოდებას, რომ ეს საბიუჯეტო შემოსავალსაც გაზრდის და ინფლაციასაც დათრგუნავსო. სტიმული მართლაც მისცა, ოღონდ — არა „ისეთი“. იმედი ერთხანს კვლავ ცოცხლობდა, არჩეული კურსის შესანარჩუნებლად ხელისუფლება ეგუებოდა გაზრდილ საბიუჯეტო დეფიციტს, თუმც კი მანამდე მისი შემცირების დაპირებას იძლეოდა. და მაინც, სასურველი შედეგი ბევრმა სინამდვილედ მიიღო და ილუზიამ, თითქოს სადაბეგვრო ტვირთის შემცირებას მაგიური უნივერსალური ძალა აქვს, მეწარმეთა შორის მთელს მსოფლიოში მოიკიდა ფეხი და დღემდე ვერ ამოშლილა ცნობიერებიდან.

ჩვენი საქმე უთუოდ სხვაგვარადაა, ოღონდ — უარესად. საგადასახადო განაკვეთები აქ უფრო დაბალია, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში, მაგრამ მაინც წელში ღუნავს წარმოებას და უთუოდ საჭიროებს შემსუბუქებას. ოღონდ, ამ ნაბიჯის გადადგმისას დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მეწარმე სრულად გადაიხდის, რომ ეს ნაბიჯი საბოლოო ანგარიშით, — სხვა შემოსავლებთან ერთად, — სახელმწიფო ბიუჯეტში მთლიანი შიდა პროდუქტის 20 პროცენტის მეტანას მაინც უზრუნველყოფს, სულ მალე კი 23-25 პროცენტისასაც. ეს მაჩვენებელი უახლოვდება განვითარებადი ქვეყნებისას, ხოლო დაახლოებით ორჯერ ჩამორჩება დაწინაურებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. თვალსაწიერ მომავალში მეტის გაკეთება შეუძლებელია და, ალბათ, არცაა მიზანშეწონილი, თუ სისტემა ისე გარდაიქმნა, როგორც საქმეს სჭირდება.

ზოგჯერ ირწმუნებიან, თითქოს ოპტიმალურია გადასახადის ის დონე, რომლის დროსაც მეწარმე ამჯობინებს არ გარისკოს და არ დამალოს შემოსავალი, ფონს არ გავიდეს იმით, რომ „გადარჩენილი“ თანხის ნაწილი საგადასახადო ინსპექტორს „ჩაუჩიბოს“. ეს ფსიქოლოგიური მომენტი გასათვალისწინებელია, თუმცა მხოლოდ მასზე დაყრდნობით ე. წ. „მიწოდების“ ეკონომისტებზე უარეს შეცდომას დავუშვებდით, გადასახადებს ოპტიმალურ კი არა, აბსურდულ დონემდე დავიყვანდით და ბიუჯეტსაც და მის კმაყოფაზე მყოფ ხალხსაც საბოლოოდ ამოვხდიდით სულს. ეკონომიკურად ქმედუნარიანსა და აქტიურ სახელმწიფოზე ხომ ველარც ვიოცნებებდით.

არითმეტიკისა და მაკრატლის მეთოდი შეიძლება მხოლოდ შეგვეშველოს ამოცანის გადაწყვეტაში, მაგრამ გადაწყვეტა იმაზეა დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა ახალი, ჩვენი სინამდვილისთვის შესაფერისი და საჭირო მიდგომების, პრინციპებისა და გზების მოძიებას. 1991 წელს, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში ვცადე კიდეც აქეთ წამეყვანა საქმე. სამწუხაროდ, არც მაშინ და არც მას მერე ეჭვიც არავის გასჩენია, რომ დასავლური სამართლებრივი ბაზა ჩვენ ბევრს ვერაფერს გვარგებდა. მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) ეფექტიანად მუშაობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხერხდება გაკონტროლება, გადახდილია თუ არა იგი წარმოების წინა ეტაპებზე — გაზარდა თუ არა მან შეძენილი რესურსების ფასი. განა იმ დროს უკვე აშკარა არ იყო, რომ ასეთ კონტროლს ვერ შევძლებდით და, რომ წინ გველო სააღრიცხვო ქაოსის მრავალი წელი? ან, ვითომ, დღეს კი ახლოს ვართ მის დასასრულთან?

აწ დამკვიდრებული დასავლური სტერეოტიპებისგან გაქცევის საინტერესო ცდები არსებობს, მაგრამ ისინი ამოცანის გადაწყვეტას, უმთავრესად, საგადასახადო სისტემის ფარგლებშივე ცდილობენ. ასეთ ცდასაც შეუძლია ნაყოფის გამოღება. ოღონდ, იგი ისეთ გადასახადებზე უნდა იღებდეს ორიენტაციას, რომლებიც დამახინჯება-დამალვას ნაკლებად ექვემდებარება და ამდენად, სააღრიცხვო მოუწესრიგებლობის პირობებში, უკეთ ასრულებს ფისკალურ ფუნქციას, ამავე დროს კი ფისკალურ მიზნებთან შედარებით ეკონომიკურ სტიმულირებას ანიჭებს უპირატესობას.

ცხადია, თვით გადასახადის სახეები უნდა ასტიმულირებდეს მეწარმეს და არ აძლევდეს მას მოდუნების საშუალებას. ასეთ სახეებს მიეკუთვნება ქონების გადასახადი: რაც მეტ საქონელს აწარმოებს და ყიდის მეწარმე, მით უფრო ნაკლებად აწვება ქონების გადასახადი ხარჯებს და პირიქით, ხოლო მანქანა-დანადგარებისა, შენობებისა და მისთანათა „დამალვა“, ქონების დაბეგვრისგან თავის არიდების მიზნით, შეუდარებლად უფრო ძნელია, ვიდრე საქონლისა და შემოსავლის სრული მოცულობისა. მაგრამ საკმარისია ზომიერების გრძნობამ გვიმტყუნოს და ამ გადასახადის განაკვეთი მეტისმეტად გავადიდოთ, რომ მეწარმეთა სულ უფრო მეტი ნაწილი წავა ქონების „დამალვის“ რისკზე, ხოლო ზოგ ფონდტევად დარგში გაძვირდება პროდუქცია.

ამრიგად, ახალი მიდგომების ძიება საგადასახადო სფეროს ჩარჩოებით თუ შემოვფარგლეთ, შორს ვერ წავალთ. დაბეგვრის სისტემის გარდაქმნა ეკონომიკური საქმიანობის სხვა სფეროებსა და რეფორმის სხვა ახალ, ასევე არაორდინარულ ღონისძიებებს უნდა მოერგოს, უწინარეს ყოვლისა, წარმოების არსებულსა და სამომავლო სტრუქტურებს მიესადაგოს.

გასაგებია, რომ ეს დიდი საკითხია და ახალი საჩვენო მიდგომები ბოლომდეც რომ იყოს დამუშავებული, მათი გადმოცემა ამ წერილში შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ზოგადი მსჯელობა რომ არ გამომივიდეს, შევეხები მხოლოდ ერთ საკითხს, გარდაქმნის ერთ მიმართულებას.

გადამხდელის მცდელობა, თავი დააღწიოს გადახდას, მხოლოდ დაბეგვრის ტვირთის სიმძიმით როდია განპირობებული. იგი იმაზეცაა დამოკიდებული, რამდენად სჭირდება მას სახელმწიფო, რამდენად გრძნობს იგი სახელმწიფო ზრუნვას და რას გამოელის მისგან ეფექტიანობის ამაღლებისა თუ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულების შემთხვევაში. ამ კავშირებს მხოლოდ ჩამოყალიბება კი არა, გაცნობიერებაც სჭირდება, რაც მწვავე პრობლემაა ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე დაწინაურებულ ქვეყანაში. ოღონდ იქ მის გადაწყვეტას სულ სხვა მენტალიტეტი და სხვა — დახვეწილი საზოგადოებრივ-ინსტიტუციური გარემო უწყობს ხელს. ჩვენთან კი, პირველ ეტაპზე მაინც, საჭიროა უფრო მკვეთრი მექანიზმების შემოტანა, რომელთაც ძალუძთ ძლიერი ზემოქმედება მოახდინონ მეწარმის მენტალიტეტზე.

ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ უმარტივეს, გასაგებ და ადვილად განსახორციელებელ ღონისძიებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ გადასახადის კეთილსინდისიერად გადამხდელებს მივანიჭოთ უპირატესობა იაფი სესხის მიღებისას, მათი სხვა მოთხოვნებისა და სურვილების დაკმაყოფილებისას. ასეთთა შორის შეიძლება იყოს მეწარმისათვის სახელმწიფოს მიერ შეღავათიანი ფასით იმ საქონლის მიწოდება, რომელიც ბაზარზე მონოპოლიური ფასით იყიდება.

როგორ, რა მექანიზმებითაა შესაძლებელი ამის გაკეთება? ამ კითხვაზე პასუხი მოითხოვს შევეხოთ ანტიმონოპოლიური რეგულირების პრობლემას, უფრო სწორად, მის ერთ მომენტს, ვინაიდან თვითონ პრობლემა რთულია და თავისთავადი მნიშვნელობისაა. ეს სფერო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმათ შორის, რომლებშიც სახელმწიფომ უნდა გააააქტიუროს თავისი საქმიანობა.

ეს მით უფრო საჭიროა საქართველოში, სადაც პრივატიზაციამ კონკურენციულის ნაცვლად მონოპოლიურ-კლანური სტრუქტურები ჩამოაყალიბა და სადაც მომხმარებლის ინტერესი დაითრგუნა. მაგრამ მონოპოლიურ მდგომარეობაში მყოფი საწარმოების მიმართ დამტამპული ზომების მიღებას შეუძლია კიდევ ერთი ჭრილობა მიაყენოს საქართველოს დაძაბუნებულ ეკონომიკას. მით უმეტეს, რომ ჩვენს პატარა ქვეყანაში, რომელმაც დიდი საბჭოეთისაგან მემკვიდრეობით მაღალსპეციალიზებული სამეურნეო სტრუქტურები მიიღო, ლამის ყველა მსხვილი თუ საშუალო საწარმო შესაბამისი პროდუქციის უდიდეს ნაწილს აწარმოებს — თუკი, რა თქმა უნდა, კიდევ აწარმოებს და გაჩერებული არაა.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის უძნელესი პრობლემაა გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლება და მიაკუთვნოს (ან არ მიაკუთვნოს) ასეთი საწარმოები მონოპოლისტთა კატეგორიას. მიკუთვნება ხომ ნიშნავს განსაკუთრებულ კონტროლზე საწარმოს აყვანას და შეზღუდვასაც. არადა, ბევრ ასეთ საწარმოს დღეს დამატებითი კონტროლი და შეზღუდვა კი არა, შემწეობა სჭირდება. სამომავლო კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება საერთოდაც მოითხოვს მისი კონცენტრაციის წაქეზებას და სამოქმედო ასპარეზის გაშლას. ხოლო მომხმარებლის დასაცავად სხვა, არატრადიციულ მეთოდებს უნდა მივმართოთ.

ანტიმონოპლიური რეგულირების ერთ-ერთი ტრადიციული მეთოდია მონოპოლიური ფასების შეზღუდვა. მაგრამ იგი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის ფაქტორია. იქ თუ ასეა, ჩვენთან რაღა იქნება. ვფიქრობ, ღირს განსჯა, ხომ არ შევცვალოთ ეს მეთოდი სახელმწიფო დაკვეთით, რომლის ფარგლებშიც მონოპოლია ვალდებული იქნება გაიღოს თავისი პროდუქციის გარკვეული ნაწილი დაბალი, ხარჯების დონესთან მიახლოებული ფასით? ასეთი დაკვეთა არ დაუკარგავს და, პირიქით, გაუძლიერებს კიდეც მონოპოლიას იმის ინტერესს, რომ გაზარდოს საქონლის წარმოება და წონასწორობის ფასით მისი რეალიზაცია.

სახელმწიფო დაკვეთა შეიძლება გავრცელდეს მიმოქცევის სფეროში მოქმედ მონოპოლიებზეც, მათ შორის „უჩინარ“ მონოპოლიებზეც, რომელთა შემოსავალი მკვეთრად აღემატება ხარჯს. მაგალითად, ქვეყანაში შემოტანილი თხევადი გაზი, 10 კგ, ლარის კურსის სიმტკიცის პერიოდში დაახლოებით 2,2 ლარი ჯდებოდა, თბილისში კი 7-9 ლარად იყიდებოდა, თუმც კი მონოპოლისტი „მოუხელთებელი“ დარჩა. ასევე დიდი სხვაობაა არაერთი სხვა პროდუქტის შემოტანისა თუ ადგილზე წარმოების ხარჯსა და სარეალიზაციო ფასს შორის.

საქმის მეორე მხარეა სახელმწიფოს მიერ შესყიდული საქონლის შეღავათიანი ფასით დაყვანა მომხმარებლამდე. მომხმარებელში იგულისხმება მეწარმეც და აქ სწორედ იგი მეყოლება მხედველობაში. მან უნდა უჩვენოს თავისი წარმოების მოცულობა და გადასახადის სიდიდე. სწორედ ამ მაჩვენებლების პროპორციულად უნდა განისაზღვროს ის თანხა, რომლის ფარგლებშიც მეწარმე მისთვის საჭირო რესურსებს სახელმწიფოსგან მიიღებს შეღავათიან ფასად.

სახელმწიფო დაკვეთების, რესურსების განაწილებისა და საგადასახადო სისტემებში ასეთი ცვლილებები გახდება ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებისა და წარმოების ორგანიზებულობის ამაღლების არსებითი ფაქტორი. ეს ცვლილებები არ შეამცირებს საბაზრო მექანიზმების ქმედითობას, პირიქით, აამაღლებს მას, ვინაიდან ბაზარზე უფრო თავისუფლად ჩამოყალიბდება წონასწორობის ფასი. ხოლო სახელმწიფოს ხელში ეს სისტემა გადაიქცევა ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების უკეთ შეცნობისა და რეგულირების ერთ-ერთ მძლავრ დასაყრდენად. რაც შეეხება გადასახადის განაკვეთებს, აღარ დადგება მათი აბსურდულ დონემდე დაყვანის საკითხი იმ ვარაუდის განსახორციელებლად, რომ ეგებ მეწარმემ ასეთი გადასახადი მაინც გადაიხადოს.

ამ სისტემის შექმნას არ გააჩნია ფინანსური პრობლემა. იგი მინიმალურ ხარჯს მოითხოვს და საერთოდ უმისოდაც, დამკვეთ-შემსრულებლის პირდაპირ სამეურნეო-ფინანსურ კავშირზეც შეიძლება იქნას აგებული.

შემოთავაზებული წინადადება უთუოდ კიდევ მრავალი კუთხით საჭიროებს გააზრება-განსჯას, რათა უკეთ მოერგოს დღეისთვის ჩამოყალიბებულ (დეფორმირებულ) სტრუქტურებს. აქ იგი იმისთვისაა მოტანილი, რომ ჩვენ, სხვათაგან დამოუკიდებლად, ამ მიმართულებითაც ვეძიოთ ეფექტიანი სახელმწიფოსაკენ მიმავალი არატრადიციული გზები და ინსტრუმენტები.

მერაბ გველესიანი,
ეკონომისტი.

შიდა ქართლის მხარე

„ჰორიზონტალური" ვარდნა

შიდა ქართლში ილუზიებით არ იკვებებიან. ამის დასტურია ისიც, რომ მარტო სტატისტიკური მონაცემების უბრალო ჩამოთვლით არ იფარგლებიან, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ეს არ იძლევა სრულ წარმოდგენას შარშანდელი მეტად მძიმე წელიწადის სამეურნეო ცხოვრების და სოციალური განვითარების რთულად მიმდინარე პროცესებზე.

რას გულისხმობდა მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ბოჭორიძე, როცა ამის შესახებ საუბრობდა?

ეკონომიკის განვითარებაში შექმნილ პრობლემებს, რომელთა დაძლევა თითქმის შეუძლებელი გახდა სხვადასხვა ფაქტორის გამო. უპირველესად ეს არის ენერგეტიკული კრიზისი, რომელიც მხარეში ორი მიმართულებით გამოიხატა: ელექტროენერგიის გამუდმებული უკმარისობა და არასტაბილური მიწოდება მთელი წლის განმავლობაში, და ენერგომშმცველების (განსაკუთრებით – ბუნებრივი გაზის) სისტემატური გაძვირება.

ელექტროენერგიის უკმარისობისა და არასტაბილური მიწოდების გამო მხარეში სისტემატურად ირღვეოდა წარმოების რიგმი, მატერიალურ ზარალს განიცდიდნენ მხარის რაიონების ენერგოტევადი საწარმოები (განსაკუთრებით სამშენ მასალათა წარმოება). ხშირი და მოულოდნელი გამორთვების გამო ზიანდებოდა საწარმოთა ელექტრომეურნეობა, დიდი ოდენობით ფუჭდებოდა ნამზადი და ნახევარფაბრიკატები, იზრდებოდა წარმოების აღდგენის და ხელახალი ამუშავების ხარჯები, რაც მძიმე ტვირთად დააწვა პროდუქციის თვითღირებულებას, გააუარესა მისი ხარისხი და საბოლოოდ კონკურენტუუნარო გახადა იგი. – ჩვენ წლის დასაწყისიდან არაერთხელ შევხვდით ენერგეტიკოსებს, – ამბობს ირაკლი ბოჭორიძე, – შემუშავდა ორმხრივი გარანტიები, იყო დაპირებები, მაგრამ გათვალისწინებული ელექტროენერგიის დადგენილი და შეთანხმებული ვალების მიხედვით მიღებას ვერ მივაღწიეთ. ჩვენი მხრიდან გარანტიები შესრულდა – მხარე ხომ დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების ერთ-ერთი საუკეთესო გადამხდელია.

ბუნებრივი გაზის სისტემატური გაძვირება ზრდის ყველა სახის პროდუქციის თვითღირებულებას, საბოლოოდ კი ფასებსაც და აფერხებს მის რეალიზაციას. რთულდება საწარმოთა ისედაც მძიმე ფინანსური მდგომარეობა, საწარმო გადახდისუუნარო ხდება. გროვდება მომწოდებლის, ელექტროენერგიის, გაზის, ბიუჯეტის დავალიანებები. აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენით შარშან მსხვილ სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა გაჩერდა, ანდა პერიოდულად 10-15 პროცენტის დატვირთვით მუშაობდა. გორში 61 საწარმოდან მხოლოდ 46, ხაშურში 46-დან 25, ქარელში 26-დან 22, კასპში 43-დან 33 მუშაობდა. მარტო აგარის შაქრის კომბინატის და შპს „ბუტეკ-კლასიკის" უმოქმედობის გამო, წინა წლის დონეს 20 მილიონი ლარზე მეტი პროდუქცია დააკლდა.

მრეწველობის განვითარებაზე ასევე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა გასაღების ბაზრის უქონლობამ. ცნობილი მოვლენების შედეგად რთულდება დაკარგული სამეურნეო კავშირების აღდგენა ტრადიციულ ბაზარზე (რუსეთი და დსთ ქვეყნები). მომხმარებლის დაკარგვასთან ერთად გაიზარდა პროდუქციის გადატვირთვის ხარჯები (სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის გადიდებული ტარიფების გამო). ამასთან, იმპორტულ საქონელზე გაუმართლებელმა საბაჟო და საგადასახადო შეღავათებმა გამოიწვია ადგილობრივი ბაზრის იაფი და ხშირად უხარისხო საქონლით გაჯერება.

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ხშირად ტრანზიტად გაფორმებული იმპორტული საქონელი შიდა ბაზარზე „ილექება" და არ იბეგრება, რაც მისი ადგილობრივთან შედარებით იაფად რეალიზაციის საშუალებას ქმნის. ესე იგი, ხელოვნურად იზრდება ასეთი საქონლის კონკურენტუნარიანობა შიდა ბაზარზე. შეღავათებმა ხორბლისა და პურპროდუქტებით იმპორტზე და ამავე სახით ადგილობრივი პროდუქციის დღგ-თი დაბეგვრის ერთხანს მოქმედმა წესებმა, რომელთა შეცვლა დაგვიანებით მოხდა, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა გორის წისქვილკომბინატი. მოძველებული მოწყობილობით საწარმომ ვერ შეძლო მოკლე დროში პროდუქციის იმდენად გაიაფება, რომ კონკურენცია გაეწია რუსეთიდან და თურქეთიდან შემოტანილი იაფი ფქვილისათვის. ამას რუსეთში მიმდინარე კრიზისით გამოწვეული, ხშირად კონტრაბანდული ფქვილის მოძალებაც დაემატა ცხინვალის რეგიონიდან. საწარმოს, რეალიზაციის სირთულეებიდან გამომდინარე, მზა პროდუქცია დაუგროვდა და მეტად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდა. პრობლემები შეექმნა საწარმოს ინვესტორსაც ფირმა „ბუტეკ-კლასიკს" და ნელ-ნელა დაკარგა ინტერესი საწარმოში განხორციელებული ტექნიკური გადაიარაღების საკითხებისადმი. არადა, ეს ის საწარმოა, რომელმაც ინვესტორის დახმარებით დამატებითი პირობების გარეშე შემოტანილი ხორბლის გადამუშავებით პურის ფასების ლიბერალიზაციის პერიოდში ფქვილზე და პურზე სტაბილური ფასების შენარჩუნება შეძლო.

ინვესტორის მიერ ნედლეულით მომარაგების შეწყვეტის, იმპორტულ შაქარზე დაბალი სარეალიზაციო ფასისა და წარმოებითი ურთიერთობების მოუგვარებლობის გამო გაჩერებულია, აგრეთვე, აგარის შაქრის კომბინატი. ამასთან, კომბინატისათვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს დღგ-ს დაბალი განაკვეთი ადგილობრივი წარმოებისა და შემოტანილ შაქრის ფხვნილზე და საბაჟო განაკვეთის სიმცირე რუსეთიდან და თურქეთიდან შემოტანილ შაქარზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ე. წ. „ნულოვან აუქციონზე" პრივატიზებული საწარმოების ამოქმედების საკითხი. მხარის რწმუნებულის თქმით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ახალი მფლობელები ინვესტიციების მოზიდვისა და განხორციელების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, წარმოების ამოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მაგიერად, თითქმის არ ასრულებენ საპრივატიზაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პირობებს. საწარმოების ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებისათვის ზრუნვის საფარქვეშ, ისინი პრივატიზაციასთან დაკავშირებული საკუთარი ხარჯების ანაზღაურებას უმეტეს შემთხვევაში აქ არსებული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების რეალიზაციით ცდილობენ.

სამხარეო ადმინისტრაციამ არაერთხელ მიუთითა რაიონების ხელმძღვანელებს ნულოვან აუქციონთან დაკავშირებული ამგვარი პროცესების მოსალოდნელობის, ქონების მართვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის, საპრივატიზაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დაცვისადმი მომთხოვნელობის გაზრდის და ახალ მფლობელებთან ურთიერთობების გარკვევისა და განმტკიცებისაკენ. – როგორც ჩანს, პროცესები ხელიდან გაუშვით და ახლა დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება მათი მართვის ფორმების შემუშავებისა და განხორციელებისათვის, – ამბობს ირაკლი ბოჭორიძე.

საუბარი მხარის მრეწველობის განვითარებაში შექმნილი პრობლემების შესახებ დაუსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ის, რაც ითქვა, ნათელს ხდის, რომ მდგომარეობა მეტად მძიმეა და საგანგებო ღონისძიებებს მოითხოვს. რწმუნებულის აზრით კი, ამის მიზეზი ისევ მოძველებული აზროვნებაა, რადგან აქტიური პოზიციით საქმის კეთების მაგალითებიც აქვთ მხარეში.

პრობლემათა სათავე დაუფინანსებლობაა

ეროვნული მეურნეობის დარგების განვითარების პრობლემები მთლიანად აისახა ბიუჯეტის შესრულების პროცესში. მხარის მასშტაბით ბიუჯეტში სულ 15-პროცენტიანი ზრდა იყო გათვალისწინებული. დაგეგმილი შემოსავლების მიღების პირობებში თითქოს თავი უნდა გაერთმიათ სოციალური სფეროს სრული დაფინანსებისთვის, ანდა, უარეს შემთხვევაში, საგრძნობლად გაუმჯობესებულიყო. ფაქტობრივად, მეტად მძიმე საბიუჯეტო პროცესის მართვას მხარის დიდი ძალისხმევა დასჭირდა. საჭირო გახდა **ორი საგანგებო ორთვიანი პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია, რომ საბიუჯეტო სფეროს დაწესებულებების ხელფასების გაცემაში შექმნილი კრიზისული სიტუაციისთვის თავი დაეღწიათ.**

ბიუჯეტის შესრულება შარშან, წლის დასაწყისიდან აპრილის თვის ჩათვლით, დაგეგმილი გეზით წარიმართა, შემდეგ კი გართულდა და ბიუჯეტის კორექტირებების დაუმთავრებელმა პროცესმა ფაქტობრივად ყველა რაიონი მოიცვა.

კორექტირების სიმძიმე ძირითადად ადგილობრივ შემოსავლებს დააწვა. უფრო მეტიც, ადგილობრივი ბიუჯეტის დავალებების შემცირებას ხშირად მთლიან კონტინგენტში ცენტრალური ბიუჯეტის დავალებების გარღვევის დაფარვისთვისაც მიმართავდნენ.

ბიუჯეტი შესრულდა. სულ მხარეში მობილიზებულია 11919,1 ათასი ლარის შემოსავლები, რაც დავალების 103,4 პროცენტია, შემოსავლები შესრულებულია ყველა რაიონში, მათ შორის გორში – 102,7, კასპში – 101, ქარელში – 101,1, ხაშურში – 106,7 პროცენტით. შესრულდა ცენტრალური ბიუჯეტის დავალებებიც. მხარის რწმუნებული გულახდილად ამბობს, რომ საბიუჯეტო პროცესის კრიზისის დაძლევის უამრავი საშუალება და ფაქტორი გაუშვეს ხელიდან.

უპირველესად, ეს არის საგადასახადო შემოსავლების მობილიზების დონე. აქ გადამწყვეტი ფაქტორი ახალი საგადასახადო კოდექსის გააზრება და სრული ამოქმედება იყო, რაც მხარის საგადასახადო სამსახურებმა ბოლომდე ვერ განახორციელეს, როგორც ცნობილია, კოდექსი შარშან აპრილიდან ამოქმედდა და თუ ცენტრალური ბიუჯეტის გადასახადების ამოღებას მხარე ასე თუ ისე მომზადებული შეხვდა, სრული ქაოსი დაიწყო ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში. პრობლემად იქცა მიწის გადასახადის მოკრებაც. საგადასახადო ინსპექციებთან ერთად ამ მოვლენას სრულიად მოუმზადებლები შეხვდნენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის რაიონული სამმართველოები, სოფლის თემის, დაბის საკრებულოები. გადასახადი სავალდებულო არ გახდა. დაიკარგა მიწის გადასახადის ნარჩენებზე მუშაობის არსებული წესიც.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტის რწმუნებულმა მცდელობა არ დააკლო კონტრაბანდული ტვირთების გამოვლენის საგანგებო ღონისძიებებს. გაიზარდა საბაჟო შემოსავლები, მაგრამ ვერა და ვერ მოხერხდა საბაჟო პროცედურებს დაქვემდებარებული იმპორტული და გამოვლენილი კონტრაბანდული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების საგადასახადო ბრუნვაში მოქცევა. მიუხედავად იმისა, რომ დაწესდა საბაჟოსა და საგადასახადო სამსახურებს შორის ამგვარი ტვირთების შესახებ ინფორმაციის სავალდებულო გაცვლა, ირაკლი ბოჭორიძის თქმით, ვერც ერთი საგადასახადო ინსპექციის უფროსი ვერ დაასახელებს, თუ რა სახის გადასახადით დაიბეგრება იმპორტული პროდუქციის რეალიზაცია, რამდენი დღგ, მოგების თუ საშემოსავლო გადასახადი იქნა ამოღებული იურიდიული თუ ფიზიკური პირების ამ სახის საქმიანობიდან. – მეტსაც გეტყვით, – აგრძელებს რწმუნებული, – შედეგები აქ არც კი ანალიზდება და დაინტერესების შემთხვევაში მათგან ელემენტარულ ინფორმაციასაც კი ვერ მიიღებთ.

რა დავარქვათ ამას – გულგრილობა, საქმის უცოდინარობა, დაუინტერესებლობა თუ კიდევ სხვა რამ?

წლის განმავლობაში საერთოდ არ „უმუშავია" ისეთ გადასახადებს, როგორიცაა ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი ქონების გადაცემაზე. ბოლომდე არ იქნა გამოყენებული ქონების გადასახადის ამოღების მექანიზმი, რაც გაკოტრების შესახებ კანონის უშუალოდ ამოქმედებასთან არის დაკავშირებული.

შედეგიც, რომ იტყვიან, სახეზეა: სულ 10 სახის საგადასახადო შემოსავლიდან მხარეში შეუსრულებელია 5, (გორში – 8, კასპში – 6, ქარელში – 4, ხაშურში – 5). ამ შემოსავლების შესრულებაც ძირითადად კაპიტალურმა (პრივატიზაციის) შემოსავლებმა და სპეცსახსრებმა განაპირობა და ეს იმ მაჩვენებლებზეა ლაპარაკი, რომელთა კორექტირება ხორციელდებოდა გამუდმებით ფაქტობრივი შესრულების მიხედვით.

– სირთულეებმა და ნაკლოვანებებმა საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირებაში ხარჯვითი ნაწილის შემცირებამდე მიგვიყვანა. ეს კი ნიშნავს, რომ დაუფინანსებელი დარჩა სოციალური სფერო. მთელი ყურადღება იძულებით გადავიტანეთ მხოლოდ ხელფასების დავალიანების ლიკვიდაციაზე, რაც ბოლომდე ვერ განვახორციელეთ, – გულისტკივილით აღნიშნავს ირაკლი ბოჭორიძე.

შარშანდელმა გაუცემელმა ხელფასებმა მხარეში 1014,1 ათასი ლარი შეადგინა, აქედან პედაგოგებზე – 674,6 ათასი ლარი. დიდია დავალიანება გორში (შესაბამისად – 572,2 და 408 ათასი ლარი), ქარელში (256,2 და 152 ათასი ლარი), კასპში (129 და 88 ათასი ლარი). შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ხაშურში, სადაც კიდევ უფრო მეტი მონდომების პირობებში არც 56.7 ათასი ლარის (ნახევარი თვის) დავალიანების დაფარვა იყო ძნელი. გორში ხელფასების დავალიანება აგვისტოს თვიდან ირიცხება, ქარელში ოქტომბრის თვიდან, კასპში დასაფარია ნოემბრისა და დეკემბრის თვეების ხელფასები.

მხარის რწმუნებულს სრულიად მიუღებლად მიაჩნია ხელფასებით უზრუნველყოფის საქმეში ადგილობრივი საფინანსო ორგანოების პოზიცია და საქმიანობის სტილი. ისინი უბრალოდ გამგეობების დანამატს წარმოადგენენ და მათი ნება-სურვილის ბრმა აღმსრულებლები არიან. მათი ძირითადი ფუნქცია მხოლოდ შემოსული თანხების სალარო მომსახურებით ამოიწურება. მაშინ, როდესაც სამხარეო ადმინისტრაციამ გეზი აიღო ხელფასების მაქსიმალურად დაფინანსებაზე, სახსრების უკმარისობის პირობებში ხერხდება სხვა დარგების დაფინანსებაც.

– კატეგორიულად მოვითხოვეთ საფინანსო განყოფილებებიდან, გაააქტიურონ თავიანთი პოზიცია საბიუჯეტო სახსრების მობილიზაციის, განაწილებისა და ხარჯვის საქმეში, – შეუვალია რწმუნებული.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა პენსიების გაცემის საქმეში. რწმუნებულს არც ამ ფონდების ხელმძღვანელთა საქმიანობა აკმაყოფილებს. ისინი ნაკლებად ზრუნავენ საპენსიო თანხების მობილიზაციაზე და მხოლოდ ანაწილებენ.

შედეგად – მხარეში პენსიები გაუცემელია მაისის თვიდან. დავალიანებამ სულ 5357,4 ათასი ლარი შეადგინა. აქედან, გორში – 2559,5 ათასი, ხაშურში – 777,7 ათასი, ქარელში – 902 ათასი, კასპში – 1117,2 ათასი ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციებში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრისას ირაკლი ბოჭორიძემ აღნიშნა, რომ მხარე და მისი რაიონები წლის დასაწყისიდანვე სტაბილურად ასრულებდნენ ცენტრალური ბიუჯეტის დავალებებს. დაფინანსებით კი შიდა ქართლი სხვა რეგიონებისგან არაფრით განსხვავდება. ხაზინის დავალიანებამ ხელფასებში ამ ორგანიზაციებისადმი 1,5 მილიონ ლარს გადააჭარბა. 30 პროცენტითაც კი არ არის დაფინანსებული სხვა ხარჯები. შეიქმნა საფინანსო სამხარეო ადმინისტრაცია, რომელმაც მხარის რაიონების ინტერესები უნდა დაიცვას ფინანსთა სამინისტროში და უზრუნველყოს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების მაქსიმალური მობილიზაცია და ეფექტიანი ხარჯვა. ფაქტობრივად, მიიღეს ახალი სტრუქტურა, რომელიც მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით კმაყოფილდება და ვერ ავლენს თავის პოზიციას მხარის ინტერესების დასაცავად.

ადამიანების განწყობას მარტო ხელფასებითა და პენსიებით, საცხოვრებელი მინიმუმით უზრუნველყოფა არ ქმნის. არანაკლები მნიშვნელობა აქვს გარემოს, სადაც ისინი ცხოვრობენ. მოსახლეობის კომუნალური მომსახურების საკითხები ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში შედის. მხარის რწმუნებულს არც აქ შექმნილი სიტუაცია აკმაყოფილებს. მართალია, ზაფხულის პერიოდში შეძლეს გარკვეული სამუშაოების შესრულება, მაგრამ ამჟამად მხარის ქალაქების, რაიონული ცენტრების და სხვა დასახლებული პუნქტების დასუფთავება და კეთილმოწყობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თითქმის არაფერი კეთდება ქალაქებისა და რაიონული ცენტრების იერსახის გაუმჯობესებისათვის, მთლიანად მოშლილია წყალსადენების მეურნეობა, ფაქტობრივად აღარ არსებობს სათავე ნაგებობების სანიტარიული დაცვის ზონები. მოკლედ, ამ სფეროში უამრავი პრობლემა დაგროვდა. თუმცა, რწმუნებული კომუნალური სამსახურების მესვეურებთა გულისტკივილსაც იზიარებს, რაც მუდმივ დაუფინანსებლობაში მდგომარეობს.



პრიორიტეტი — მეხილეობა

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით შიდა ქართლის აგრარული სექტორის ხელმძღვანელებს, მათთან ერთად კერძო მიწათმოქმედებს მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანა აკისრიათ. ეს გახლავთ კრიზისიდან სოფლის მეურნეობის და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის გამოყვანა და სასურსათო პრობლემების დაძლევა. მხარის აგრარული პოლიტიკის კონცეფციის საპროგრამო მაჩვენებელიც ხომ ამას ითვალისწინებს.

შარშანდელ წელიწადს მხარის რწმუნებული აფასებს როგორც უკიდურესად მძიმეს არა მარტო კლიმატური პირობების, არამედ მეურნეობრიობის წარმართვის, მატერიალურ-ტექნიკური და სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგების გაუმართავი მუშაობის გამოც.

1998 წელს მხარის აგრარულ სექტორში 79.678 ტონა მარცვლეული, 65.000 ტონა ბოსტნეული, 73.610 ტონა ხილი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მოიწიეს. ეს მაჩვენებლები, საერთოდ, დაბალი არ არის, მაგრამ სრულიად არადამაკმაყოფილებელია სახაზინო მეურნეობებში, აგროფირმებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. უფრო კონკრეტულად: დაბალი შედეგებია, არასაკმარისი მოსავალია სახელმწიფო დანიშნულების მიწებიდან. თუმცაღა, ობიექტური მიზეზები აქაც არის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში არსებული მაჩვენებლები დამაიმედებელ საფუძვლებს არ იძლევა სახელმწიფო დანიშნულების მიწებიდან, ანუ მოიჯარეებიდან, რადგანაც ამ სტრუქტურებიდან მარცვლეულის საჰექტარო მოსავალმა მთლიანად მხარეში 10,1 ცენტნერი შეადგინა, ბოსტნეულისამ – 27,3 ცენტნერი, ხილისამ – 8 ცენტნერი. ეს მაშინ, როცა კერძო მიწათმოქმედთა მიერ მოწეული საჰექტარო მოსავალი 5-10-ჯერ მეტია! თუმცა, ირაკლი ბოჭორიძის აზრით, ეს სავსებით კანონზომიერია და მომავალიც მიწათმოქმედების ამ ფორმას ეკუთვნის.

ქვეყანაში და მათ შორის, შიდა ქართლშიც მრავალი, ჯერ კიდევ გადაულახავი სიძნელეა ტექნიკური აღჭურვილობის, სამელიორაციო, მცენარეთა დაცვის, აგროქიმიური და ფინანსური უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ეს კი დამოკიდებულია ბაზარზე, ანუ წარმოებული პროდუქციის ფასზე და, მამასადამე, საწარმოთა ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა კი დღეს სავსებით არადამაკმაყოფილებელია როგორც მთლიანად სოფლის მეურნეობაში, ისე კერძო სექტორშიც.

სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ ვერ ამოქმედდა მიწათმოქმედის დაინტერესების პრინციპი. ამის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა კი სწორედ ხელშემწყობ გარემოებათა შექმნაა. მხარის რწმუნებულს მაგალითისთვის მოჰყავს ერთი უმთავრესი – სამელიორაციო სამსახური. მიწების პრივატიზაციის შემდეგ სარწყავი სავარგულების უდიდესი ნაწილი კერძო სექტორს გადაეცა, ხოლო ურწყავი ფართობები, რომლებსაც ახლა ფლობენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, მაღალ მოსავალს არ იძლევა. არც კერძო სექტორია კმაყოფილი იმის გამო, რომ სანახევროდ მოშლილია სარწყავი სისტემები, არ იწმინდება მაგისტრალური და შიგასამეურნეო არხები. ფაქტობრივად, არ მუშაობს წყალსატუმბი სადგურები და მათთან დაკავშირებული სამელიორაციო ქსელი.

ირაკლი ბოჭორიძე იზიარებს სამხარეო ადმინისტრაციის დარგის სამსახურის აზრს რაიონების სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოების არასაკმარისი მუშაობის თაობაზე, – თუნდაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შექმნილი სიტუაციის ფლობისათვის, – და ასეთ ვითარებაში არ გამორიცხავს ნეგატიურ მოვლენებსაც: საწარმოთა ხელმძღვანელების მიერ მოსავლის აღრიცხვიანობის გაყალბებასა და დამალვას. რა თქმა უნდა, კონტროლის პალატამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო და ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას.

მეცხოველეობა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება მთლიანად შიდა ქართლში აღმავლობის გზაზეა კერძო სექტორში, ხოლო სახელმწიფო მეურნეობებში თითქმის მთლიანად ჩაკვდა. მეურნეობათა ხელმძღვანელებმა უგულებელყვეს არა მარტო იმის გამო, რომ არ ჰყოფნით სახნავი სავარგულები (ეს ყველას არ ეხება), არამედ გააგრძელეს ახლო წარსულში დამკვიდრებული ტენდენცია და სრულიად უსაფუძვლოდ მოსპეს პირუტყვი, ცხვარი, ღორი, ფუტკარი.

მხარის რწმუნებულის აზრით, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ძირითადად აგრარული სექტორის განვითარების გზით მიიღწევა, რისი გარანტიებიც მხარეში არის. ხელმძღვანელთა გარკვეული ნაწილი კი მართვის ნაცვლად, დინებას მიჰყვება. ეს არაკომპეტენტურობა, არაპროფესიონალიზმია და ამდენად, რაიონების ხელმძღვანელებს საკადრო პოლიტიკაში საფუძვლიანი ჩახედვა მართებთ.

– ჩვენში წარმოებული მარცვლეულით, – და ეს უკვე ფაქტია, – ბაზარს ვერ მოვეიპოვებთ, – ამბობს ირაკლი ბოჭორიძე, – პრიორიტეტი კვლავ მეხილეობას ეკუთვნის და ბაზრის დაუფლებაც შესაძლებელია. ამიტომ, როდესაც ლაპარაკია ხელმძღვანელის პროფესიონალიზმზე, იგი სამეურნეო საქმიანობაში დღენიადაგ უნდა ფიქრობდეს ტრადიციული, აპრობირებული და მომგებიანი დარგების განვითარებაზე. ალბათ, დადგა დრო, საქართველოში და, კერძოდ, შიდა ქართლში სერიოზულად მოვკიდოთ ხელი მეხილეობის განვითარებას და შეიქმნას მისი ხელშემწყობი გარემოებანი, – უპირველესად, ქვეყნის ხელისუფლების წინაშე დადგეს საკითხი შიდა ქართლის აგროსამრეწველო-სასურსათო კომპლექსის სახელმწიფო პროგრამის შემუშავების შესახებ. ვფიქრობთ, თუ ეს პროგრამა შემუშავდება – და მისი განხორციელება არცთუ ისე რთული საქმეა, – იგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დასაქმების და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას.

1998 წლის განმავლობაში მხარეში დანაშაულთა საერთო რაოდენობამ 89 ერთეულით იკლო. 848 დანაშაულიდან 81,3 პროცენტი გახსნილია.

სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით აღრიცხულ 718 დანაშაულიდან, რაც 30 ერთეულით ნაკლებია წინა წელთან შედარებით, გახსნილია 79,2 პროცენტი. ამავე პერიოდში 23 ერთეულითაა შემცირებული მძიმე კატეგორიის დანაშაულები (იყო 269, არის 246), მათგან 85,4 პროცენტი გახსნილია.

შარშან არ ყოფილა ბანდიტიზმისა და გაუპატიურების მცდელობის არცერთი ფაქტი. 4 ერთეულით შემცირდა განზრახ მკვლელობა, 6 ერთეულით ადამიანის გატაცება, 16 ერთეულით — ყაჩაღობა, 3 ერთეულით — თაღლითობა და სხვა.

ტენდენცია

კორუმპირებული ფოსტის უფროსების გარდა, სხვა არავინ აფათურებს ხელს პენსიონერთა ჯიბეში?

შიდა ქართლში კრიმინოგენული ვითარების გაჯანსაღების, დანაშაულობათა კლების ტენდენცია იგრძნობა და ძირითადად სრულდება ამ კუთხით საქართველოს პრეზიდენტის პროგრამაში, ბრძანებულებებსა და განკარგულებებში ჩამოყალიბებული მოთხოვნები.

შარშან განხორციელებულმა ღონისძიებებმა, მუშაობის შედეგების ყოველკვარტალურად შეფასებებმა, მართლწესრიგის, კანონიერების დაცვის და სახელმწიფო უშიშროების სამხარეო საკოორდინაციო შტაბის სხდომებზე აქტუალური საკითხების განხილვამ და გადაწყვეტამ გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო.

მხარეში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წინა წლებში ჩადენილ დანაშაულობათა გახსნის მდგომარეობას. მიუხედავად დადებითი შედეგებისა, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არ ხორციელდება სრული ძალით და შესაძლებლობებით. ჯერ კიდევ ადგილი აქვს დანაშაულის მიჩქმალვას. ხშირ შემთხვევაში არაოპერატიულობის გამო დამნაშავე დაუსჯელი რჩება, რაც განმეორებითი დანაშაულის წინაპირობას ქმნის. პოლიციისა და სასამართლოების შეუთანხმებელი მუშაობის გამო მათი ერთობლივი საქმიანობა ნელა გადადის ახალი მოთხოვნების დონეზე.

სასამართლო რეფორმის საფუძველზე მნიშვნელოვნად ამაღლდა სასამართლოების პასუხისმგებლობა. მართალია, მათ მიეცათ დამოუკიდებლობა, მაგრამ, მხარის რწმუნებული არ აპირებს შეურიგდეს ისეთ დარღვევებს, რომლებიც საზოგადოების აღშფოთებას იწვევს. ამიტომაც მოუწოდებს რაიონულ სასამართლოებს, პროკურატურას და შინაგან საქმეთა ორგანოებს კოლეგიალური მუშაობისაკენ და სთხოვს დამნაშავეთა მიმართ ობიექტური, პრინციპული და კანონიერი ღონისძიებების განუხრელ განხორციელებას.

კვლავ აქტუალურია კორუფციასთან ბრძოლის საკითხი. კორუფციასთან ბრძოლის სამხარეო კომისია მუდმივ ყურადღებას აქცევს მხარის რაიონებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას. სამართალდამცავმა და მაკონტროლებელმა ორგანოებმა 1998 წელს კვლავ გამოავლინეს უხეში დარღვევები და დანაშაულებრივი ფაქტები პენსიების გაცემაში. ასეთი ფაქტები მოხდა გორის რაიონის სოფლებში – შინდისში, ტირძნისში და ნიქოზში, ქარელის რაიონის სოფელ დირბში.

მხარის რწმუნებულის თქმით, პენსიონერთა თანხების დატაცების აღსაკვეთად საჭიროა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლება.

თუმცა აქვე ისმის შეკითხვა: შეიძლება კი დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, როცა ამ უმძიმეს დანაშაულში მხოლოდ ფოსტის უფროსები იმხილებიან? სხვა არავინ აფათურებს ხელს ამ თანხებში?

იქნებ, ამიტომაც იყო, რომ ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესება მოითხოვა რწმუნებულმა კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამხარეო სამსახურისგან, რადგან კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა იყო და არის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე.

დანაშაულის საერთო ოდენობაში დიდი მოცულობა უკავია გამოვლინებითი ხასიათის ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა და გასაღება. 1997 წელს რეგისტრირებული იყო ამ სახის 104 დანაშაული. 1998 წელსაც – 104, მათ შორის, 19 დანაშაული ნარკოტიკების რეალიზატორებზე მოდის და იგი 1 ერთეულით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. ირაკლი ბოჭორიძის თქმით, აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები სრულად მაინც ვერ ასახავს მხარეში არსებულ რეალურ ვითარებას. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლ სამსახურებს მუშაობის უფრო მეტად გააქტიურება მართებთ. რაც შეეხება ერედვის შინაგან საქმეთა განყოფილებას, სწორედ ამ განყოფილებისადმი სათანადო კონტროლის და დახმარების გაწევა იქნება საჭირო შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის მხრიდან. პრეზიდენტის რწმუნებული იმედოვნებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის მხრივ გაითვალისწინებს ამ სამსახურების ძალზე მწირ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და ეროვნული პროგრამის შესაბამისად აღმოუჩენს მათ ჯეროვან დახმარებას. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს სათანადო ოპერატიული და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებისათვის მთლიანად მხარეში, განსაკუთრებით კი – კონფლიქტის ზონაში.

მხარეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოპერატიულ-პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზებულად წარმართვას. სწორედ ამ მიზნით ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაევალა, სათანადო დახმარება გაუწიონ შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებებს პოლიციის უბნის ინსპექტორების სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის.

რწმუნებული კატეგორიულია: პოლიციის უბნის ინსპექტორი, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორი, საგზაო პოლიციის ინსპექტორი და, შესაბამისად, ყველა სამსახურის თანამშრომელი რეალურად უნდა ფლობდეს მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ვითარებას.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ჯეროვანი წესრიგი არ არის გზებზე. სამხარეო სამმართველოს შესაბამისი სამსახურის მომთხოვნელობასა და მუშაობის კოორდინაციას არასაკმარისად აფასებს ირაკლი ბოჭორიძე და ამბობს, რომ ოპერატიული და პროფილაქტიკური ღონისძიებების იშვიათად ჩატარების გამო ისევ გახშირდა ავტომანქანების გატაცების და ავტოავარიების შემთხვევები. ამასთან, რაიონებში კვლავ მოძრაობს ბევრი ისეთი ტრანსპორტი, რომლებსაც არ გააჩნიათ ლიცენზიები და საგადასახადო მოწმობები, ამით კი იმალება ბიუჯეტში რეალური შემოსავლები.

მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლში მრავალი პრობლემაა მოსაგვარებელი, თუნდაც ამ ერთი მხარის მაგალითზე, ცხადია, რომ ქვეყანაში საკუთარი შესაძლებლობებითაც ბევრი საკითხის გადაწყვეტა შეიძლება. მხარის ხელმძღვანელობას საკმარისი გამძლეობა და ურთიერთგაგება აქვთ იმისათვის, რომ დარჩნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების დონეზე, ჩვენი დროის მოთხოვნათა დონეზე. მხარის მოსახლეობასაც თანდათან უმტკიცდება იმის რწმენა, რომ უფლება აქვს მონაწილეობდეს სახელმწიფოს მართვაში, რომლის სათავეებიდანაც საფუძვლიანად იყო მოშორებული ათწლეულების განმავლობაში.

საერთოდ, ქვეყანაში და კონკრეტულად შიდა ქართლში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს ისიც, რომ ხალხი აქტიურად და სრული პასუხისმგებლობით აზროვნებს. მან კი ისიც კარგად იცის, რომ ვერ მოსთხოვ თავისუფალ აზროვნებას, პასუხისმგებლობას ქვეყნის ბედზე, თუკი იმავდროულად შეავიწროვებ მისი შესაძლებლობების გამოყენებისა და თავისუფლების სფეროებს.

აზრთა ჭიდილი კი ბატონო, მაგრამ, ურთიერთდაპირისპირება, დისკრედიტაცია ხელისუფლებისგან ხალხის გაუცხოებას უწყობს ხელს. ამიტომ ნუ დაგვავიწყდება, რომ თუკი ჩვენ ყველანი ერთნი ვართ ცხოვრების სასიკეთოდ შეცვლის სურვილში, არ უნდა გაიხლიჩოს ეს მთლიანობა. ამიტომ არის აუცილებელი ცვლილებებისთვის ხელის შეწყობა და არა წინააღმდეგობა.

გასახარია იმის დანახვა, რომ შიდა ქართლში მყარად მოიკიდა ფეხი პასუხისმგებლობის გრძნობამ და ურთიერთთანადგომამ. ეს უდიდესი პოლიტიკური გაკვეთილია მათთვის, ვინც პირად კეთილდღეობას სამშობლოს აყვავებაზე მაღლა აყენებს და ეს ჩვეულებად ექცა.

გასახარია, რომ მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. შიდა ქართლში მიზანსაც ხედავენ და მისკენ სავალი გზებიც გააზრებული აქვთ.

გვერდი მოამზადა ბონდო მძინარაშვილმა.

თვალსაზრისი

რა, ჩვენთან ბანდიტიზმი აღარ ისჯება?

ზოგიერთი შენიშვნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის" 1997 წლის 21 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, რომლის გაცნობა-შესწავლის შემდეგ დაიბადა მრავალი კითხვა და შენიშვნა, ამათგან მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ რამდენიმეზე.

პირველი და მთავარი შენიშვნაა ის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, თითქმის მთლიანად, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის 1997 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული კოდექსის თარგმანია. ორიგინალიდან ზოგიერთმა გადახრამ, ცალკეული მუხლების სახეცვლილებებმა ან ახალმა მუხლებმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტს სასიკეთო ნამდვილად ვერაფერი შემატა.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ავტორებმა კეთილსინდისიერად თარგმნეს რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის ნორმათა აბსოლუტური უმრავლესობა, დაშვებულია უხეში შეცდომები, უზუსტობანი, სტილისტური, გრამატიკული და სხვა დარღვევები. ეს, ჩვენი აზრით, საკმარისი საფუძველია, რომ პროექტი ამ სახით არ მივიღოთ.

ყოველი სისხლის სამართლის კოდექსის ძირითადი აზრი სამი სიტყვით შეიძლება გამოიხატოს – „დანაშაული და სასჯელი". პროექტის მეორე კარში „დანაშაული და მისი კატეგორიები", განმარტებულია ყველა ცნება, რაც კი ეხება დანაშაულს. არ არის მოცემული და განმარტებული ძირითადი, – თვით დანაშაულის ცნება. მე-8 მუხლში „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი" ვკითხულობთ: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, აგრეთვე, დაისჯება ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში მიუძღვის ბრალი". არაფერს ვამბობთ წინადადების სტილზე, მოვიყვანთ მხოლოდ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლს: „დანაშაულის ცნება. დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საქართველოს საზოგადოებრივ წესწყობილებას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომითს, ქონებრივ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე, მართლწესრიგის ხელმყოფი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით".

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლში, „დანაშაულის ცნება", ნათქვამია: „დანაშაულად ჩაითვლება ბრალეულად ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, აკრძალული ამ კოდექსით დასჯის მუქარის ქვეშ".

შევადაროთ პროექტის მე-8 მუხლის უკვე ციტირებული ტექსტი საქართველოს მოქმედი კოდექსის მე-3 მუხლის ტექსტს: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა". რა მოსაზრებით ითქვა უარი ამ ტექსტზე ყოვლად გაუმართავი ტექსტის სასარგებლოდ. პროექტის ავტორებმა ყველაფერი იღონეს, რათა დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებიდან (ზოგადი ნაწილი), რომლებიც მათი და საერთოდ, ამჟამად ცოცხალი უფროსი თაობის იურისტების აღმზრდელთა მიერაა ჩამოყალიბებული, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ესა თუ ის მუხლი შინაარსობრივად უცვლელად შეიტანეს პროექტში, ტექსტობრივად არც ერთი არ დატოვეს უცვლელად. მაგალითისათვის კმარა მოქმედი კოდექსის მე-3 მუხლის შედარება პროექტის მე-8 მუხლთან.

წარმოდგენილ პროექტში ბევრგან გვხვდება გამოთქმები: „პასუხს არ აგებს ის", „დანაშაულს არ ჩადის ის", „პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას", „ამსრულებელია ის", თუმცა დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ისევე როგორც რუსეთის ფედერაციისა, ხმარობენ სიტყვებს: „პირი", „ბრალეული პირი", ან „დამნაშავე", „ის, მას, იმას, ვინც შეიძლება იყოს ძაღლი, მგელი, დათვი და ყველა ის ცხოველი, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანებისათვის რაიმე ზიანის მიყენება, სხეულის დაზიანება ან სიკვდილიც კი. რატომ თქვეს პროექტის ავტორებმა უარი ბრალეული ადამიანის მიღებულ დასახელებაზე „პირი", გაუგებარია.

უფრო მეტად გაუგებარია, რატომ არის თითქმის ყოველ მუხლში, პროექტში კი ორასჯერ ნახმარი სიტყვა „ქმედება", რომელიც ქართულ ენაში ამ სახით არ არსებობს. ქართულ ენაში არის სიტყვა „ქმედობა".

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1937 წელს გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში, 148-ე გვერდზე, სიტყვა „деяние" ნათარგმნია, როგორც „მოქმედება, ქმედობა, საქმე. Ненаказуемое деяние – უსჯადი ქმედობა. Преступное деяние – დანაშაულებრივი ქმედობა".

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონის, სამტომეულის პირველი ტომის 307-ე გვერდზე რუსული სიტყვა „деяние" ნათარგმნია როგორც „მოქმედება", ქმედობა, საქმე. Преступное деяние – დანაშაულებრივი ქმედობა".

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის 1982 წლის გამოცემაში, რომლის სარედაქციო კოლეგიაში იყვნენ კორიფენი ქართული ენისა ა. ჩიქობავა, შ. ძიძიგური და სხვები, რომელიც ემყარება 1950-1964 წლებში გამოცემული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს, რვატომეულს, 456-ე გვერდზე სიტყვა „ქმედობა" განმარტებულია, როგორც „მოქმედება"."

არც ერთ დასახელებულ და ჩვენს მიერ ნანახ სხვა ლექსიკონებში სიტყვა „ქმედება" ნახსენები არ არის. საქართველოს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლში ნათქვამია: „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში **ქმედობა** (მოქმედება ან უმოქმედობა)..." ყოველივე აქედან ჩანს, რომ სიტყვა „ქმედება" პროექტში იხმარება სრულიად უსაფუძვლოდ, ისევე, როგორც იგი იხმარება საქართველოს მასმედიაში. ბევრი ჩვენი თანამემამულე ცდილობს რა თავი განსაწვლულად მოგვაჩვენოს, ამ სიტყვას ხმარობს დანაშაულის სინონიმად, როცა ამბობს მავანმა პირმა ჩაიდინა ქმედებაო.

თუ „მეფე-მზეს" ლუდოვიკო XIV არ მისცეს უფლება ფრანგული ენის გრამატიკის თუნდაც უმნიშვნელო ხელყოფისა, არავის აქვს უფლება ერთი ხელის აქნევით შეცვალოს ქართული ენა, მისი გრამატიკა!

საკითხის გადაწყვეტის შემდეგ არ ღირს კამათი, სწორია თუ არა სიკვდილით დასჯის გაუქმება, მაგრამ ის, რომ „უვადო თავისუფლების აღკვეთა" არ შეესაბამება რუსულ „Пожизненное лишение свободы"-ს, – აშკარაა. უვადო, ესე იგი სამუდამო, სასჯელმისჯილის გარდაცვალების შემდეგაც საპყრობილეში ყოფნა თუ როგორ გავიგოთ? „ვადა" რუსულად არის „срок", „უვადო თავისუფლების აღკვეთა" კი არის „Бессрочное лишение свободы". იქნება ჯობდა ქართული ენის სპეციალისტებისათვის მიგვემართა დახმარებისათვის?

რუსეთის ფედერაცია, მისი სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეების მტკიცების მიხედვით დემოკრატიულ საზოგადოებას აშენებს. ალბათ, ამიტომ, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი იწყება ისეთი ნორმებით, როგორებიცაა: მუხლი 3. კანონიერების პრინციპი; მუხლი 4. მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე; მუხლი 5. ბრალეულობის პრინციპი; მუხლი 6. სამართლიანობის პრინციპი; მუხლი 7. ჰუმანიზმის პრინციპი", რომლებიც არ იყვნენ რსფსრ-ს და არ არიან საქართველოს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსებში.

დასანანია, რომ ეს ნორმები, რომლებიც სისხლის სამართლის აღიარებულ პრინციპებს წარმოადგენენ, პროექტის ავტორებმა არ შეიტანეს მისი ზოგადი ნაწილის პირველ კარში. უბრალოდ შეავსეს სხვადასხვა დებულებებით სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილიდან, ისეთებით, როგორებიცაა „დენადი დანაშაული", „განგრძობადი დანაშაული", „მიზეზობრივი კავშირი" და სხვა. კოდექსს, შეიძლება ეთქვათ, არაფერი დაუშავდება თუ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის დებულებებს, უკლებლივ ყველას ან ნახევარს, გადავიტანთ მასში, მაგრამ თუ არ შევიტანეთ „დანაშაულის ცნება", რით დაიმსახურა ეს პატივი „მიზეზობრივმა კავშირმა"?

კოდექსის პროექტის მე-17 მუხლში სათაურით „გაუფრთხილებელი დანაშაული", – ვკითხულობთ:

„1. ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული მოქმედების (უმოქმედობის) საშიში ხასიათი, ზოგადად ითვალისწინებდა მისი საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

2. ქმედება დაუდევრადაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული მოქმედების (უმოქმედობის) საშიში ხასიათი, არ ითვალისწინებდა საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

3. გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინაა დანაშაული, თუ ამის შესახებ სახელდებითაა მითითებული ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში".

საინტერესოა, რომელი კოდექსით უნდა ეხელმძღვანელა პირს? რომელი კოდექსითაა გათვალისწინებული ეს „წინდახედულობის ნორმა"? მოქმედების ან უმოქმედობის მხოლოდ „საშიში ხასიათი" შეიძლება გახდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველი თუ ქმედობის **საზოგადოებრივი საშიშროება?** საკითხავია, რითი არ მოეწონათ პროექტის ავტორებს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი „დანაშაულის ჩადენა გაუფრთხილებლობით", რომელშიც ლაკონურადაა მოცემული ამ სახის დანაშაულის განმარტება ყოველგვარი „წინდახედულობის ნორმებზე" მითითების გარეშე: „დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი პირი ითვალისწინებდა თავის მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა ისინი".

ანალოგიურადაა „გაუმჯობესებული" მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებიც: მე-9 მუხლი „დანაშაულის განზრახი ჩადენა", მე-13 მუხლი „შეურაცხადობა", მე-14 მუხლი „პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის", მე-15 მუხლი „აუცილებელი მოგერიება", მე-16 მუხლი „უკიდურესი აუცილებლობა".

მაგალითად, პროექტის მე-16 მუხლში „განზრახ დანაშაული" წერია: „ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედების (უმოქმედობის) საშიშროება, ითვალისწინებდა მის საშიშ შედეგს და სურდა ეს შედეგი, ანდა მხოლოდ ითვალისწინებდა ამ შედეგის დადგომის აუცილებლობას.

2. ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედების (უმოქმედობის) საშიშროება, ითვალისწინებდა საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არ სურდა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას".

მოქმედების ან უმოქმედობის საშიშროება არაა საკმარისი, რომ ქმედობა დანაშაულად ჩავთვალოთ. იგი საზოგადოებრივად საშიში უნდა იყოს და საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომას უნდა ითვალისწინებდეს.

თვითმკვლელობა საშიში ქმედობაა, საშინელი შედეგით მთავრდება, მაგრამ კანონის მიერ ჯერ საზოგადოებრივად საშიშად არაა მიჩნეული, ამიტომაც არაა დასჯადი. რატომ ითქვა უარი დანაშაულის ერთ-ერთ ძირითად ნიშანზე – მის საზოგადოებრივ საშიშროებაზე, პროექტის კიდევ ერთი გამოცანაა. ასევე იდუმალებით არის მოცული პროექტის ავტორების მიერ უარის თქმა მოქმედი კოდექსის მე-9 მუხლზე „დანაშაულის განზრახ ჩადენა", რომელშიც ოთხსტრიქონიანი ტექსტი მოკლედ და კონკრეტულად ხსნის: „დანაშაული განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ეს შედეგები ან შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას".

პროექტის პირვანდელი ვარიანტის მე-16 მუხლს ეწოდებოდა „შეურაცხადობა". „საქართველოს რესპუბლიკაში" 1997 წლის 21 აგვისტოს გამოქვეყნებული პროექტის ვარიანტში 36-ე მუხლს უკვე „შეურაცხაობა" ჰქვია. არსებობის უფლება აქვს როგორც პირველ, ისე მეორე დასახელებას – სიტყვის შეცვლით ქვეყანა არ დაიქცევა. უფრო დასანანია ის, რომ მოქმედი კოდექსის ლიტერატურულად და იურიდიულად გამართული ტექსტი შეიცვალა გაუმართავი ტექსტით, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს პროექტის ავტორთა დიდ სურვილს, იყვნენ ორიგინალურები.

მოქმედი კოდექსის მე-14 მუხლში „პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის" წერია: „ის პირი, რომელმაც სიმთვრალეში ჩაიდინა დანაშაული, არ თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

თუ ასეთი პირი ალკოჰოლიკია, მაშინ მის მიმართ, სასჯელთან ერთად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კოდექსის 63-ე მუხლით გათვალისწინებული იძულებითი მკურნალობა".

პროექტის 38-ე მუხლში „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის" ვკითხულობთ: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც დანაშაულს ჩაიდენს ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალების ან სხვა გამაბრუებელი ნივთიერებით გამოწვეული სიმთვრალის მდგომარეობაში".

იქმნება შთაბეჭდილება, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ პირს, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში, ხოლო ის პირი, რომელიც სიფხიზლეში ჩაიდენს დანაშაულს, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან!

მსგავსი ლაფსუსები, სამწუხაროდ, პროექტში ხშირია და ყველას განხილვა საკმაო ადგილს და დროს მოითხოვს, მაგრამ ზოგიერთი ამას იმსახურებს.

მაგალითად, განვიხილოთ 39-ე მუხლი, რომლის სახელწოდებაა „შეცდომა". მისი ტექსტი ასეთია: „1. ის, ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის, აკრძალულია, არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა საპატიოა.

2. შეცდომა საპატიოა, როცა შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას.

3. როცა შეცდომა საპატიო არ არის, პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობით ქმედებისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა სისხლის სამართლის კანონით ისჯება".

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეს მუხლი ეროვნული სისხლის სამართლის მეცნიერების მიღწევაა!

კი, მაგრამ, ვის მიერ არის ქმედობა აკრძალული და ვინ უნდა განსაზღვროს, რომ შეცდომა საპატიოა? თურმე „შეცდომა საპატიოა, როცა შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას". არც მეტი, არც ნაკლები, ლონდონსა და პარიზში შეიძლება გაზონებზე სიარული, კოტრიალი და ქალ-ვაჟის ხვევნაკოცნაც კი. ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ იქ, მიუხედავად ამისა, ბალახი ზამთარ-ზაფხულ მწვანედ ბიბინებს.

ჩვენთან გაზონებზე სიარული აკრძალულია, მაგრამ ამის მიუხედავად იშვიათად თუ სადმე აღმოაჩენთ მობიბინე ბალახს. ჩამოვიდა სტუმარი პარიზიდან და გაიარა უბალახო გაზონზე, რომელზედაც სიარული აკრძალულია (!) რა, მერე? ღირს კი ეს ამბავი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში 39-ე მუხლად შესატანად? თურმე ღირს (ფაქტი სახეზეა), რადგან შეტანილია, რადგან „სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას".

გარდა იმისა, რომ ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ერთი და იგივე შინაარსისაა, მათში ლაპარაკია არა საზოგადოებრივად საშიშ, არა დასჯად, არამედ აკრძალულ ქმედებაზე", რომელიც არ ისჯება, თუ მისი ჩადენა წარმოადგენს „საპატიოს"!

პროექტის მესამე კარში „სასჯელი" ერთ-ერთ ძირითად სასჯელად შეტანილია „თავისუფლების შეზღუდვა", რომელიც 49-ე მუხლში განმარტებულია, როგორც „საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე განაჩენის გამოტანის მომენტისათვის თვრამეტ წელს მიღწეული მსჯავრდებულის მოთავსება სპეციალურ დაწესებულებაში – გამასწორებელ ცენტრში მასზე ზედამხედველობის განხორციელებით". ამავე მუხლში დასახელებულია პირთა კატეგორიები, რომელთაც შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების შეზღუდვა, ან არ დაენიშნოს. თითქოს განმარტებულია რას ნიშნავს თავისუფლების შეზღუდვა, მაგრამ სინამდვილეში ეს განმარტება ბურუსით მოცულ მუხლში სიცხადის შემტანი არ გახლავთ. სასჯელის ეს ზომა გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში და მექანიკურადაა გადმოტანილი პროექტში. ეჭვი გვეპარება, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის შემქმნელთ წარმოდგენილი ჰქონდეთ, როგორ და რა წესით იმოქმედებს ეს სპეციალური დაწესებულება ისევე, როგორც ჩვენი პროექტის ავტორებს. მათ ამ სპეცდაწესებულებას „გამასწორებელი ცენტრი" უწოდეს, რათა უფრო სოლიდურად ჟღერდეს.

„ცენტრში", რომელშიაც „იზოლაციის გარეშე" და ზედამხედველობის განხორციელებით „მოთავსებული იქნება თვრამეტ წელს მიღწეული მსჯავრდებული", ალბათ, საკმაოდ მრავალრიცხოვანი პერსონალი უნდა მუშაობდეს. სამწუხაროდ, მსჯავრდებულები ციხეებიდან და კოლონიებიდან, სადაც გაძლიერებული დაცვაა, გარბიან და რატომ არ გაიქცევიან ისინი „სპეციალური დაწესებულება-გამასწორებელი ცენტრიდან", სადაც ისინი „იზოლაციის გარეშე" იქნებიან? ნუთუ ამთავითვე ცხადი არ არის, რომ ასეთი „ცენტრი" მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს და ამავე დროს, ვინ დადგება იმის გარანტად, რომ ამ „გამასწორებელ ცენტრში" ვინმეს გამოასწორებენ? გაამართლებს კი ჩვენს პირობებში ეს „სპეციალური დაწესებულება" თავის არსებობას?

იქნებ, სჯობდა დაგვეცადა, გვენახა, რა შედეგს მოიტანდა რუსეთში სასჯელის ამ ზომის რეალიზება და თუ იქ გაამართლებდა, შემდეგ ჩვენც გვესინჯა?

უხერხულობის გრძნობას იწვევს დასაწყისი 55-ე მუხლისა, რომლის სახელწოდებაა „სასჯელის დანიშნის ზოგადი საწყისები": „სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს შეუფარდებს"... ან 81-ე მუხლის „ამნისტია" მე-2 პუნქტის ტექსტი: „ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან; მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან... „უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს ბრალდებული, განსასჯელი, ანუ ის პირი, ვისაც ბრალდება დანაშაულის ჩადენა და არა დამნაშავე, რომელიც ასეთად ცნობილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით.

როგორც ითქვა, მსგავსი ლაფსუსები საერთოდ ახასიათებს პროექტს, მაგრამ არის ისეთი სერიოზული შეცდომები, რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლით.

ირაკლი ცინცაძე,
დამსახურებული იურისტი,
მამუკა ლომიძე,
საქართველოს სახელმწიფო უშიშროების აკადემიის სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის კათედრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ვიცე-პოლკოვნიკი,
თამარ ნოდია,
ამავე კათედრის უფროსი მასწავლებელი.

(დასასრული იქნება).

პოლიცია

ტვირთი „აბრეშუმის გზაზეც" დასაცავია

საქართველოს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია, რომელიც იცავს სახელმწიფოს, საზოგადოების, მოქალაქეთა ინტერესებს სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ობიექტებს, ტვირთებს და მგზავრებს დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

აქ, გასული 1998 წელი საუკეთესო მაჩვენებლებით დაასრულეს, სერიოზულმა დანაშაულმა იკლო, ტვირთების დაკარგვით გამოწვეული ზარალი მინიმუმამდეა დაყვანილი.

1989 წელს აღრიცხული 385 დანაშაულიდან 269 გახსნილია, 1991 წელს 991 დანაშაულიდან – 361, ეს გახლდათ კულმინაცია სატრანსპორტო პოლიციაში და იმ წლიდან დანაშაულის რაოდენობამ კლება დაიწყო, კლების ტენდენცია დღემდე გრძელდება, მაგალითად, თუ 1995 წელს სულ 568 დანაშაულია აღრიცხული, აქედან 423 გახსნილია, ხოლო 1997 წლის 496 შემთხვევიდან გახსნილია 441, 1998 წელს – 458 დანაშაულიდან გახსნილია 442, სისხლის სამართლის სამძებრო ხაზით 319-დან 308 დანაშაული, ხოლო მათ შორის 86 მძიმე დანაშაულიდან –გახსნილია 84. თუ 1997 წელს ნარკომანიის 67 ფაქტი გამოავლინეს, გასული წლის მაჩვენებლით მან 71 მიაღწია.

ფხიზლობენ სატრანსპორტო პოლიციაში და შესაბამისად, ყველა სახის დანაშაულზე სწრაფად რეაგირებენ, აქ ის ადამიანები მსახურობენ, ვისი იმედითაც შეიძლება იყოს ქვეყანა. აქ, კადრების შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გენერალმა ზურაბ ეროტაძემ თავის ერთ-ერთ გამოცდილ თანამშრომლად თავისი მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი თამაზ დგებუაძე დაგვისახელა.

— სატრანსპორტო პოლიციას განსაკუთრებული ფუნქცია აქვს, მითხრა ბატონმა თამაზმა, – ჩვენ ყველანაირ ტრანსპორტს ვაკონტროლებთ, გამოცდილება საკმაოდ დიდია და შედეგიც აშკარაა. თუ 1989 წელს ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისას ზარალი ორ მილიონზე მეტი იყო, 1992 წელს 34 მილიონს გადააჭარბა, 1993 წელს 329 მილიონი გახდა, სწორედ იმ წლიდან შეინიშნება ზარალის კლების ტენდენცია ტრანსპორტის ყველა სახეზე, ეს კი ქვეყნად სტაბილიზაციის დამყარებას დაუკავშირდა. მხოლოდ სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისას ზარალმა 1996 წელს 400 ლარი შეადგინა, რაც, ცხადია, უმნიშვნელოა, 1997 და 1998 წლებში ზარალი საერთოდ არ აღრიცხულა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენმა თანამშრომლებმა დაცვას ტრანსპორტის ამ სახეობაში შესანიშნავად გაართვეს თავი. პროფესიონალიზმით, გამოცდილებითა და დიდი პასუხისმგებლობით მიაღწიეს წარმატებებს.

პოლიციის პოლკოვნიკ თამაზ დგებუაძეს მამა პოლკოვნიკი ჰყავდა, რისკიანი და სახიფათო ცხოვრების გზა მათ თავად აირჩიეს, განუხრელად მიჰყვება ბატონი თამაზი ამ გზას, რომელიც პოლიციაში მამის გარდაცვალების შემდეგ მივიდა.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური და მამის ნაკვალევს გაჰყვა.

1978 წელს თამაზ დგებუაძემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოში დაიწყო მუშაობა: ჯერ ოპერრწმუნებულად, შემდეგ უფროს ოპერრწმუნებულად, პარალელურად დაამთავრა უმაღლესი სკოლა, სხვადასხვა დროს იყო დიდუბის რაიონის სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, ქალაქ სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსი, მარნეულის საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, შემდგომ ს/ს მთავარი სამმართველოს უფროსი. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი, ვაჟი პოლიციელობაზე ოცნებობს, მეუღლის რთული პროფესიის მეხედვარე დედას კი მიაჩნია, რომ ოჯახში ერთი თანამშრომელი სრულიად საკმარისია.

გასულ წელს აღრიცხულ დანაშაულთაგან სატრანსპორტო პოლიციაში, როგორც რთულს, რამდენიმეს გამოყოფენ. პოლიციელების მიერ მხილებულია 4 დამნაშავე, რომლებმაც – საქართველოში 46000 ყალბი ამერიკული დოლარი შემოიტანეს; ასევე ამხილეს ფირმა, რომელმაც გაყალბებული საბუთებით რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ღირებულების, საკმაოდ სოლიდური თანხის მითვისება სცადა, ქრთამის აღებაზე და გამოძალვაზე მხილებულია რამდენიმე პირი. ამასთან, გასულ წელს 98 რეიდი მოეწყო. სარკინიგზო ტრანსპორტსა და მაგისტრალებზე საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტში გამოავლინეს დანაშაულობანი, საკმაოდ სერიოზულ მუშაობას ატარებენ სამართალდარღვევათა აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად, აღრიცხული და რეგისტრირებულია ყველა საქმე. გამუდმებით ზრუნავენ მოძრაობის უსაფრთხოებაზე, იცავენ სახანძრო უსაფრთხოებას, პასუხისმგებლობას კისრულობენ ტრანსპორტზე მომხდარი და რეგისტრირებული სისხლის სამართლის დანაშაულთა მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებაზე.

თამაზ დგებუაძე:

თითქმის ყველა სახის დანაშაული გვაქვს აღრიცხული, უმეტესობა გახსნილია ან გახსნის პირასაა, ჩვენთვის წვრილმანი დანაშაული არ არსებობს, ყველა მათგანი განსაკუთრებულია, ამიტომაც დამშვიდების უფლება არა გვაქვს. პასუხსაგებ საქმეს აკეთებს საქართველოს რკინიგზა. ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ტვირთები გადაგვაქვს, მისი დაცვა ჩვენი ვალია. წინ „აბრეშუმის გზაა", აქ ტვირთები სატრანსპორტო პოლიციამ უნდა დაიცვას, ეჭვგარეშეა, აქაც, სასახელო სიტყვას იტყვიან სატრანსპორტო პოლიციელები, რომელთა წვლილი დიდია ამ სამსახურის წარმატებებში. გამოირჩევიან როგორც ჩვენი დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის, ასევე ტერიტორიული დანაყოფების ხელმძღვანელები: გურამ ჯანიაშვილი, ანდრო გვაძავა, რეზო გაგუა, მამუკა არაბიძე, ანერო მჭედლიძე, ნუკრი ძნელაძე, ავთანდილ მამრიკიშვილი, თემურ კობალაძე, ფარნა სვანიძე, იური კვარაცხელია, ნუგზარ მივინეიშვილი, ბორის დანელია, ალექსი ფერაძე და სხვები.

სატრანსპორტო პოლიცია შსს სტრუქტურულად სპეციფიკური ქვედანაყოფია, მან თავისი არსებობით უკვე დაამტკიცა, რომ იგი საქართველოს წინსვლის გზაზე მეტად საჭირო და აუცილებელი სტრუქტურაა.

— სატრანსპორტო პოლიციაში არც თუ დიდი ხნის წინათ ძირეული საკადრო ცვლილებები განხორციელდა. დღეს მას პროფესიონალი, გამოცდილი შსს პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი ზურაბ ეროტაძე ხელმძღვანელობს, რომელსაც კადრების შერჩევაში დიდი გამოცდილება აქვს, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ტრანსპორტის პოლიციაში პროფესიონალიზმის ყადრი და ფასი იციან. იქ კი, სადაც ცოდნა და პასუხისმგებლობა უმთავრესია, წარმატებები გარდაუვალია.

ქეთევან ჩემია.

იმედის ნაპერწკალი

გურიის რეგიონში, შარშან, პოლიციაში ცვლილებები მოხდა. ოზურგეთის რაიონის პოლიციას სათავეში ჩაუდგა პროფესიონალი, საკუთარ საქმეზე შეყვარებული ადგილობრივი მკვიდრი ბადრი მახარაძე. მასთან ჩვენი გასაუბრების მიზეზიც ეს იყო.

— ბატონო ბადრი, როგორია ადგილობრივი კადრები? აპირებთ თუ არა ცვლილებებს?

— საკადრო ცვლილებები არის და იქნება. განთავისუფლებული არიან კრიმინალური და ადმინისტრაციული პოლიციის უფროსები, ვინც ვერ გაართვეს თავს დაკისრებულ მოვალეობას, წინადადებას მივცემთ მოძებნოს შესაფერისი სამსახური. პროფესიონალებს მოვიზიდავთ, არავის ვათქმევინებთ, ახალმა უფროსმა თავისი გუნდი მოიყვანაო. ჩემი გუნდის წევრი იქნება ის, ვინც საქმეს ერთგულად მოემსახურება.

— როგორია ძველ თანამშრომელთა პროფესიონალიზმი, კმაყოფილი ხართ?

— ჩემი მოსვლის დღიდან შეიქმნა პროფესიული მომზადების ჯგუფები, უკვე იგრძნობა ამაღლების ტენდენცია. ამ საქმეში ჩავრიეთ ის ადამიანები, რომლებმაც ათეული წლები იმუშავეს მილიციაში და გარკვეული გამოცდილება დააგროვეს. მაგალითად, დიდად გვეხმარება და მხარში გვიდგას კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი, ყაჩაღთა ჯგუფებთან შეტაკებისას დაღუპული მილიციის უფროსის იური სიორიძის თანამებრძოლი ზურაბ გულბიანი.

— თქვენი მოსვლის დღიდან რა დანაშაულობები გამოავლინეთ?

— გახსნილია მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის, ძარცვის, ქონების ქურდობის, იარაღის უკანონოდ შენახვისა და ტარების სხვადასხვა დანაშაული სისხლის სამართლის სამძებროს სახით...

განხორციელებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად სხვადასხვა დროს დაკავებული არიან ეჭვმიტანილები, რომლებმაც გაქურდეს ჯიხურები, კოტეჯი, მაღაზია და ბინები.

გარკვეული მუშაობა განხორციელდა დამნაშავეთა ჯგუფების გამოვლენისა და მათი დანაშაულში მხილების მიზნით.

შესამჩნევად გააქტიურდა მუშაობა ისეთი პრობლემური დანაშაულის წინააღმდეგ, როგორიცაა საქონლის ქურდობა. ჩვენს მიერ დაკავებულია დამნაშავეთა ჯგუფი, რომლებმაც ლაითურში მოიპარეს კამეჩები, სოფელ ნაგომარში – ცხენები.

გარდა ამისა, ამოღებულია 6 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით მუშაობის გააქტიურების შედეგად ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვის, ნარკოტიკების შემცველი მცენარეების მოყვანის ფაქტებზე დაკავებული არიან გ. კონტრიძე, ლ. ხვინგია, მ. ღლონტი, ა. გოგუაძე და სხვები.

ამ მიმართულებით პროფილაქტიკური მუშაობის შედეგად გამოვლენილია ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი 25 პირი, რომლებიც სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული წესით არიან დასჯილნი.

— ვიცი, რომ საზოგადოებას და პოლიციას შორის ურთიერთობა გართულებული იყო, რა მდგომარეობაა დღეს?

— ამ თანამდებობაზე მოსვლისთანავე შევხვდი საზოგადოების წარმომადგენლებს, ვისაუბრეთ პრობლემებზე, მათ გამიზიარეს თავიანთი გულისტკივილი. უნდობლობის ყინული გალხვა, იმედია, ერთობლივად დავძლევთ პრობლემებს, სხვაგვარად ისეთ რეგიონში, სადაც ფირალობა ყოველთვის მოდაში იყო, ძალიან გაგვიძნელდება (იცინის).

ჩვენი კოლექტივი ახალგაზრდულია. გულით არიან მოწადინებული სამუშაოდ. მიუხედავად უხელფასობისა, მძიმე ეკონომიკური პირობებისა, ისინი მზად არიან ყოველგვარი დავალების შესასრულებლად.

— პრობლემები?

— როგორც ყველას, ჩვენც გვაქვს, მაგრამ გვერდში გვიდგას რაიონის გამგებელი ევსილ ტუღუში.

* * *

ბატონი ბადრი მახარაძე ფესვებით ოზურგეთიდანაა, დაიბადა 1952 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში, სადაც თავის დროზე მისი ბაბუა საცხოვრებლად გადასულა ოზურგეთის რაიონის სოფელ ჭანიეთიდან.

1969 წელს დაამთავრა თბილისის №4 საშუალო სკოლა, 1975 წელს კი ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტი. 1979 წლიდან შინაგან საქმეთა ორგანოებშია. სხვადასხვა თანამდებობებზე იყო თბილისში, ოზურგეთში გადაყვანამდე მუშაობდა შ.ს.ს. კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო მთავარ სამმართველოში. მშობლიურ რაიონში შექმნილმა მძიმე კრიმინალურმა მდგომარეობამ საკუთარი ხალხის მსახურის როლი დააკისრა. ჩათვალეს, რომ ოზურგეთს მისი ხელი ესაჭიროებოდა.

მეუღლის, სამი შვილისა და ორი შვილიშვილის წინაშე 1998 წლის 5 მაისს დადგა არჩევანი, ან შედარებით თბილი კერა ან კრიმინოგენურად რთულ რეგიონში წასვლა. მან მეორე, რთული და ძნელი გზა აირჩია.

მე საქართველოს სამსახურში ვარ. საქართველოს ახლა ბევრი რამ სტკივა და მის ტკივილს ქართველი კაცი ვერ გაექცევა. არც მე გახლავართ ის პიროვნება, რომელიც ბრძოლის ველიდან გარბის. ამას დავამტკიცებ. ხალხს პოლიციის იმედი დაუბრუნდება, იგი ჩვენი მადლობელი იქნება...

იმედის ნაპერწკალი ნამდვილად ჩანს ოზურგეთში. ამის გარანტიაა ბატონი ბადრი მახარაძე და პოლიციის პირადი შემადგენლობა, რომელიც კრიმინალური სამყაროს წინაშე ქედის მოხრას კი არა, რაიონში სრული წესრიგისა და სიმშვიდის დამყარებას აპირებს.

ნინო აბაშიძე.

ლამაზები და ლამაზისტულები

MISS ITALIA
EURO'99

მოსკოვში გაიმართა სილამაზის საერთაშორისო კონკურსი „მისს თანამეგობრობა-99“. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ ჟიურიმ გადაწყვიტა, რომ ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე ყველაზე ლამაზი ქალი სომხეთში ცხოვრობს. ეს არის გუარ არუთინიანი.

კიდევ ერთი სილამაზის კონკურსი მოეწყო იტალიაში. ევროვალუტის შემოღებასთან დაკავშირებით დაწყებული აჟიოტაჟი მოდის სამყაროსაც შეეხო. იტალიელებმა სასწრაფოდ აირჩიეს „მისს ევრო-99“. ეს გახდა 25 წლის ამსტერდამელი დიადა ბერტინი (ჰოლანდია), რომელიც მოდის ინდუსტრიაში მუშაობს.

ტირასპოლს ტარაკლიაც დაემატა?

მოლდავეთის ტარაკლიას ოლქში მოქალაქეთა დიდი აქტიურობის ვითარებაში გაიმართა რეფერენდუმი ოლქში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენარჩუნების საკითხზე. რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ უკანონო უწოდა თვით კენჭისყრას. ტარაკლიაში 30 ათასამდე ბულგარელი ცხოვრობს და ადგილობრივმა ხელისუფლებმა გამოაცხადეს რეფერენდუმის მოწყობა იმ ახალი კანონის მიღების შემდეგ, რომლის თანახმადაც კიშინიოვმა ოლქს ავტონომიის სტატუსი გაუუქმა. რეგიონიდან მიღებული მონაცემებით, რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ხმის მიცემის უფლების მქონე მოსახლეობის 75 პროცენტზე მეტმა.

სამასწავლებლოდან ქუჩაში!

რუსეთში დამთავრდა სკოლის მასწავლებელთა გაფიცვა, რომლებიც ხელფასის მრავალი თვის დავალიანების გასტუმრებას მოითხოვდნენ. პროფკავშირულმა ლიდერებმა განაცხადეს, რომ საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა სამასი ათასი კაცი. საპროტესტო აქციების მონაწილენი წავიდ-წამოვიდნენ მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა ხელისუფლებმა აღუთქვეს, რომ სრული მოცულობით გაუსტუმრებენ დავალიანებას. მთავრობა ბრალს სდებს რეგიონულ ხელისუფალთ, რომ მათ არადანიშნულებისამებრ მოიხმარეს საბიუჯეტო სფეროს მუშაკებისათვის განკუთვნილი სახსრები.

ფერმერები ბლოკადას აპირებენ

პოლონელმა ფერმერებმა, რომლებიც ევროკავშირიდან იაფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის წინააღმდეგ ილაშქრებენ, განაცხადეს, რომ განაგრძობენ ქვეყნის მთავარი მაგისტრალების ბლოკადას, მიუხედავად მთავრობის დაპირებისა, შეუსრულოს ზოგიერთი მოთხოვნა. საპროტესტო მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა, რომ ორშაბათს გამოაცხადებენ მთელი გზების ბლოკადას, თუ პოლონეთის მთავრობა არ დათანხმდება ფერმერთა ვალების ჩამოწერას და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გადიდებას.

RADIO LIBERTY, BBC, CNN და სხვანი

ერაყის მთავრობამ უარყო გაეროს ახალი ინიციატივა ორმხრივი ურთიერთობის ყველა ასპექტის გადასასინჯად. ამით უპასუხა ბაღდადმა უშიშროების საბჭოს წინადადებას, შეექმნათ სამი საექსპერტო ჯგუფი – ერაყის განიარაღების ახალი პროგრამის შესამუშავებლად, ჰუმანიტარული პრობლემების გადასაჭრელად და ქუვეითელ მოქალაქეთა ქონების საკითხზე, რომელიც ერაყის მხარემ ჩაიგდო ხელში სპარსეთის ყურის ომის დროს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ ჯგუფების მუშაობა დიდხანს გაჭიანურდება, სანქციები კი ამასობაში ძალაში დარჩება, არადა, ერაყი სანქციების დაუყოვნებლივ გაუქმებას მოითხოვს.

ბრაზილიის დედაქალაქში დაიწყო ამ ქვეყნის მთავრობისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაციის მოლაპარაკება, რომლის მიზანია შექმნილი ეკონომიკური კრიზისის დაძლევა. დღის წესრიგშია საკითხი, უნდა განახორციელოს თუ არა ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა სავალუტო ინტერვენცია რეალის განსამტკიცებლად, რომელმაც იანერის დამდეგს უკვე განიცადა დევალვაცია და მას შემდეგ განუხრელად ეცემოდა. გარდა ამისა, განიხილავენ საკითხს, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს ბრაზილიის მთავრობა სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად.

ირანში შეიქმნა საარბიტრაჟო კომიტეტი იმ კონფლიქტის მოსაგვარებლად, რომელიც ზომიერებსა და კონსერვატორებს შორის წარმოიშვა ადგილობრივ არჩევნებში კანდიდატთა დასახელების საკითხის გამო. მეჯლისმა, რომელშიც კონსერვატორები ბატონობენ, არჩევნებში არ დაუშვა 50-ზე მეტი ზომიერი კანდიდატი. მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელიც ზომიერად ითვლება, განაცხადა, რომ მეჯლისის აკრძალვის მიუხედავად, მათ მონაწილეობის ნებას დართავს. მომავალი ადგილობრივი არჩევნები პირველია ირანში ისლამური რევოლუციიდან განვლილი 20 წლის მანძილზე და კონფლიქტის მოგვარების ცდები რევოლუციის მეოცე წლისთავის 10-დღიანი ზეიმის სამზადისის ფონზე მიმდინარეობს.

პალესტინა-ისრაელის შეთანხმების შესრულების ვადის გასვლის გამო პალესტინელებმა ამერიკასა და ევროკავშირს მოუწოდეს, აიძულონ ისრაელი, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი. შეთანხმების მიხედვით ისრაელს უკვე უნდა დაესრულებინა თავისი ჯარების ეტაპობრივი გაყვანა იორდანეს დასავლეთი ნაწილის ტერიტორიის კიდევ ცამეტი პროცენტიდან და გაეთავისუფლებინა 750 პალესტინელი ტუსაღი. თავის მხრივ, პალესტინელებმა ვალდებულება იკისრეს, ეხმარათ უმკაცრესი ღონისძიებანი აგრესიული ექსტრემისტების ასალაგმავად. დეკემბერში შეთანხმების შესრულება შეჩერდა – ისრაელებმა დაიჩივლეს, რომ პალესტინელები არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. დღესდღეობით თელ-ავივს ჯარი გაყვანილი ჰყავს იორდანეს დასავლეთი ნაწილის ტერიტორიის ორი პროცენტიდან და გათავისუფლებული – ორასი ტუსაღი.

თურქეთმა განაახლა დიპლომატიური სკანდალი რომთან სეპარატისტ ქურთთა ლიდერის ოჯალანის გამო. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ეჯევითმა განაცხადა, რომ ოჯალანი, როგორც ჩანს, დაბრუნდა იტალიაში, სადაც იგი გასული წლის ნოემბერში დააპატიმრეს, ხოლო იანვრის დამდეგს იქიდან დაუდგენელი მიმართულებით გაემგზავრა. იტალიის მთავრობამ კატეგორიულად უარყო ეს განცხადება, მაგრამ ეჯევითმა პასუხად განაცხადა, რომ იტალიას დღემდე არ მიუცია თურქეთისათვის სრული ინფორმაცია ამ საქმის შესახებ. როგორც ბი-ბი-სის ანკარელი კორესპონდენტი აღნიშნავს, ეჯევითის გამოსვლა აქარწყლებს იტალია-თურქეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის იმედებს. ოჯალანის დაპატიმრების შემდეგ ანკარასა და რომს შორის დიპლომატიური სკანდალი ატყდა: ანკარა სეპარატისტთა ლიდერის გადაცემას მოითხოვდა. თურქეთში მას ბრალად სდებენ ტერორიზმს, რაც სიკვდილით ისჯება. იანვრის დამდეგს ხმა დაირხა, ოჯალანი რუსეთს გაემგზავრაო, მაგრამ მას შემდეგ არც ერთ ქვეყანას არ ულიარებია თავის ტერიტორიაზე ოჯალანის ყოფნის ფაქტი.

1 თებერვალს ბორის ელცინს 68 წელი შეუსრულდა. საავადმყოფოდან სანატორიუმ „ბარვიხაში“ გადასული პრეზიდენტი ამ დღის ზეიმით აღნიშვნას არ აპირებს, ვინაიდან ოჯახში ეს არა აქვთ მიღებული. გუშინ „ბარვიხაში“ იუბილარს მიულოცეს სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი II, პრემიერ-მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურმა ნიკოლოზ ბორდიუჟამ.

სამაგიეროდ, სწორედ ბორის ელცინის დაბადების დღეს დაუკავშირა სახელმწიფო სათათბირომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის კომისიის მორიგი სხდომა, რომელიც მიეძღვნა სახელმწიფოს მეთაურის ბრალდების მეხუთე პუნქტის – „რუსი ხალხის გენოციდის“ განხილვას.

ალექსანდრე კოტენკომ, პრეზიდენტის წარმომადგენელმა სახელმწიფო სათათბიროში, ამასთან დაკავშირებით განაცხადა: იმპიჩმენტის პროცედურას არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია. წინასაარჩევნო კამპანიის ტალღაზე, სათათბიროში რომც აღმოჩნდეს 300 კაცი, რომლებიც წაუკითხავად მოაწერენ ხელს იმპიჩმენტის კომისიის დასკვნას და მხარს დაუჭერენ მის გადაწყვეტილებას, უზენაესი სასამართლო არასდროს არ გამოიტანს დასკვნას პრეზიდენტის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შესახებ. უამისოდ კი „იმპიჩმენტის პროცედურა მკვდარია“.

სეპარატისტებს არ ახარებენ

„საერთაშორისო ამნისტიის“ სამართალდამცველი ორგანიზაციის მონაცემებით, ჩინეთის სინძიანის პროვინციაში სიკვდილი მიუსაჯეს ორ მუსლიმან სეპარატისტ-უიღურებს. ერთ მათგანს განაჩენის აღსრულება ორი წლით გადაუდეს. ორივე მსჯავრდებული შედიოდა იმ 12 უიღურთა რიცხვში, რომლებიც ფარულად გაასამართლეს იანვრის დამდეგს ქალაქ კორგასში, ჩინეთისა და ყაზახეთის საზღვარზე, და ცნეს ბრალეულებად ძირგამომთხრელ საქმიანობასა და ასაფეთქებელი მოწყობილობის დამალვაში. უიღურები, რომლებიც სინძიანის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, ჩინეთის მმართველობის წინააღმდეგ გამოდიან.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

მოკლედ

კალათბურთი

ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო დარბაზში გრძელდება ვაჟთა მერვე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე. გაუწყებთ კვირას და გუშინ გამართული მატჩების შედეგებს:

სდასუ – თსუ 76:74, „აზოტი“ – „მაკაბი“ 79:73, „დინამო“ – „კოლხა“ 92:83, „მაკაბი“ – „შევარდენი“ 88:75.

დღეს ითამაშებენ სტუ – თსუ (14 საათზე), სდასუ – „ვითა“ (16 საათზე) და „აზოტი“ – ასკ (18 საათზე).

ფეხბურთი

ზედიზედ მესამე შეხვედრაა შედეგიანად თამაშობს „ნიუკასლის“ ქართველი ნახევარმცველი თემურ ქეცბაია. ამჯერად მან გამარჯვების გოლი პრემიერლიგის ერთ-ერთ ლიდერს „ასტონ ვილას“ გაუტანა – 2:1.

დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეშვიდე გათამაშების ფინალში ტურნირის მასპინძელმა მოსკოვის „სპარტაკმა“ 2:1 სძლია კიევის „დინამოს“ და მეოთხედ მოიპოვა მთავარი პრიზი. ანგარიში ამ მატჩში უკრაინელებმა გახსნეს.

ტაეკვანდო

აირჩიეს ახალი პრეზიდენტი

ათენში გაიმართა ტაეკვანდოს ევროპული კავშირის გენერალური ასამბლეა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ სპორტის ამ სახეობის საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტი კონსტანტინე გელოვანიშვილი და ვიცეპრეზიდენტი ავთანდილ მიქაძე. აირჩიეს ევროპული კავშირის ხელმძღვანელობა, ახალი პრეზიდენტი გახდა ათანასიოს პრაგალოსი (საბერძნეთი), რომელიც ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი იყო.

ჩვენებურები

„დესანტი“ ბელგიურ „მეხელენში“

ოდესღაც ევროპულ ფეხბურთში კარგად ცნობილი „მეხელენი“ თანდათან დაეცა და ახლა ბელგიის მესამე ლიგაში გამოდის. ვინ უნდა უშველოს გაჭირვებაში მყოფ ბელგიის ექს-ჩემპიონს? ეს რთული ამოცანა, კლუბის ხელმძღვანელობის აზრით, დავით ყიფიანმა უნდა გადაწყვიტოს.

ყიფიანი ბელგიაში ჩავიდა „მაშველი ძალებით“: ნახევარმცველი გიორგი კიკნაძითა და თავდამსხმელ ლევან ხომერიკით. იყო „მეხელენში“ ლევან ცქიტიშვილის გამოსვლის იმედიც, მაგრამ მას უკეთესი ხელშეკრულების დადების საშუალება მიეცა ბუნდესლიგის „ფრაიბურგთან“. მალე „მეხელენს“ შეემატნენ მცველი გივი დიდავა, ისრაელიდან გადმოყვანილი ნახევარმცველი გიორგი ანჩაბაძე და თავდამსხმელი დავით ჩალაძე. ერთი სიტყვით, „მეხელენი“ სანახევროდ ქართული გუნდი გახდა და არ არის გამორიცხული სხვა ჩვენებურის დამატებაც. ყიფიანმა მიიწვია, აგრეთვე კიევის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი ბეჟენარიც.

ახლა „მეხელენი“ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა და მაღალ დივიზიონში, როგორც ფიქრობენ, აუცილებლად გადაბიჯებს. შემდეგ კი, როგორც იტყვიან, ენახოთ...

კრივი

ტაისონი - შულცი: 24 აპრილს ლას-ვეგასში

ფრანსუა ბოტას ნოკაუტით დამარცხებამ მაიკ ტაისონს 10 მილიონი დოლარი კი მოუტანა, მაგრამ მიმომხილველებმა მისი მომზადების ახლანდელი დონე მაინც არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს. სი-ბი-ესის მიმომხილველმა ზედმეტად ჩათვალა ამიერიდან ტაისონის პრესტიჟული მეტსახელი „რკინისებური“.

ასეა თუ ისე, ტაისონის მრჩეველი შელი ფინკელი თვლის, რომ მოკრივე წლეულს დაგეგმილ ოთხ მატჩში თითოეულში 20-25 მილიონ დოლარს მიიღებს და 1999 წლის მიწურულისათვის ჰონორარის რაოდენობით ნებისმიერ სხვა სპორტსმენს გადააჭარბებს.

თვით ტაისონს მიაჩნია, რომ მან საკმაოდ დაუმტკიცა თავისი ძალა მათ ვისაც „გაბერილ ფიგურად“ მიიჩნევდა.

24 აპრილს ტაისონი იმავე ლას-ვეგასის „გრანდ ოტელში“, სადაც ფრანსუა ბოტა დაამარცხა, ცნობილ გერმანელ მოკრივე აქსელ შულცს უნდა შეხვდეს. აქ აღნიშნავენ დეტალს: 1995 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვაკანტური იყო, ერთმანეთს სწორედ ბოტა და შულცი შეხვდნენ – გაიმარჯვა ბოტამ. მეორე ის გახლავთ, რომ შულცს რეპორტაჟი მიჰყავდა გერმანიის ტელევიზიით ტაისონ-ბოტას მატჩზე და, ექსპერტების აზრით, სულაც არ გამოეპარებოდა მხედველობიდან, რომ ტაისონი ის აღარ არის...

გივი გამრეკელი.

მინი-ფეხბურთი

ლეგენდარული მესხის სახელობისა

თბილისის სპორტის სასახლეში გუშინ დაიწყო და ექვს თებერვლამდე გაგრძელდება სახელგანთქმული ქართველი თავდამსხმელის მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში. საასპარეზოდ გამოსვლის სურვილი თავიდან საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ჯგუფის მხოლოდ 12-მა კლუბმა გამოთქვა. როგორც გუშინ გაირკვა, შეჯიბრებაში ვერც ლანჩხუთის „გურია“ ჩაებმება.

ტურნირში მონაწილე გუნდები ოთხ ჯგუფში განაწილდნენ: **I ჯგუფში: „დინამო“, „მერანი-91“, „ვიტ-ჯორჯია“** (სამივე – თბილისი); **II ჯგუფში: „ლოკომოტივი“** (თბილისი), **„ოდიში“** (ზუგდიდი), **„სამგურალი“** (წყალტუბო); **III ჯგუფში: „დილა“** (გორი), **„გორდა“** (რუსთავი), **თსუ; IV ჯგუფში: „არსენალი“** (თბილისი), **„სიონი“** (ბოლნისი).

გუშინდელი პირველი ტური სწორედ გუნდნაკლული ჯგუფის წარმომადგენელთა პაექრობით დაიწყო. საინტერესო ორთაბრძოლა არმიელებმა მოიგეს – 3:2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელებმა ასევე დაძაბულ შეხვედრაში „გორდას“ სძლიეს – 3:1.

საკმაოდ უხვგოლიანი გამოდგა ზუგდიდის „ოდიშისა“ და წყალტუბოს „სამგურალის“ მატჩი. ზუგდიდელთა სამ ბურთს წყალტუბოელებმა ექვსით უპასუხეს და გათამაშების ცხრილში პირველი სამი ქულა ჩაიწერეს... რაც შეეხება მეოთხე პაექრობას, „ვიტ-ჯორჯიამ“ აშკარად დაჯაბნა „მერანი-91“, რომლის კარშიც ექვსი უპასუხო გოლი გაიტანა, აქედან სამი – მაზიაშვილის ანგარიშზეა.

ძიუდო

1999 წლის კალენდარი

1. საერთაშორისო ტურნირი 1983-1985 წლებში დაბადებულთათვის. საგარეჯო. 5-7 თებერვალი.
2. საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირი პარიზი. 12-14 თებერვალი.
3. ავსტრიის საერთაშორისო ტურნირი. ლინცი 20-21 თებერვალი.
4. გერმანიის საერთაშორისო ტურნირი. მიუნხენი. 27-28 თებერვალი.
5. ა. კიკნაძის სახელობის ტურნირი ჭაბუკთა შორის. თბილისი. 12-14 მარტი.
6. საერთაშორისო ტურნირი 1983-1985 წლებში დაბადებულთათვის. გურჯაანი. 24-25 აპრილი.
7. ევროპის ჩემპიონატი. სლოვენია. 20-23 მაისი.
8. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. თბილისი. 28-30 მაისი.
9. შოთა ჩოჩიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. გორი. აგვისტო.
10. ევროპის გუნდური პირველობა. მონაკო. 22-23 სექტემბერი.
11. მსოფლიო ჩემპიონატი. ინგლისი. 7-10 ოქტომბერი.
12. საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის. თბილისი. ოქტომბერი.
13. თბილისის საერთაშორისო ტურნირი. 5-7 ნოემბერი.
14. ევროპის პირველობა ახალგაზრდებს შორის. იუგოსლავია. 18-21 ნოემბერი.
15. ბაზელის საერთაშორისო ტურნირი. შვეიცარია. 2-5 დეკემბერი.

ჩოგბურთი

სიურპრიზები მელბურნში

ამ სეზონში პირველმა „დიდი მუზარადის“ ტურნირმა – ავსტრალიის ღია ჩემპიონატმა ბევრი სიურპრიზი შემოგვთავაზა, განსაკუთრებით კი ვაჟთა ასპარეზობაში.

ყველაფერი თავიდანვე დაიწყო: თუ ადრევე იყო ცნობილი, რომ მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი პიტ სამპრასი გადაღლის გამო ბრძოლაში არ ჩაებმებოდა, მისმა მთავარმა მეტოქემ მარსელო რიოსმა უკვე პირველ ნომრად განთესვის შემდეგ თამაშზე უარი განაცხადა – ტრავმა მოიმიზეზა. ამის შემდეგ დაძაბულ ბრძოლაში შეჯიბრების დატოვება მოუხდათ პეტრ კორდას (ჩეხეთი), ჯიმ კურიეს (აშშ), პატრიკ რაფტერს, მარკ ფილიპუსისს (ორივე – ავსტრალია), მარკ როსეს (შვეიცარია), კაროლ კუჩერას (სლოვაკია), ანდრე აგასის (აშშ). რუსი ევგენი კაფელნიკოვი, რომლის აქტივში აქამდე „დიდი მუზარადის“ სულ ერთ ტურნირში გამარჯვება იყო, ამჯერად [illegible] თამაშობდა. მეოთხედფინალში მან მოუგო ტოდ მარტინს (აშშ), ნახევარფინალში „ახალ ბორის ბეკერად“ წოდებულ ტომი ჰაასს (გერმანია) და ფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე გახდა ცნობილი შვედი ოსტატი ტომას ენკვისტი, რომელმაც მეოთხედფინალში მოუგო მარკ როსეს, ნახევარფინალში კი ნიკოლას ლაპენტის (ეკვადორი).

და აი, კვირას გაიმართა ვაჟთა ასპარეზობის ფინალი. უპირატესობა თავიდანვე შვედის მხარეზე იყო – 6:4, მაგრამ კაფელნიკოვმა ზედიზედ მოიგო სამი სეტი – 6:0, 6:3 7:6 და ტურნირის პირველი პრიზიც მოიპოვა.

ქალთა ასპარეზობის მთავარი მოულოდნელობა იყო 20 წლის ფრანგი ამელია მორისმოს პირდაპირ ტრიუმფული გამოსვლა. მან ნახევარფინალში შეძლო თანამედროვეობის №1 ჩოგბურთელის, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონის ლინდსეი დევენპორტის (აშშ) დამარცხება. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) და მონიკა სელეში (აშშ). საინტერესოა, რომ აქამდე სელეშს, წარმოშობით უნგრელს, ადრე კი იუგოსლავიის წარმომადგენელს, ავსტრალიის ოთხ ჩემპიონატში მოგებული ჰქონდა ზედიზედ 33 მატჩი. ამჯერად სელეშმა ვერ გაუწია ჰინგისს სერიოზული წინააღმდეგობა.

ფინალურ მატჩში ჰინგისმა, რომელიც მორისმოზე უმცროსია, მაგრამ მასთან შედარებით გაცილებით დიდი სატურნირო გამოცდილება აქვს, საკმაოდ იოლად მოუგო ფრანგს – 6:2, 6:3.

„დიდი მუზარადის“ მორიგი, მეორე ტურნირი მაისში გაიმართება. ეს გახლავთ ცნობილი „როლანდ გაროსი“, ანუ საფრანგეთის ღია ჩემპიონატი.

გივი თხინვალელი.

P. S. ფაქტობრივად მარტინა ჰინგისი ამ დიდი ტურნირის ორგზის ჩემპიონია. წყვილთა შეჯიბრში მან ანა კურნიკოვასთან დაამარცხა დევენპორტ-ზვერევას დუეტი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ჭადრაკი

რეკორდი არ შედგა, მაგრამ...

კვირას ვეიკ-ან-ზეეში დამთავრდა ამ ახალი სეზონისთვის პირველი საჭადრაკო სუპერტურნირი 14 დიდოსტატის მონაწილეობით.

მთავარ ინტერესს ამ შეჯიბრებაში გარი კასპაროვის გამოსვლა იწვევდა. მან ხომ, საკუთარი განცხადებით, მსოფლიო ჩემპიონატის მატჩის სპონსორების ძიებაში მთელი წელი გააცდინა და თამაშს მოწყურებული იყო. პირველ დღეს ვასილი ივანჩუკთან ყაიმის შემდეგ კასპაროვმა ზედიზედ მოიგო 7 პარტია (!), რაც ასეთი მასშტაბის ტურნირისთვის არნახული შედეგია. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მსოფლიო ჩემპიონი დასკვნით ტურებსაც ასეთივე ბრწყინვალე სტილით წარმართავდა, მაგრამ...

მეცხრე ტურში შავებით ბოსნიელ ივანე სოკოლოვთან კასპაროვმა ჯერ კარგი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგ, ამ ვარიანტში შინ ჩატარებული დაწვრილებითი ანალიზის მიუხედავად, მძიმე შეცდომა მოუვიდა და დამარცხდა. მომდევნო ტურში იგი მთავარ კონკურენტ ვიში ანანდს შეხვდა და უკვე 22-ე სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა. ასეთივე შედეგი მოუტანა მას მომდევნო შეხვედრამ იან ტიმანთან.

ბრძოლა აშკარად გამწვავდა. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე კასპაროვს 8,5 ქულა ჰქონდა, ანანდს – 8, კრამნიკს – 7 ქულა.

მეთორმეტე ტურში კასპაროვმა გაიმარჯვა, ბოლო ტურში კი ყაიმით დაასრულა შეხვედრა კრამნიკთან. მან 13 შესაძლებლიდან 10 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩა ანანდი, რომელმაც უკანასკნელ ტურში ბულგარელ ტოპალოვს მოუგო. 8 ქულით მესამე ადგილზე კრამნიკი გავიდა.

ამრიგად, მსოფლიოს სამმა უძლიერესმა მოჭადრაკემ თავიანთი რეიტინგების შესაბამისად დაიკავა ადგილები სატურნირო ცხრილში.

სპორტული ბრიჯი

ეძებენ სპონსორებს

დამთავრდა თბილისის ზამთრის გუნდური ჩემპიონატი სპორტულ ბრიჯში, რომელშიც გაიმარჯვა „გელათმა“ შემდეგი შემადგენლობით: ნუგზარ მახათაძე, ალექსანდრე იაშვილი, კონსტანტინე კაზანჯიანი, დავით კალანდარიშვილი და ზურაბ აქუბარდია. მომდევნო საპრიზო ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ „მერანი“ და „ირინა“ (გუნდის შემადგენლობაში ასპარეზობდა დედაქალაქის ერთადერთი მოქმედი მოთამაშე ქალი ირინა ლორთქიფანიძე).

სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებს წინ ელით ევროპის ჩემპიონატი წყვილთა შორის, რომელიც ჩატარდება 15-20 მარტს ვარშავაში. საქართველოდან ამ ასპარეზობაში დაშვებულია 5 წყვილი, მაგრამ უფულობის გამო, შესაძლოა, ჩასვლა პოლონეთში არ მოხერხდეს. სპონსორებს, ვისაც სურს სათანადო ფინანსური დახმარება გაუწიოს ჩვენს გუნდს, უნდა დაუკავშირდნენ საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაციას (ტელ: 37-37-02, 95-09-62).

გარი ამირხანოვი.

ყოველი მხრიდან



კლინტონი „დეტროიტზეა“ შეყვარებული

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ბუმია ქვეყნის პრეზიდენტის სასიყვარულო თავგადასავლების გამო და კონგრესში მისი იმპიჩმენტის თაობაზე გაცხარებული დებატებ-გამოძიებები მიმდინარეობს, კლინტონი მაინც იცლის ამქვეყნიური ამბებისათვის, თუნდაც ჰოკეისათვის. გასულ კვირაში თეთრ სახლში მეორე წელია ზედიზედ მიიღო 1998 წლის პლეი-ოფში გამარჯვებული „დეტროიტ რედ უიგინგსი“. შარშან თუ კლუბის კაპიტანმა სტივ აიზერმანმა პრეზიდენტს „ფრთების“ საშინაო მაისური მიართვა, წლეულს იგი ჰოკეისტის სასტუმრო, წითელი მაისურით დაასაჩუქრეს.

ლიდერი გაქურდეს

ალბათ გახსოვთ, თურქეთში ამხანაგური მატჩის დროს გაქურდეს ჰოლანდიის „ფეიენოორდის“ ფეხბურთელები. ახლა ქურდებმა ინგლისის „ჩელსისათვისაც“ მოიცალეს – მათ დასავლეთ ლონდონში გაძარცვეს პრემიერ-ლიგის წლევანდელი ლიდერის – ჩელსის საწვრთნელი ბაზა. მოპარულია დაახლოებით 20 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების ნივთები.

უძღვება

ანზორ ბასილაია.

თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ასე უნდა!

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურისა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა კონტრაბანდის, გადასახადის განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამალვის, ყალბი დოკუმენტების გამოყენების, თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტებზე ამხილეს ფირმა „დომინიონ ჯორჯიას“ თარჯიმანი ნატა ჯოჯუა, რომელიც 1997-98 წლებში ყალბი დოკუმენტების გამოყენებით აფორმებდა რა ფირმის სახელზე მოსულ ტვირთებს საბაჟო ორგანოებში, სახელმწიფო ბიუჯეტს დაუმალა განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხა 300.000 ამერიკული დოლარი. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ასევე მხილებულია თბილისის რეგიონული საბაჟოს ინსპექტორი ლაშა ბარამიძე, რომელიც თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით აფორმებდა ფირმა „დომინიონ ჯორჯიას“ სახელზე მოსულ ტვირთებს. 1998 წელს ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მანაც სახელმწიფო ბიუჯეტს 150.000 ამერიკული დოლარის ზარალი მიაყენა.

მიმდინარეობს გამოძიება. ნატა ჯოჯუა და ლაშა ბარამიძე გირაოს – 2000 ამერიკული დოლარის შეტანის შემდეგ გაშვებული არიან თავდებში.

თაღლითები „გაებნენ“

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის იმერეთის შინაგან საქმეთა სამხარეო განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნათიას“ გენერალური დირექტორი, კალინინის ოლქის ქალაქ ზაღოეთში, მახოვაიას ქუჩა №8-ში მცხოვრები, 1951 წელს დაბადებული გივი ვანიშვილი და ამავე საზოგადოების დირექტორი, ქუთაისში, ლენინაკანის ქუჩა №20-ში მცხოვრები, 1946 წელს დაბადებული ნათელა კუპრეიშვილი, რომლებმაც 1996-1997 წლებში თაღლითური გზით მიითვისეს მოქალაქეთა ანაბრები – 26047 ლარი და 640407 ამერიკული დოლარი.

გამცილებლები ცდუნებას ვერ ასცდნენ

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის მუშაკებმა ამხილეს მოსკოვ-თბილისის სამგზავრო მატარებლის №14 ვაგონის გამცილებელი თბილისელი ალფევზ ბაჩილავა და აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალი, დროებით ზუგდიდში მცხოვრები ნონა გოგოხია. მათ დასახელებული ვაგონით, გარდაბნის საბაჟო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოში ჩამოიტანეს 576 ლარის ღირებულების 60 კილოგრამი ნიგოზი და 96 კილოგრამი კანფეტი.

მასალები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გადაეგზავნა.

ავტომანქანა მფლობელს დაუბრუნდა

სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა ცხელ კვალზე მიღებული ზომების შედეგად, თბილისში, რესტორან „არაგვის“ ტერიტორიაზე დააკავეს გიორგი გიორგაძე, რომელმაც მოქალაქეს დანის მუქარით წაართვა ავტომანქანა „ვაზ-2101“.

პოლიციამ მანქანა მფლობელს დაუბრუნა. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის მთაწმინდის განყოფილება იძიებს.

დროზე მიუსწრეს

კრიმინალური პოლიციისა და დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე განხორციელებული ღონისძიებით, ოპერატიულად დააკავეს გლდანში მცხოვრები დავით ტეტუნაშვილი, რომელმაც თურქეთის მოქალაქეს, დროებით თბილისში, დადიანის ქუჩაზე მცხოვრებ უზეირ ბოსტანჯს მუქარით წაართვა ამერიკული დოლარი და ოქროს სამკაული.

ინფორმაციები მოგვაწოდა სამინისტრომ.

ღვაწლი

ხუროთმოძღვარი

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი უშრეტი ენერგიისა და მრავალმხრივი განათლების წყალობით ნაყოფიერად მოღვაწეობენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში. და მაინც, განსაკუთრებული სიყვარულითა და რუდუნებით იღვწიან ერთ გამორჩეულ სფეროში, რომლის შესწავლასა და კვლევას მთელ სიცოცხლეს სწირავენ.

ასეთ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნება თენგიზ კვირკველია, ხუროთმოძღვარი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი, კაცი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის კათედრას.

განუზომელია თენგიზ კვირკველიას ღვაწლი ქართული არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის, განსაკუთრებით კი თბილისის ხუროთმოძღვრების ისტორიის, დღევანდელობის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. მისმა ღრმა მეცნიერულმა კვლევამ დიდი როლი შეასრულა თბილისის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის პრაქტიკული ხორცშესხმის პროცესში. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა არქიტექტორთა ჯგუფს, რომელიც მის მიერ დამუშავებული მეთოდიკით იკვლევდა თბილისის ისტორიულ განაშენიანებას და ამზადებდა მეცნიერულად დასაბუთებულ მასალას ძველი ქალაქის რეკონსტრუქციის პროექტების დასამუშავებლად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი თბილისური არქიტექტურული პრემიერა არ შემდგარა ბატონი თენგიზის აქტიური მონაწილეობის გარეშე – ის მუდმივი პრინციპული ექსპერტი იყო მრავალი პროექტისა, წევრი მრავალი საბჭოსი, სადაც მნიშვნელოვანი არქიტექტურული თუ სამეცნიერო საკითხები წყდებოდა და იხილებოდა.

თენგიზ კვირკველია მრავალმხრივი პიროვნება გახლდათ. მისი მოღვაწეობა ასახულია 90-მდე მეცნიერულ ნაშრომში (მათ შორის 13 წიგნში) და 50-მდე პუბლიცისტურ სტატიაში, რომლებშიც მაღალპროფესიულ დონეზე არის განხილული ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ეტაპები და განსაკუთრებით კი თბილისის განაშენიანების ისტორიის, დღევანდელობის და პერსპექტივების მრავალი პრობლემა. მათ შორის აღნიშვნის ღირსია ნაშრომები „საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა“ (პროფ. ნ. მგალობლიშვილთან ერთად), „თბილისის არქიტექტურა“, მონოგრაფია „თბილისი“, „თბილისის ისტორიული ბირთვი“, „ძველი თბილისი“ და სხვები.

თბილისის ისტორია ომებისა და მშვიდობიანი დღეების, ნგრევისა და აღმშენებლობის, დაცემისა და აყვავების კალეიდოსკოპური მონაცვლეობაა. თბილისზე, როგორც ერთ-ერთ უძველეს ქალაქზე, ბევრი გამოკვლევა და ნაშრომი დაწერილა. მათ შორის აღსანიშნავია გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ვ. ბერიძის, მ. ბერძენიშვილის, შ. მესხიას, ნ. ჯანბერიძის, ვ. ცინცაძის, ი. ციციშვილის და სხვათა ფუნდამენტური შრომები და მაინც, თბილისის თავისებურება ის ფენომენია, რომელსაც კვლავ არა ერთი მკვლევარი მიუძღვნის თავის ნაშრომს და ამ ავტორთა შორის ყოველთვის იქნება თენგიზ კვირკველია, – მოქალაქე, მეცნიერი, პროფესიონალი და ღვაწლმოსილი პედაგოგი. ბატონმა თენგიზმა არაერთი თაობა აღუზარდა ქართულ არქიტექტურულ საზოგადოებას, პირველმა შექმნა ქართული ხუროთმოძღვრების განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც დღესაც ახალგაზრდა არქიტექტორების სამაგიდო წიგნია. ორი ათეული წლის განმავლობაში არქიტექტურის ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით წარმოებდა ძველი თბილისის განაშენიანების მიზანდასახული შესწავლა-ფიქსაცია. ჩამოყალიბდა მეთოდიკა ისტორიული უბნების რეგენერაციის მეცნიერული საფუძვლების მომზადებისათვის.

ამ დღეებში თბილისის არქიტექტურული საზოგადოება, მისი კოლეგები და აღზრდილები ფართოდ აღნიშნავენ თენგიზ კვირკველიას დაბადების 70 წლისთავს, რომელსაც იგი, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო. თენგიზ კვირკველიამ სამუდამო სახელი დაიმკვიდრა ქართული არქიტექტურის კვლევის ისტორიაში და დაგვიტოვა უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობა.

მის სახელს დავიწყება არ უწერია.

დავით ჩიჩუა,
სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის სამოქალაქო და სამრეწველო შენობების არქიტექტურის კათედრის გამგე, დოცენტი.

დიალოგი

...სიმღერასთან ერთად დაიბადა!

იგი თითქოს სიმღერასთან ერთად დაიბადა. სიმღერის ნიჭით მორონცხებული, სიმღერასავით ამაღლებული და მშვენიერი, თამრიკო ჭოხონელიძე. შთაგონებული მომღერალი, იშვიათი მონაცემებისა და უტყუარი მხატვრული ალღოს მქონე განსწავლული მუსიკოსი, სამაგალითო დედა, მეუღლე.

სიმღერა მისთვის მთელი ცხოვრებაა. პაერივით მაცოცხლებელი „ნათელი ცდუნება“.

ცეროდენა თამრიკოს მიერ უშუალობით, არტისტული ნიჭიერებითა და ასაკისთვის უჩვეულო ოსტატობით შესრულებული ქართული თუ უცხოური სიმღერები დღესაც ცხოვლად არის აღბეჭდილი და შემონახული ჩვენს მეხსიერებაში.

ჩვეულებრივი, თანაც არაჩვეულებრივი გოგონას წინაშე მომავლის საინტერესო გზები ისახებოდა: მას პიანისტურ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. მისი სრულიად არაორდინარული სადიპლომო ნაშრომი სერიოზულ მეცნიერულ განაცხადს წარმოადგენდა, მაგრამ საკუთარი ადგილის მიგნების გზას განუშორებელ თანამგზავრად სხვა ალტერნატივაც ახლდა – სიმღერა და მისი უსაზღვრო, თითქმის ფანატიკური სიყვარული.

სწორედ ამ ნიშნით აღიბეჭდა დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული მისი შემოქმედებითი საღამო, რომელიც ნიჭიერების ერთგვარ ზეიმად იქცა.

მავანთა წინასწარი ეჭვები საკონცერტო რეპერტუარის მოსალოდნელ ლირიკულ ერთფეროვნებასთან დაკავშირებით, სრულიად გაქარწყლდა განწყობილებათა სპექტრის მაქსიმალური მრავალფეროვნებით. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა სხვადასხვა სტილისა და ხასიათის მუსიკა – მაღალი გემოვნებით შესრულებული ქართული ჰანგებისა, თუ რუსული, ნეაპოლური სარომანსო ნიმუშების სოლო, საანსამბლო შესრულება, თუ მყისიერად შემოჭრილი ჯაზური მუსიკა.

კონტრასტულობის პრინციპზე აგებულმა კონცერტის „დრამატურგიამ“ (რეჟისორი ჯემალ ბაღაშვილი) საინტერესო მუსიკალური სიურპრიზები შესთავაზა დამსწრეთ. თამრიკო ბარიერის ორსავე მხარეს იდგა: ერთი მხრივ ლაღი აღმაფრენითა და ფილიგრანული ტექნიციზმით უზადოდ შესრულებული ტიროლური სიმღერა „დონდიგო“ (ფილმიდან „ოქროს სიმფონია“), მეორე მხრივ ფაქიზი, დახვეწილი ლირიკა, ან ამერიკული სიმფო-ჯაზის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის ჯორჯ გერშვინის კომპოზიცია ორი როიალისათვის თამრიკოსა და გია ბაღაშვილის თამამად გააზრებული ინტერპრეტაციით, რომელშიც ორგანულად იყო გადაჯაჭვული ჟანრულ-კომედიური და გროტესკული შტრიხები (როგორც შემოქმედებითმა თანამოაზრეებმა, მათ პიანისტური ოსტატობით წარმოსახეს თვითმყოფი მელოდიურ-რიტმული სახეების დინამიკა, სპირიჩუელსისა და რეგთაიმების ნიშანდობლივ ელემენტთა გადაძახილი), მსმენელმა აღტაცებული ოვაცია შეაგება უნიკალურ გურულ „პასანბეგურა“-ში ქართული სიმღერის უბადლო მცოდნის ანზორ ერქომაიშვილის მხარდამხარ მართლაც ოსტატურად, ვირტუოზულად მოკრიმანჭულე თამრიკოს, ასევე მის გამოსვლას ანსამბლ „რუსთავის“ გამობრძმედილ მომღერლებთან ერთად.

P. S. ჩემს წარმოდგენაში თამრიკო რატომღაც ასოცირდება აისბერგთან, რომლის ხილული ნაწილი მის გულშიჩამწვდომ, შთამაგონებელ სიმღერას მაგონებს, ხოლო მეორე – დაფარულ მხარეს კი, აღვიქვამ ჯერაც უთქმელ სიმღერად, თუ ნააზრევად, ან მისი ნიჭიერების ახალ წახნაგად, რომლითაც იგი უკვე XXI საუკუნის საზოგადოებას წარუდგება.

ამ თაობის შემსრულებელთა შორის თამრიკოს გამორჩეულ ადგილს, ვფიქრობ, მასთან საუბარიც დაადასტურებს:

– რამდენადაც ვიცი, სიმღეროთა და სულიერებით გაჟღენთილ ატმოსფეროში იზრდებოდით. თქვენი ოჯახი თანამოაზრეთა კავშირია, თუ ...

– თანამოაზრეთა კავშირი, მაგრამ კავშირი გურული პოლიფონიური სიმღერასავით კონტრასტული ხასიათებისა, რომელსაც სიყვარულის, ზნეობრიობისა და ურთიერთპატივისცემის ღერძი აერთიანებს.

– მეჩვენება, რომ თამრიკო ჭოხონელიძისათვის არანაირი „შლაგბაუმი“ არ არსებობს. დედაენასთან ერთად ხალხურ სიმღერას ნაზიარებმა, კლასიკური მუსიკით ნასაზრდოებმა პიანისტმა, ფოლკლორის სფეროში გადაინაცვლეთ. სპეციალისტთა პროგნოზების მიუხედავად, სამოღვაწეო ასპარეზად საესტრადო-ხელოვნება აირჩიეთ. როდის გააცნობიერეთ, რომ სწორედ სიმღერა იყო თქვენი სტიქია და ცხოვრების მიზანი?

– ქართული მუსიკალური ფოლკლორის ჯადოსნურ სამყაროში თუნდაც ერთხელ მოხვედრილი, მთელი სიცოცხლე მის ტყვეობაში რჩები. ერის მუსიკალურმა პოტენციამ და საუკუნეთა მანძილზე დახვეწილმა მაღალმა ტრადიციებმა გამოხატულება ჰპოვეს წარსულის სასიქადულო ხელოვანთა თუ თანამედროვე გამორჩეულ შემოქმედთა სასიმღერო-სარომანსო შემოქმედებაში, რომელიც სრულად წარმოადგენს ქართული საესტრადო მუსიკის პანორამას, საამაყოა, რომ უნიჭიერეს ქართველ კომპოზიტორთა პლეადამ ხალხური სასიმღერო შემოქმედების მსგავსად თვითმყოფადი და ორიგინალური მუსიკალური ენა შექმნა. მე ამ მუსიკის თაყვანისმცემელი ვარ. აი, ის უხილავი ძალა, რომელმაც ასე გამიტაცა.

– „დრო სწრაფად გარბის“. წლების მანძილზე მიკროფონთან დგომა ხომ არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ განუდექით ფოლკლორისტულ საქმიანობას. იქნებ მიზეზი ისიცაა, რომ ისტორიულ-სალიტერატურო წყაროებში გამუდმებული კირკიტი და თუნდაც აღმოჩენის ტოლფასი მეცნიერული მიგნება ესოდენ სანუკვარსა და მაცდუნებელ პოპულარობას ვერ მოგიტანდათ?

– მუსიკალური ფოლკლორისტიკა მეცნიერების ურთულესი დარგია, რომლის სხვა საქმიანობასთან შეთავსება წარმოუდგენელია. ამჟამად, მრავალ მიზეზთა გამო, ფოლკლორისტულ საქმიანობასთან მიბრუნება, ვფიქრობ, არასერიოზული ნაბიჯი იქნებოდა ჩემი მხრიდან. მაგრამ მასთან განშორებას არამც და არამც არ ვაპირებ!

– საესტრადო მუსიკა მძლავრად შეიჭრა მოზარდთა ცხოვრებაშიც. მომრავლებული ბავშვთა ანსამბლები დაუოკებლად ილტვიან დიდი საკონცერტო ასპარეზისაკენ. მათ შორის ცოტა როდია მართლაც ნიჭიერი, იქნებ ამომავალი ვარსკვლავიც. მაგრამ განა აუცილებელია ბავშვთა ესტრადის ასეთი მასობრიობა? ანდა რამდენად ასაქანია კერპებისადმი ბრმა, ლამის კარიკატურული მიმბაძველობა. ამ გადაპრანჭულ მანეკენებადქცეულ პატარებში ბავშვებს ველარ ვხედავთ. მათი უშუალობა იჩრდილება შეუფერებელი რეპერტუარებითა და არაიშვიათად, შესრულების შემაშფოთებელი მანერით. რამდენად აქტუალურად მიგაჩნიათ ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის, ან თუნდაც მოზარდთა ესტრადის პრობლემებზე დაფიქრება?

– ბავშვები და ესტრადა მართლაც ყურადსაღები, სათუთი და რიგ შემთხვევაში საგანგაშო თემაა მსჯელობისათვის. საესტრადო ხელოვნების ზოგიერთი მანკიერი მხარე სამწუხაროდ, სწრაფად ვრცელდება და ფართო მასშტაბებსაც იძენს. ბევრი რამ ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. საესტრადო შემსრულებლობის უნარ-ჩვევებისა და გემოვნების ჩამოყალიბება ბავშვობის ასაკიდანვე ხდება. ბავშვებთან მუშაობა დახვეწილ გემოვნებასა და გარკვეულ ცოდნას მოითხოვს. პროცესების ხელოვნური დაჩქარებით მრავალ ნიჭიერ მოზარდს გავუმრუდებთ ჭეშმარიტი ხელოვნებისაკენ მიმავალ გზებს. დავტოვოთ ისინი იმ საოცარ სამყაროში, რომელიც აღარასოდეს განმეორდება.

– ქართულ ესტრადას არ მოკლებია დიდი სახელები. ამ სფეროში დღესაც იღვწის არა ერთი ბრწყინვალე შემოქმედი. ამასთანავე თვალშისაცემია მაღალესთეტიკური კრიტერიუმების დაქვეითების ტენდენცია, საეჭვო გემოვნების მსმენელის „დიქტატი“, მიუხედავად გაცხოველებული საკონცერტო ცხოვრებისა, დღევანდელმა ესტრადამ ცალკეულ შემსრულებელთა და კოლექტივების გამოკლებით თავიდან ვერ აგვაცილა დილეტანტიზმისა და მდარე, სტერეოტიპული ხელოვნების მოძალება. ნეგატიური პროცესების შედეგები უკვე სახეზეა – უგემოვნობამ ლამის მოახრჩოს ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულებანი, მიგაჩნიათ თუ არა, რომ სადღეისოდ დამუხრუჭებულია აღმავლობის ევოლუციური ხაზი და დინამიკური განვითარების პროცესები? უნდა ავარიდოთ თვალყური ყოველივეს და შევეგუოთ თვითმარქვია კომპოზიტორთა „ნოვაციებს“ და ზოგიერთ ვაიმომღერალთა პარპაშს. თუ საკითხი თანამედროვე ესტრადის ბედ-იღბალზე, მის დღევანდელობასა და პერსპექტივებზე განსჯას საჭიროებს?

– კითხვაზე პასუხის გაცემა მსჯელობის ფართოდ გაშლას ითხოვს. გეთანხმებით, რომ დილეტანტიზმის მორევმა, ნეგატიურმა პროცესებმა, უგემოვნობამ და უნიჭო მიმბაძველობამ იმძლავრა. მე არ ვემხრობი აკრძალვებს, რადგან ეს უშედეგოდ მიმაჩნია, მაგრამ ასევე წინააღმდეგი ვარ ცრუეროვნული, უსახური მუსიკის პროპაგანდისა, ეს ყურად უნდა იღონ ქართული კულტურის, განსაკუთრებით კი ტელევიზიის მესვეურებმა. რაც შეეხება დინამიკური განვითარების პროცესებს, მისთვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი ერთგვარი პაუზები და დაღმასვლებიც კი. მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით ყოველივე დროებითია და სულ მალე გავიგონებთ ახალ ღირსეულ სახელებს. გარდაუვალია სასიკეთო ძვრები ქართულ საესტრადო მუსიკასა და საშემსრულებლო ხელოვნებაში. ამის საწინდარი ქართველი კაცის ამოუწურავი ნიჭიერებაა.

– სასცენო პარტნიორის საკითხი მომღერლისათვის, ალბათ, უპირველესია. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს და ვის მიიჩნევდით იდეალურ პარტნიორად?

– მუსიკალური ქმნილებების ერთნაირი აღქმა, გააზრება, ტემბრული ფერადოვნება და სიახლოვე, ურთიერთგაგება, რასაც ჩვენ ტრადიციულად შეხმატკბილებას ვუწოდებთ, პარტნიორობის უპირველესი წინაპირობაა. ვფიქრობ, საყოველთაო აზრია, ამ მხრივ განუმეორებელი იყო გოგი დოლიძე.

– დარწმუნებული ვარ, უყოყმანოდ იზიარებთ აზრს ნანი ბრეგვაძის განსაკუთრებულობის შესახებ. პირადად მე მოხიბლული ვარ არა მარტო მისი დიდებული, რაფინირებული სასიმღერო ხელოვნებით, არამედ იშვიათი სცენური კულტურით, „დედოფლადქცევის“ საწყაულებრივი უნარით. ვგონებ, მომღერალ-არტისტი ცხოვრებისეულ ვითარებაში, კულისებსა და სცენაზე ერთი იმიჯის მქონე არ უნდა იყოს. ამასთან სიმღერის ემოციურ-მხატვრული პლასტების სიღრმეებში შეღწევა შეუძლებელია ყოველმხრივ გააზრებული გარდასახვის, დახვეწილი პლასტიკისა და ჩაცმულობის გარეშე. საინტერესოა თქვენი აზრი სასცენო ესთეტიკასთან დაკავშირებით.

– სრულიად გეთანხმებით, რომ ნანი ბრეგვაძის ფენომენი მართლაც სასწაულად ზემოქმედებს მსმენელზე და აჯადოებს მას. ეს ღვთისაგან მომადლებული ნიჭის წყალობაა. ნანი ბრეგვაძე მთელი ეპოქაა ქართულ საესტრადო ხელოვნებაში. ამით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი.

– თქვენი კონცერტის რეზონანსმაც ცხადყო, რომ თბილისელთა ერთ-ერთი ფავორიტი ხართ. მსმენელის სიმპათიებით განებივრებულს ოდესმე თუ გიგრძნიათ აუდიტორიის გულგრილობა, შეგწევთ თუ არა საკუთარი მიღწევებისა თუ წარუმატებლობათა მიუდგომელი შეფასების უნარი?

– პატივმოყვარეობად თუ არ ჩამეთვლება, არ დავმალავ და ვიტყვი, რომ მსმენელის სიყვარულს მართლაც მუდმივად ვგრძნობ, რაც დიდ ბედნიერებად მიმაჩნია. ამიტომაც, მდაბლად ვუხრი თავს ჩემს სათაყვანებელ მსმენელს და ზედმიწევნით ვცდილობ, არ გავუცრუო იმედები. საკუთარი შემოქმედების სადად განსჯის უნარი ყველა ხელოვანის ვალია. თვითკრიტიკა მხოლოდ არგებს შემოქმედებით საქმიანობას.

– შესრულების თვალსაზრისით თქვენი რეპერტუარიდან განსაკუთრებით გამოვყოფდი „ნანებს“, როგორც ყველაზე ღრმა და სათუთი გრძნობების გამომხატველს. „ნანა“ დედის სიმღერაა, ე.ი. სიყვარულის სიმღერა. თქვენ არა ფოლკლორულ ვარიანტებს, არამედ სხვადასხვა ავტორთა მიერ შექმნილ „ნანებს“ ასრულებთ. მღერით საუცხოოდ, ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი ლირიკული სიფაქიზით, სევდანარევი განწყობით. მაგრამ, მათ შორის შეუდარებელი მაინც ჯანსუღ კახიძის „ნანაა“ (ფილმიდან „იავნანა“), რომელსაც რაღაც მაჰიპნოზებელი ძალა ახლავს თან. საიდან მოდის ეს იდუმალი კავშირი „ნანებთან“?

– „ნანების“ (ჩათვალეთ დედობის) ღვთაებრიობიდან, სასიმღერო ქმნილების მაღალმხატვრულობიდან და ადამიანის გრძნობად-ემოციური სამყაროდან.

დიდად გმადლობთ ჩემი ე.წ. „შემოქმედების“ ესოდენ მაღალი შეფასებისათვის, მერწმუნეთ, ამ ქაღალდს ფერის შეცვლა რომ შეეძლოს, ნამდვილად გაწითლდებოდა!

თამარ მესხი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება რუსთაველის თეატრის აღდგენის ფონდში.

ამინდი

თებერვალი დადგაო...

დადგა თებერვალი, ზამთრის ბოლო თვე. ისე მიიპარება, რომ წლეულს მისი სუსხი არც კი გვიგრძნია. ტემპერატურის დაცემას მხოლოდ ღამ-ღამობით თუ შევიგრძნობდით ხოლმე. გაზაფხულივით უჩვეულო დღეებმა თითქმისააყვავილა საქართველო...

რატომ ეწოდა ამ თვეს თებერვალი? ძველად ხომ მას საქართველოში სურწყუნისის სახელწოდებით მოიხსენიებდნენ, ხოლო ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში განცხადების თვედ იყო ცნობილი?

დროთა განმავლობაში უძველესმა სახელწოდებებმა დაკარგა მნიშვნელობა და ისე, როგორც ბევრ ქვეყანაში, ამ თვემ ჩვენშიც რომაელი ქვესკნელის მბრძანებელი ღმერთის – ფებრუსის სახელი მიიღო.

ვნახოთ, როგორი ამინდი იქნება თებერვალში...

გრძელვადიანი პროგნოზის გასაცნობად გვესაუბრება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი რამაზ ჩითანავა.

თებერვალში დღის ხანგრძლივობის ზრდასა და მზის სიმაღლის მატებასთან ერთად იგრძნობა გაზაფხულის მოახლოება: იანვართან შედარებით თვის საშუალო ტემპერატურა თებერვალში მხოლოდ 0-5 გრადუსით მაღალი იქნება. მისი მნიშვნელობა შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე 4-7, ხოლო ქვემო ქართლში, შიდა კახეთსა და დასავლეთ საქართველოს მთიან ზონაში 0-4 გრადუსი სითბო იქნება. შიდა ქართლსა და გარე კახეთში კი 0-1, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში 0-4, ხოლო ქვეყნის მაღალმთიან ზონაში 3-8 გრადუსი ყინვა იქნება.

ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე 22-27, ქართლსა და კახეთში 18-24, ქვეყნის მთიან რაიონებში 15-20, მაღალმთიან ზონაში 10-15 გრადუსი სითბოს მიაღწევს. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი სანაპირო ზოლში 8-12, კოლხეთის დაბლობზე 12-16, ქართლსა და კახეთში 20-25, ქვეყნის მთიან რაიონებში უმეტესად 20-26, მაღალმთიან ზონაში 26-31 გრადუს ყინვამდე იკლებს.

ყველაზე მეტი ნალექი თებერვალში აჭარის სანაპირო ზოლში, გურიასა და აფხაზეთის მაღალმთიან რაიონებშია მოსალოდნელი (200-250 მმ), ყველაზე ნაკლები ქართლ-კახეთსა და სამხრეთ საქართველოს მთიანეთში (20-დან 50 მმ) ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე ნალექების რაოდენობა უმეტესად 90-180 მმ-ს შორის მერყეობს.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით მიმდინარე წლის თებერვალში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია 1-დან 3 გრადუსამდე საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე მაღალი. პირველ დეკადაში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება, ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში -1, -6, მთიან რაიონებში -5, -10, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, შიდა ქართლში, შირაქსა და ელდარში -11, -16, ქვემო ქართლსა და კახეთის დანარჩენ რაიონებში -4,-9, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში -15, -20 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში და შიდა ქართლში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები, საქართველოს დანარჩენ რაიონებში მასთან ახლოს.

თებერვალში საშემოდგომო მარცვლეული კულტურების გამოზამთრებისათვის ნალექების სიმცირის გამო არადამაკმაყოფილებელი პირობები იქნება, რაც პურეულის ნათესებზე მავნებლებისა და მღრღნელების გავრცელების საშიშროებას წარმოქმნის.

თებერვალში საქართველოს მდინარეთა წყლიანობა, მრავალწლიური მონაცემების მიხედვით, იანვართან შედარებით დასავლეთში 30-40, აღმოსავლეთში კი 5-10 პროცენტით მეტი იქნება.

მიმდინარე წლის თებერვალში, ჰიდრომეტეოროლოგიური პირობებისა და ამინდის გრძელვადიანი პროგნოზების გათვალისწინებით, საქართველოს მდინარეთა წყლიანობა ნორმაზე ნაკლებია მოსალოდნელი.

მოამზადა
ციალა სიხარულიძემ.

ხსოვნა

თეზიკო ჯაფარიძე

საქართველოს საზოგადოებრიობას გამოაკლდა მისი ერთი ღირსეული პიროვნება თეიმურაზ (თეზიკო) ჯაფარიძე, არქიტექტორი და მოქალაქე, [illegible]

[illegible]

სხს „თბილქალაქპროექტი“.

მეგობრების ჯგუფი იუწყება, რომ გარდაიცვალა [illegible] და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს. [illegible]

სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „თბილქალაქპროექტი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული არქიტექტორი

თეიმურაზ (თეზიკო) ჯაფარიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

[illegible]

[illegible]

[illegible]

რედაქციის მიერ შეკვეთილი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არჩილ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარამიძე, ანზორ ბასილაია, ზურაბ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ჟღულია, ბადრი ხატიძე, ომარ ხუციშვილი.

დამფუძნებელი - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე
სპარტაკ ჟღულია

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგამომცემლო კორპუსში, ხოშარაულის 29.